სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა №9

ქ. თბილისი **2016 წლის 23 დეკემბერი**

სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები: 1. შაბურიშვილი შოთა 2. თოდუა ნუგზარი 3. აბესაძე ნინო 4. ბარბაქაძე ხათუნა 5. გაგელიძე ტარიელი 6. შვანგირაძე მათე 7. შუბითიძე ვლადიმერი 8. გოგინავა უშანგი 9. თუთბერიძე ბეჟანი 10. მაჭავარიანი ლია 11. გეგეჭკორი არნოლდი 12. ხაჩიძე მანანა 13. თევზაძე ალექსანდრე 14. შოთა სამსონია (*უფლებამოსილების ცნობის შემდეგ*) 15. ბექაური ბექა 16. ბახტურიძე პაატა 17. ბასილაია ანანო 18. ჩეკურაშვილი ნინო 19. თოდუა ნონა 20. კვირიკაშვილი ბახვა 21. ონიანი თამარი 22. ოქიტაშვილი გიორგი 23. მარგველაშვილი ვლადიმერი 24. ხოდელი ნოდარი 25. ჩხაიძე ზურაბი 26. ჩხაიძე თამარი (*უფლებამოსილების ცნობის შემდეგ*) 27. წერეთელი მარი 28. შამილიშვილი მანანა 29. ლორთქიფანიძე ლევანი 30. შევარდნაძე თორნიკე 31. ჟვანია ირინე 32. ჩახუნაშვილი ნინო 33. თოფურია სალომე 34. ლორია კახაბერი 35. გორდეზიანი ლევანი 36. გელოვანი ნანი 37. თაბუაშვილი აპოლონი 38. ბრაჭული ირაკლი 39. ოთხმეზური გიორგი 40. პაიჭაძე თამარი 41. სამხარაძე ლაშა 42. კეჟერაშვილი შოთა 43. ჯავახაძე გიორგი 44. გაიპარაშვილი ზურაბი 45. ღარიბაშვილი ირაკლი 46. სუმბაძე ციური 47. ქადეიშვილი თორნიკე 48. ხომერიკი გიორგი 49. რუსიაშვილი გიორგი 50. იოსელიანი ხათუნა 51. რევიშვილი ზურაბი 52. ხეცურიანი ნათელა 53. ხუციშვილი მარინე 54. ნემსაძე ადა 55. რუხაია მიხეილი (*უფლებამოსილების ცნობის შემდეგ*) 56. ჯობავა თამარი (*უფლებამოსილების ცნობის შემდეგ*) (დანართი 1)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები: 1. გიორგი შარვაშიძე 2. ირმა ხარშილაძე 3. ამირან ბერძენიშვილი 4. გიორგი ღვედაშვილი 5. რუსუდან სანაძე 6. ავთანდილ სილაგაძე 7. პაატა იმნაძე 8. ნინო ოკრიბელაშვილი 9. აპოლონ სილაგაძე 10. აკაკი ყულიჯანიშვილი 11. ვასილ გონაშვილი 12. გია ლობჟანიძე 13. ალექსანდრე კუხიანიძე 14. ანასტასია ქიტიაშვილი 15. მარინე ზაუტაშვილი 16. ნათელა ანანიაშვილი 17. ზურაბ ცაგარელი 18. ავთანდილ ამირანაშვილი 19. მურმან კვინიკაძე 20. ნოდარ ცინცაძე 21. რევაზ შანიძე 22. ნიკოლოზ ავაზაშვილი

დღის წესრიგი:

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთათვის უფლებამოსილების ცნობა
2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილებების შეტანა
3. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცება)
4. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების დამტკიცება
5. „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბრის №122/2014 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 23 დეკემბრის №154/2016 დადგენილების დამტკიცება
6. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების გადმოცემის საკითხი
7. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგელობაში არსებულ ქონებაზე ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის განთავსების მიზნით სამშენებლო სამუშაოებზე თანხმობის გაცემა
8. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის სახელმწიფოს მიერ გადმოსაცემი უძრავი ქონების თაობაზე ინფორმაციის მოსმენა
9. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქონების იჯარის წესით დროებით სარგებლობაში გაცემის საკითხი
10. სამშენებლო კომპანია „თბილისის მეტროს ხაზი-2“-თვის სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდქალაქისა და მე-11 სასწავლო კორპუსის მიმდებარე ტერიტორიის გავლით, ელექტროენერგიით უზრუნველყოფაზე თანხმობის გაცემა

11. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 14 ნოემბრის #132/2016 დადგენილების დამტკიცება

12. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 14 ნოემბრის #133/2016 დადგენილების დამტკიცება

13. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 14 ნოემბრის #134/2016 დადგენილების დამტკიცება

14. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 30 ნოემბრის #136/2016 დადგენილების დამტკიცება

15. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 30 ნოემბრის #137/2016 დადგენილების დამტკიცება

16. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 19 დეკემბრის #147/2016 დადგენილების დამტკიცება

17. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის

სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 19 დეკემბრის #148/2016 დადგენილების დამტკიცება

18. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 19 დეკემბრის #149/2016 დადგენილების დამტკიცება

19. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 14 ნოემბრის #131/2016 დადგენილების დამტკიცება

დღის წესრიგი დამტკიცდა (მომხრე: 47, წინააღმდეგი: 5).

1. წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს უფროსმა, დიმიტრი გეგენავამ წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო სენატის შუალედური არჩევნების შედეგები. არჩევნების შედეგად წარმომადგენლობით საბჭოში აირჩნენ შოთა სამსონია, თამარ ჩხაიძე, მიხეილ რუხაია და თამარ ჯობავა. წარმომადგენლობითმა საბჭომ უნდა ცნოს მათი უფლებამოსილება.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 52
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: ცნობილ იქნეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების, შოთა სამსონიას, თამარ ჩხაიძის, მიხეილ რუხაიას და თამარ ჯობავას უფლებამოსილება.

2. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, კახაბერ ლორიამ წარმოადგინა უნივერსიტეტის წესდების ცვლილების შესახებ ინფორმაცია და განმარტა, რომ ცვლილება ეხება საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების პროცედურას. ცვლილების

მიხედვით, აკადემიური საბჭოსთვის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით კანდიდატურების წარდგენის უფლება დამატებით მიეცემათ რექტორსა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სამეცნიერო საბჭოებს.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ლევან გორდეზიანმა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 56
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: 1. დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების ცვლილებები (დანართი 3). 2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების ცვლილებები დასამტკიცებლად გადაეცეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

3. ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ნუნუ ოვსიანიკოვამ წარმოადგინა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტი. 2017 წლის უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი, მოსალოდნელი ნაშთის, ეკონომიკური საქმიანობით მისაღები შემოსავლებიდან, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან და საერთაშორისო გრანტებიდან განისაზღვრა 79 488 725 ლარით. ნაერთი ბიუჯეტის გადასახდელები შედგება: სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების ფარგლებში, სწავლის საფასურისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებით გასაწევი ხარჯების; სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, შემოერთებული სამეცნიერო კლევითი ინსტიტუტებისა და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის გასაწევი ხარჯების; სახელმწიფო ბიუჯეტიდან „სახელმწიფო სტიპენდია სტუდენტებს“ დაფინანსების ფარგლებში და პრეზიდენტის ფონდიდან - „ზვიად გამსახურდიას სახელობის სტიპენდია“ - გასაწევი ხარჯების; ეროვნული სამეცნიერო ფონდის და საერთაშორისო გრანტების ფარგლებში გასაწევი ხარჯების ჯამისაგან. უნივერსიტეტის ბიუჯეტში ფაკულტეტების მიხედვით გასაწევი

ხარჯების პროექტები შეთანხმებულია ყველა ფაკულტეტის საბჭოსთან. ამდენად, ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი განისაზღვრა სულ 79 461665 ლარით.

2017 წლის პრიორიტეტებია საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება, სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობების წახალისება, მეორე კორპუსის გათბობის სისტემისა და მაღლივი კორპუსის ლიფტების შეკეთება და ა.შ. აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს გარე დაფინანსების მოძიებაზე, რათა ამ თანხებით უნივერსიტეტმა სხვადასხვა პრობლემის გადაწყვეტა შეძლოს.

განხილულ იქნა გრანტებთან, სტუდქალაქისა და სასწავლო კორპუსების ინფრასტრუქტურულ პრობლემებთან, სამეცნიერო კვლევებში სტუდენტების ჩართულობასთან, სამეცნიერო ინსტიტუტების დაფინანსებასთან, ხარჯების ოპტიმიზაციასთან და აკადემიური პერსონალის ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებთან დაკავშირებითაც აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა: არნოლდ გეგეჭკორმა, მანანა ხაჩიძემ, ბახვა კვირიკაშვილმა, მათე შვანგირაძემ, ვლადიმერ მარგველაშვილმა, თამარ პაიჭაძემ, თორნიკე შევარდნაძემ, თამარ ონიანმა, ლევან ლორთქიფანიძემ, გიორგი ოთხმეზურმა, გიორგი ჯავახაძემ, თამარ ჯობავამ, ბეჟან თუთბერიძემ, საფინანსო დეპარტამენტის უფროსმა, ირაკლი საღარეიშვილმა, იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, თამარ ზარანდიამ და რექტორმა, გიორგი შერვაშიძემ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 56
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი (დანართი 4)

4. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, რამაზ ხომერიკმა წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მონაწილეებს წარუდგინა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების პროექტი. მისი განცხადებით, პროექტში ასახულია საკანონმდებლო ცვლილებები, დებულება სისტემური, სამართლებრივი და ტექნიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვნად

დაიხვეწა. წესდების თანახმად, დებულება შეიმუშავა და მიიღო ფაკულტეტის საბჭომ, ახლა კი საჭიროებს წარმომადგენლობითი საბჭოს შესაბამის გადაწყვეტილებას.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 56
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება. (დანართი 5)

5. რექტორმა, გიორგი შერვაშიძემ წარმოადგინა „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბრის №122/2014 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 23 დეკემბრის №154/2016 დადგენილება. მისი განმარტებით დადგენილების ცვლილებები სამართლებრივი ტექნიკითაა განპირობებული და მასში ერთიანდება რამდენიმე შემდეგ მიღებული დადგენილება. ამასთან, აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ დადგენილება ჯეროვნადაა გადასამუშავებელი, რის გამოც ცვლილებებით გათვალისწინებულია მისი ამოქმედების ვადად 2017 1 იანვრის ნაცვლად 5 აპრილის განსაზღვრა.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, გიორგი ოთხმეზურმა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 56
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბრის №122/2014 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 23 დეკემბრის №154/2016 დადგენილება. (დანართი 6)

6. იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, არჩილ კუკულავამ წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მონაწილეებს გააცნო ინფორმაცია სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების გადმოცემისათან დაკავშირებით. მისი განმარტებით, ბაგებში, უნივერსიტეტის სტუდქალაქის ტერიტორიაზე დასაზუსტებელი იყო ტერიტორია და ქონება, რომელიც უნივერსიტეტს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსგან უნდა გადმოეცეს. ამ მიზნით ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებისგან დაკომპლექტებულმა სამუშაო ჯგუფმა შეისწავლა საკითხი და მოამზადა რეკომენდაცია, თუ რა ქონება შეიძლება იქნეს მოთხოვნილი აღნიშნული ტერიტორიიდან უნივერსიტეტისათვის გადმოსაცემად.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, გიორგი ოთხმეზურმა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 56
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: წარმოდგენილი ინფორმაცია მიღებულ იქნეს ცნობად.

7. არჩილ კუკულავამ წარმომადგენლობით საბჭოზე წარმოადგინა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგელობაში

არსებულ ქონებაზე ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის განთავსების მიზნით სამშენებლო სამუშაოებზე თანხმობის გაცემის საკითხი. მისი განცხადებით, სს „სილქნეტი“ აწარმოებს სამშენებლო სამუშაოებს, წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, კაბელი გაივლის უნივერსიტეტის მესამე სასწავლო კორპუსის ტერიტორიაზე, ამიტომაც კომპანიას ესაჭიროება ტერიტორიის მოსარგებლის თანხმობა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 54
წინააღმდეგი: 2

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობა ქ. თბილისში, ჭავჭავიძის გამზ. №11-ში მდებარე, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი #01.14.011.014) ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის განთავსების მიზნით, სამშენებლო სამუშაოების განხორციელების თაობაზე.

8. არჩილ კუკულავამ წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო ინფორმაცია უნივერსიტეტისთვის სახელმწიფოს მიერ გადმოსაცემი და უნივერსიტეტის მიერ მოთხოვნილი ტერიტორიის გადმოცემის პროცესის მიმდინარეობის შესახებ (დანართი 7). აღინიშნა, რომ ამ პროცესს ხელმძღვანელობს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ნუნუ ოვსიანიკოვა, რომლის ინიციატივითაც მომავალში წარმომადგენლობით და აკადემიურ საბჭოებს რეგულარულად მიეწოდება ინფორმაცია პროცესის მიმდინარეობის თაობაზე.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბეჟან თუთბერიძემ და რექტორმა, გიორგი შარვაშიძემ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 56
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: წარმოდგენილი ინფორმაცია მიღებულ იქნეს ცნობად.

9. არჩილ კუკულავამ წარმოადგინა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქონების იჯარის წესით დროებით სარგებლობაში გაცემის საკითხი.

9.1. უნივერსიტეტის მე-3 სასწავლო კორპუსში დაგეგმილია ვენდინგის (ელ. ვაჭრობის) აპარატების განთავსება. ამ მიზნით აუცილებელია წარმომადგენლობითმა საბჭომ გასცეს თანხმობა, რათა უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ განახორციელოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ღონისძიებები.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ლევან ლორთქიფანიძემ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 56
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-3 სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე მდებარე 2 კვ.მ. ფართის 5 წლის ვადით, ვენდინგის (ელ. ვაჭრობის, მათ შორის ყავისა და სხვა უალკოჰოლო სასმელების) აპარატების განთავსების მიზნით, იჯარის ფორმით გაცემაზე.

9.2. უნივერსიტეტის მე-10 და მე-11 კორპუსებში არსებულ ქსეროქსის გადაღების ცენტრებს გასდით იჯარის ხელშეკრულების ვადა. აუცილებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით კვლავ განთავსდეს მსგავსი ცენტრები.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 56
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-10 (მაღლივ) და მე-11 (ბიოლოგების) სასწავლო კორპუსებში არსებული ფართის (შესაბამისად, 13,6 კვ.მ და 5,85 კვ.მ) იჯარის ფორმით 5 წლით გაცემაზე იმ პირობით, რომ აუქციონში გამარჯვებული პირი შესაბამისი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, თანამშრომელთა არანაკლებ 1/3-ს დააკომპლექტებს უნივერსიტეტის სტუდენტებისგან.

10. არჩილ კუკულავამ წარმოადგინა სამშენებლო კომპანია „თბილისის მეტროს ხაზი-2“-თვის სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდქალაქისა და მე-11 სასწავლო კორპუსის მიმდებარე ტერიტორიის გავლით, ელექტროენერგიით უზრუნველყოფაზე თანხმობის გაცემის საკითხი და განმარტა, რომ 2016 წლის 14 ნოემბერს უნივერსიტეტს მომართა კომპანიამ, რომელიც აწარმოებს მეტროსადგურ „უნივერსიტეტის“ სამშენებლო სამუშაოებს. ამ სამუშაოებისთვის აუცილებელია ბაგების ქვესადგურიდან ელექტროენერგიით უზრუნველყოფა, უნივერსიტეტის სტუდქალაქისა და მე-11 სასწავლო კორპუსის მიმდებარე ტერიტორიის გავლით.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, შოთა შაბურიშვილმა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 56
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობა სამშენებლო კომპანია „თბილისის მეტროს ხაზი-2“-თვის სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდქალაქისა და მე-11 სასწავლო კორპუსის მიმდებარე ტერიტორიის გავლით, ელექტროენერგიით უზრუნველყოფის თაობაზე.

11-19. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დებულებები განხილულ იქნა სისტემურად. დებულებების სამართლებრივ მხარესთან დაკავშირებით ისაუბრა იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, არჩილ კუკულავამ და აღნიშნა, რომ თითოეული დებულება კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის აქტების შესაბამისადაა ჩამოყალიბებული, შეთანხმებულია ინსტიტუტების სამეცნიერო საბჭოებთან და დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს დადგენილებებით.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა: ლევან გორდეზიანმა, ბეჟან თუთბერიძემ და ლევან ლორთქიფანიძემ, რექტორმა, გიორგი შარვაშიძემ.

11. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 14 ნოემბრის №132/2016 დადგენილება წარმოადგინა ლაშა ბრეგვაძემ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 56
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 14 ნოემბრის №132/2016 დადგენილება. (დანართი 8)

12. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე

ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 14 ნოემბრის №133/2016 დადგენილება წარმოადგინა თეიმურაზ ჯოჯუამ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 56
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 14 ნოემბრის №133/2016 დადგენილება. (დანართი 9)

13. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 14 ნოემბრის №134/2016 დადგენილება წარმოადგინა ნანა ბოლაშვილმა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 56
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 14 ნოემბრის №134/2016 დადგენილება. (დანართი 10)

14. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 30 ნოემბრის №136/2016 დადგენილება წარმოადგინა თამარ წუწუნავამ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 56
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 30 ნოემბრის №136/2016 დადგენილება. (დანართი 11)

15. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 30 ნოემბრის №137/2016 დადგენილება წარმოადგინა რამაზ აბესაძემ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 56
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 30 ნოემბრის №137/2016 დადგენილება. (დანართი 12)

16. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 19 დეკემბრის №147/2016 დადგენილება წარმოადგინა სიმონ დალაქიშვილმა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 56
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 19 დეკემბრის №147/2016 დადგენილება. (დანართი 13)

17. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 19 დეკემბრის №148/2016 დადგენილება წარმოადგინა ნინო ფარცვანიამ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 56
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 19 დეკემბრის №148/2016 დადგენილება. (დანართი 14)

18. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 19 დეკემბრის №149/2016 დადგენილება წარმოადგინა ქეთევან ებრალიძემ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 56
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 19 დეკემბრის №149/2016 დადგენილება. (დანართი 15)

19. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 14 ნოემბრის №131/2016 დადგენილება წარმოადგინა ნუგზარ ღლონტმა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 56
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 14 ნოემბრის №131/2016 დადგენილება. (დანართი 16)

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: კახაბერ ლორია

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი: დიმიტრი გეგენავა

დანართი 1

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა

2016 წლის 23 დეკემბერი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

- შაბურიშვილი შოთა
- თოდუა ნუგზარი
- აბესაძე ნინო
- ბარბაქაძე ხათუნა

სტუდენტები:

- სოსიაშვილი თათია
- გოდერძიშვილი ლია
- ბერუაშვილი ანზორი
- გაგელიძე ტარიელი
- ხუციშვილი სანდრო
- შვანგირაძე მათე
- შუბითიძე ვლადიმერი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- გოგინავა უშანგი
- თუთბერიძე ბეჟანი
- მაჭავარიანი ლია
- გეგეჭკორი არნოლდი
- ხაჩიძე მანანა
- თევზაძე ალექსანდრე
- შოთა სამსონია

სტუდენტები:

- ბექაური ბექა
- ბახტურიძე პაატა
- ბასილაია ანანო
- ჩეკურაშვილი ნინო

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

- თუმანიშვილი გიორგი
- ცისკაძე მარიამი
- თოდუა ნონა
- გარიშვილი მარინა

სტუდენტები:

- კვირიკაშვილი ბახვა
- ონიანი თამარი
- ოქიტაშვილი გიორგი
- ართქმელაძე თორნიკე

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

- მარგველაშვილი ვლადიმერი
- ქიტუაშვილი თინა
- ხოდელი ნოდარი
- ჩხაიძე ზურაბ

სტუდენტები:

- თამარ ჩხაიძე

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- წერეთელი მარი
- შამილიშვილი მანანა
- ტუკვაძე ავთანდილი

სტუდენტები:

- ლორთქიფანიძე ლევანი
- საბაური შალვა
- შევარდნაძე თორნიკე

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- უვანია ირინე
- ჩახუნაშვილი ნინო

სტუდენტები:

- დადეშქელიანი ბექა
- თოფურია სალომე

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- ლორია კახაბერი
- გორდეზიანი ლევანი
- გელოვანი ნანი
- თაბუაშვილი აპოლონი
- ბრაჭული ირაკლი
- ოთხმეზური გიორგი

- პაიჭაძე თამარი
- შარაბიძე თამარი

სტუდენტები:

- ჯებაშვილი ნანა
- მინდიაშვილი თეონა
- სამხარაძე ლაშა
- კეუერაშვილი შოთა
- ჯავახაძე გიორგი

თსუ–ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

- გაიპარაშვილი ზურაბი

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი

- ღარიბაშვილი ირაკლი

ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი

- სუმბაძე ციური

ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტი

- ბაშელეიშვილი ლევანი

ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი

- ქადეიშვილი თორნიკე

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

- მაჭავარიანი ნანა

ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი

- წაქაძე სევერიანი

ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი

- ხომერიკი გიორგი

თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

- რუსიაშვილი გიორგი

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

- იოსელიანი ხათუნა

კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი

- ახალბედაშვილი ლალი

მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი

- ალანია ვიქტორი

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

- რევიშვილი ზურაბი

პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

- ხეცურიანი ნათელა

რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

- ხუციშვილი მარინე

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

- ნემსაძე ადა

ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

- მიხეილ რუხაია

მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

- თამარ ჯობავა

დანართი 2

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრების სია

2016 წლის 23 დეკემბერი

- გიორგი შარვაშიძე
- ირმა ხარშილაძე
- ირინე ქურდაძე
- ნოდარ ბელქანია
- ამირან ბერძენიშვილი
- გიორგი ღვედაშვილი
- ომარ ფურთუხია
- თამარ აბაშიძე
- რუსუდან სანაძე
- ელგუჯა მექვაბიშვილი
- მარინე მინდორაშვილი
- ავთანდილ სილაგაძე
- პაატა იმნაძე

- ნინო ოკრიბელაშვილი
- დავით გოცირიძე
- აპოლონ სილაგაძემ
- აკაკი ყულიჯანიშვილი
- ვასილ გონაშვილი
- დავით კერესელიძე
- გია ლობჟანიძე
- ალექსანდრე კუხიანიძე
- ანასტასია ქიტიაშვილი
- მარინე ზაუტაშვილი
- ნათელა ანანიაშვილი
- ზურაბ ცაგარელი
- ავთანდილ ამირანაშვილი
- ერეკლე გამყრელიძე
- თამაზ ყარალაშვილი

- მურმან კვინიკაძე
- ნუგზარ შავლაყაძე
- ნოდარ ცინცაძე
- გაგა ლომიძე
- დავით მერკვილაძე
- მედეა ღლონტი
- გოჩა ფერაძე
- მამუკა ხუსკივაძე
- რევაზ შანიძე
- ნიკოლოზ ავაზაშვილი

<u>პროექტი</u>

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის
ბრძანება N -------
2016 წლის ---------- ქ. თბილისი

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 11/09/2013, სარეგისტრაციო კოდი: 430210000.22.022.016655) და ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული წესდების:

1. მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჩ) რექტორის, ფაკულტეტის საბჭოს ან დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭოს წარდგინების საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს საპატიო დოქტორის წოდების, ხოლო ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე - ემერიტუსის წოდების მინიჭების შესახებ;"

2. 32-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას აკადემიური საბჭო იღებს რექტორის, ფაკულტეტის საბჭოს ან დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭოს წარდგინების საფუძველზე, ხოლო ემერიტუსის წოდების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას - ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე."

მუხლი 2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრი ***ალექსანდრე ჯეჯელავა***

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტი

დასახელება	(ლარებში)
● ნაშთი	**10,741,280.00**
მათ შორის: ნაშთი (სწავლის ქირის, სასწავლო გრანტის, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსების და კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობიდან)	6,400,000.00
მათ შორის: ნაშთი (ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტების)	2,197,140.00
მათ შორის: ნაშთი (საერთაშორისო გრანტების)	2,144,140.00
● შემოსავლები	**68,747,445.00**
მათ შორის: ეკონომიკური საქმიანობიდან (სწავლის ქირა, სასწავლო გრანტი, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსება და კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობიდან)	49,959,314.00
მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტიდან (სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა)	15,596,554.00
მათ შორის :სახელმწიფო ბიუჯეტიდან (სახელმწიფო სტიპენდია) და პრეზიდენტის სტიპენდია	994,000.00
მათ შორის:ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტებიდან	1,693,250.00
მათ შორის:საერთაშორისო გრანტებიდან	504,327.00
სულ შემოსავალი ნაშთის ჩათვლით	**79,488,725.00**
გადასახდელები (ნაერთი)	
სულ ასიგნება	**79,461,665.00**

I ხარჯები	75,767,024.00
● შრომის ანაზღაურება	40,346,210.00
● საქონელი და მომსახურება	28,718,547.00
● სუბსიდიები	1,067,084.00
● გრანტები	269,686.00
●სოციალური უზრუნველყოფა	320,000.00
● სხვა ხარჯები	5,045,497.00
II არაფინანსური აქტივების ზრდა	3,594,641.00
● ვალდებულებების კლება	100,000.00
მათ შორის: სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში,სწავლის საფასურისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებით გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება	56,488,074.00
I ხარჯები	54,952,174.00
● შრომის ანაზღაურება	29,606,980.00
● საქონელი და მომსახურება	22,025,199.00
●გრანტები	230,000.00
●სოციალური უზრუნველყოფა	320,000.00
● სხვა ხარჯები	2,769,995.00
II არაფინანსური აქტივების ზრდა	1,435,900.00
● ვალდებულებების კლება	100,000.00

მათ შორის:სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობის ფარგლებში, შემოერთებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება	15,596,554.00
I ხარჯები	13,656,774.00
● შრომის ანაზღაურება	10,739,230.00
● საქონელი და მომსახურება	2,884,808.00
● სხვა ხარჯები	32,736.00
II არაფინანსური აქტივების ზრდა	1,939,780.00
მათ შორის:სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების ,,სახელმწიფო სტიპენდია სტუდენტებს''ფარგლებში გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება	994,000.00
I ხარჯები	994,000.00
● სხვა ხარჯები	994,000.00
მათ შორის: ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტების ფარგლებში გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება	3,890,390.00
I ხარჯები	3,859,540.00
● საქონელი და მომსახურება	3,808,540.00
● გრანტები	1,000.00
● სხვა ხარჯები	50,000.00

II არაფინანსური აქტივების ზრდა	30,850.00
მათ შორის: საერთაშორისო გრანტების ფარგლებში გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება (I+II)	2,492,647.00
I ხარჯები	2,304,536.00
● სუბსიდიები	1,067,084.00
● გრანტები	38,686.00
● სხვა ხარჯები	1,198,766.00
II არაფინანსური აქტივების ზრდა	188,111.00

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ფაკულტეტის სტატუსი

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში „თსუ“) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი (შემდგომში „ფაკულტეტი“) წარმოადგენს თსუ ძირითად სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელიც აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიის ფარგლებში ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებსა და კვლევებს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგებში, უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას და მათთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას.
2. ფაკულტეტის ოფიციალური სახელწოდებაა „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი“.
3. ფაკულტეტის სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, თსუ წესდებითა და წინამდებარე დებულებით.
4. ფაკულტეტს აქვს ბლანკი უნივერსიტეტის გერბის გამოსახულებით. ბლანკის გამოყენება ფაკულტეტის უფლებამოსილების ფარგლებში ხდება ფაკულტეტის დეკანის დავალებით ან თანხმობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. ფაკულტეტს აქვს ბეჭედი და შტამპი, რომლითაც სარგებლობს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე - თსუ ოფიციალური ვებ-გვერდის ფარგლებში არსებული სპეციალური განყოფილება.
6. ფაკულტეტი განთავსებულია თსუ-ს მეორე და მეთერთმეტე კორპუსებში.

მუხლი 2. ფაკულტეტის დებულების მოქმედება

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ფაკულტეტის სამართლებრივ სტატუსს, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულება, ძირითად ამოცანებს და კომპეტენციის სფეროებს, ფაკულტეტის სტრუქტურას, მისი სტრუქტურული, საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის განმახორციელებელი ერთეულების საქმიანობის წესსა და უფლება-მოვალეობებს, აგრეთვე აწესრიგებს ფაკულტეტის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.
2. ფაკულტეტის დებულება შესასრულებლად სავალდებულოა ფაკულტეტის ყველა სტრუქტურული ერთეულის, პერსონალისა და სტუდენტისათვის და სახელმძღვანელო დოკუმენტია უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და სხვა სტრუქტურული ერთეულებისათვის.

მუხლი 3. ფაკულტეტის ამოცანები

ფაკულტეტის ძირითადი ამოცანებია:

ა) თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი და ხელმისაწვდომი განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

ბ) კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება სწავლების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე;

გ) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ჩატარება; სწავლებასა და კვლევაში მოწინავე/ინოვაციური მიდგომების დანერგვა და კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში ინტეგრირება;

დ) სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაცია;
ე) სტუდენტზე ორიენტირებული აკადემიური გარემოს შექმნა;
ვ) ფაკულტეტის პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
ზ) აკადემიური თავისუფლების დაცვა;
თ) სამოქალაქო საზოგადოებისა და ზოგადსაკაცობრიო დემოკრატიული ფასეულობების დანერგვისა და განვითარებისათვის ხელშეწყობა;
ი) ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირება.

მუხლი 4. ფაკულტეტის სტრუქტურა და მართვის ორგანოები

1. ფაკულტეტის მართვის ორგანოებია ფაკულტეტის საბჭო, ფაკულტეტის დეკანი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
2. ფაკულტეტის სტრუქტურა განისაზღვრება ფაკულტეტის დებულებით და მის შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის ადმინისტრაცია (დეკანი, დეკანის მოადგილეები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), ფაკულტეტის სასწავლო (სასწავლო-სამეცნიერო) და დამხმარე სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულები, ასევე ფაკულტეტის სხვა დამხმარე სტრუქტურული ერთეულები.

თავი II
ფაკულტეტის საბჭო

მუხლი 5. ფაკულტეტის საბჭოს სტატუსი

1. ფაკულტეტის საბჭო არის ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანო, რომლის ფორმირების წესი განისაზღვრება თსუ-ს წესდებით და წინამდებარე დებულებით.
2. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილების ვადა განსაზღვრულია 4 წლით.
3. ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში შედიან ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტებიდან წარმომადგენლობის საფუძველზე არჩეული აკადემიური პერსონალი და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები, რომელთა ოდენობა არ უნდა იყოს საბჭოს შემადგენლობის ¼-ზე ნაკლები, დამრგვალება ხდება სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა სასარგებლოდ.
4. ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში, ფაკულტეტის საბჭოს წევრის სტატუსით, ასევე შედის ფაკულტეტის დეკანი.
5. ფაკულტეტის საბჭოს წევრთა რაოდენობა განისაზღვრება 40 წევრით, მათ შორის: დეკანი, სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელი - 10 წევრი. ფაკულტეტზე არსებული სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტებიდან აირჩევა 29 აკადემიური პერსონალი, მათ შორის: ოთხ-ოთხი იმ დეპარტამენტებიდან, რომლებშიც გაერთიანებულია არანაკლებ 15 აკადემიური პერსონალი და თითო-თითო იმ დეპარტამენტებიდან, რომლებშიც გაერთიანებულია 15-ზე ნაკლები აკადემიური პერსონალი. ფაკულტეტის საბჭოში აკადემიური პერსონალისათვის გამოყოფილი ადგილებიდან ამ პრინციპით განაწილების შედეგად დარჩენილი ადგილები ნაწილდება აკადემიური პერსონალის რაოდენობის თვალსაზრისით ყველაზე დიდ დეპარტამენტზე/დეპარტამენტებზე.

მუხლი 6. ფაკულტეტის საბჭოს ფორმირების წესი

1. ფაკულტეტის საბჭოს არჩევნებს ატარებს და არჩევნების დღეს აცხადებს ფაკულტეტის საბჭო
2. დეკანის ბრძანებით ფაკულტეტზე იქმნება საარჩევნო კომისია, რომელიც უზრუნველყოფს ფაკულტეტის საბჭოში დეპარტამენტებიდან წარმომადგენლების არჩევის პროცესს.
3. საარჩევნო კომისიის წევრი არ მონაწილეობს არჩევნებში, როგორც ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატი. ასევე, საარჩევნო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს ფაკულტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის პირი.

4. ფაკულტეტის საბჭოს არჩევნების დანიშვნიდან ერთი კვირის განმავლობაში საბჭოს წევრობის მსურველი აკადემიური პერსონალი განცხადებით მიმართავს ფაკულტეტის საარჩევნო კომისიას მისი საბჭოს წევრობის კანდიდატად დარეგისტრირების თხოვნით.
5. ფაკულტეტის საბჭოში აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები აირჩევიან შესაბამისი დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის კრებაზე ფარული კენჭისყრით.
6. იმ კათედრის აკადემიური პერსონალი, რომელიც გაერთიანებულია ერთზე მეტ დეპარტამენტში, არჩევნებში, როგორც ამომრჩეველი, ასევე როგორც ასარჩევი პირი, მონაწილეობს მხოლოდ ერთი სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტის ფარგლებში. გადაწყვეტილებას, თუ რომელი სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის სტატუსით მიიღებს ასეთი პირი არჩევნებში მონაწილეობას, აკადემიური პერსონალი იღებს თავად.
7. კომისია ამზადებს ბიულეტენებს კენჭისყრისათვის, რომლებშიც ანბანის მიხედვით ჩამოწერილია საბჭოს წევრობის კანდიდატთა სახელები, გვარები (აუცილებლობის შემთხვევაში სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემები). თითოეულ კანდიდატს მინიჭებული აქვს რიგითი ნომერი. ბიულეტენების სისწორე დასტურდება კომისიის წევრთა ხელმოწერებით. აკადემიური პერსონალი შემოხაზავს ბიულეტენზე სასურველი კანდიდატის რიგითი ნომერს და ბიულეტენს ათავსებს საარჩევნო ყუთში. მან ხმა უნდა მისცეს არაუმეტეს იმდენ კანდიდატს, რამდენი ვაკანტური ადგილი არის გამოცხადებული, წინააღმდეგ შემთხვევაში ბიულეტენი ბათილად გამოცხადდება. კენჭისყრაში გამარჯვებული კანდიდატი გახდება ფაკულტეტის საბჭოს წევრი. რამდენიმე კანდიდატის მიერ თანაბარი რაოდენობის ხმების დაგროვების შემთხვევაში, საბჭოს იმავე სხდომაზე, ტარდება განმეორებითი კენჭისყრა თანაბარი ხმების მქონე კანდიდატებს შორის.
8. კენჭისყრის შედეგები ფორმდება სათანადო ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და წევრები.
9. ფაკულტეტის საბჭოს წევრის აკადემიური თანამდებობისათვის დადგენილი ვადის გასვლის ან აკადემიური თანამდებობის ვადაზე ადრე დატოვების შემთხვევაში/დეკანის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში პირს უწყდება ფაკულტეტის საბჭოს წევრის სტატუსი. ფაკულტეტის საბჭოს წევრის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად (გარდა დეკანისა) საბჭო აცხადებს ხელახალ არჩევნებს საბჭოს წევრთა არჩევნების ზემოთ წარმოდგენილი პროცედურების დაცვით.
10. ფაკულტეტის საბჭოს წევრი სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის, ასევე სხვა ფაკულტეტზე მობილობის წესით გადასვლის შემთხვევაში ავტომატურად კარგავს ფაკულტეტის საბჭოს წევრობის უფლებას.

მუხლი 7. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება

1. ფაკულტეტის საბჭო:

ა) განსაზღვრავს და თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტს;

ბ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და თსუ აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

გ) დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს ფაკულტეტის სტრუქტურას და დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს თსუ წარმომადგენლობით საბჭოს.

დ) თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის დეკანს;

ე) შეიმუშავებს დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს თსუ აკადემიურ საბჭოს;

ვ) ირჩევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს;

ზ) უფლებამოსილია დეკანის მიერ თავის უფლებამოსილებათა განხორციელებისას საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, დეკანისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ

შესრულების ან/და დეკანისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძველზე საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3 მოთხოვნით განიხილოს დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. გადაწყვეტილება დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე მიიღება ფარული კენჭისყრით, საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. დეკანი ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრაში არ მონაწილეობს. ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება არ იწვევს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას;

თ) დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში თავისი შემადგენლობიდან დეკანის არჩევამდე ნიშნავს დეკანის მოვალეობის შემსრულებელს;

ი) სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრავს კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდისათვის. აგრეთვე განსაზღვრავს ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას და დასამტკიცებლად წარუდგენს თსუ აკადემიურ საბჭოს;

კ) მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის შეიმუშავებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული მისაღები გამოცდის/გამოცდების ჩატარების წესს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად;

ლ) შეიმუშავებს დოქტორანტობის კანდიდატებისთვის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული მისაღები გამოცდის/გამოცდების/გასაუბრების ჩატარების წესს;

მ) სადოქტორო პროგრამაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით სწავლების განსხვავებული საფასურის დაწესების შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე წყვეტს სადოქტორო პროგრამებზე სწავლის საფასურის შეღავათის საკითხს.

ნ) იღებს გადაწყვეტილებას თსუ ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით გათვალისწინებული სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების გამო სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ;

ო) თსუ აკადემიურ საბჭოს წარუდგენს კანდიდატურებს თსუ საპატიო დოქტორის, ემერიტუსის წოდების და სხვა ჯილდოების მისანიჭებლად;

პ) უნივერსიტეტის რექტორს მიმართავს დასაბუთებული წარდგინებით აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო–შემოქმედებითი შვებულების გამოყენების თაობაზე;

ჟ) ამტკიცებს დამხმარე საგანმანათლებლო-სტრუქტურული ერთეულის დებულებას;

რ) ახორციელებს ამ დებულებით, უნივერსიტეტის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

2. ფაკულტეტის საბჭო ქმნის მუდმივმოქმედ კომისიებს - საბიუჯეტო კომისია, პერსონალის სამივლინებო კომისია, სტუდენტთა სამივლინებო კომისია, ვებგვერდის კომისია სტრუქტურული მოწყობის შემსწავლელი კომისია. ფაკულტეტის საბჭო ქმნის ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს. ფაკულტეტის საბჭო ქმნის დროებით კომისიებს/სამუშაო ჯგუფებს და აწესებს მათი მუშაობის რეგლამენტს.

ა) საბიუჯეტო კომისია განიხილავს ბიუჯეტის კონკრეტული მიზნებისთვის ხარჯვის მიზანშეწონილობას.

ბ) პერსონალის სამივლინებო კომისია განიხილავს პერსონალის მიერ შემოსულ განცხადებებს კონკრეტული მივლინების დაფინანსების შესახებ და იღებს გადაწყვეტილებას თანხის გამოყოფის მიზანშეწონილობის შესახებ.

გ) სტუდენტთა სამივლინებო კომისია განიხილავს სტუდენტების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს კონკრეტული მივლინების დაფინანსების შესახებ და იღებს გადაწყვეტილებას თანხის გამოყოფის მიზანშეწონილობის შესახებ.

დ) ვებგვერდის კომისია განსაზღვრავს უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდის ფარგლებში არსებული საფაკულტეტო განყოფილების სტრუქტურასა და შინაარსს.

ე) სტრუქტურული მოწყობის შემსწავლელი კომისია განიხილავს სტრუქტურული ერთეულების შექმნის საკითხს და გადაწყვეტილებას მათი შექმნის შესახებ წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს. სტრუქტურული მოწყობის შემსწავლელი კომისია განიხილავს ერთეულების ანგარიშს და დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს.

ვ) ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭო განიხილავს ფაკულტეტის შესაბამისი დეპარტამენტიდან წარმოდგენილ მასალას (სახელმძღვანელოებს, მონოგრაფიებს სამეცნიერო სტატიებს, სამეცნიერო სტატიების კრებულს) და იღებს გადაწყვეტილებას მათი გამოცემის შესახებ ბეჭდვითი ან ელექტრონული ფორმით.

მუხლი 8. ფაკულტეტის საბჭოს ფუნქციონირების პროცედურული საკითხები

1. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეა ფაკულტეტის დეკანი. მისი დროებით არყოფნის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარის ფუნქციას ასრულებს ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამსწრე წევრთა უმრავლესობით არჩეული საბჭოს რიგითი წევრი, აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან.
2. ფაკულტეტის საბჭოს პირველ სხდომაზე აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით აირჩევა ფაკულტეტის საბჭოს მდივანი. ფაკულტეტის საბჭოს მდივნის ფუნქციაა ფაკულტეტის საბჭოს საქმის წარმოების ორგანიზება. ფაკულტეტის საბჭოს მდივნის სხდომაზე არყოფნის შემთხვევაში მის ფუნქციას ასრულებს ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამსწრე წევრთა უმრავლესობით არჩეული საბჭოს რიგითი წევრი, აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან.
3. ფაკულტეტის საბჭო, სხდომის დაწყებისთანავე, ღია კენჭისყრით ამტკიცებს დღის წესრიგს.
4. ფაკულტეტის საბჭოს სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
5. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრეთა ნახევარზე მეტი, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით ან უნივერსიტეტის წესდებით თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
6. ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე კენჭისყრა არის ღია, გარდა კანონით და უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
7. ფაკულტეტის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის 1/4-ს უფლება აქვს მოითხოვოს ფარული კენჭისყრა.
8. ფაკულტეტის საბჭოს ყოველი სხდომის თაობაზე ფორმდება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

თავი III
ფაკულტეტის დეკანი

მუხლი 9. ფაკულტეტის დეკანის სტატუსი

ფაკულტეტის დეკანი ხელმძღვანელობს ფაკულტეტს და წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობისას.

მუხლი 10. ფაკულტეტის დეკანის არჩევის წესი

1. ფაკულტეტის დეკანის არჩევნებს ატარებს და არჩევნების დღეს აცხადებს ფაკულტეტის საბჭო.
2. ფაკულტეტის დეკანს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის საბჭო 4 წლის ვადით, გამჭვირვალეობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით.
3. დეკანად შეიძლება აირჩეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, რომელიც ფლობს დოქტორის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს.
4. დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.
5. დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადებას ფაკულტეტის საბჭო აქვეყნებს კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე.
6. დეკანობის კანდიდატად რეგისტრაციისათვის, მისი პიროვნების მაიდენტიფიცირებელი და სამუშაო გამოცდილების ამსახველი დოკუმენტაციის გარდა, აუცილებელია ფაკულტეტის განვითარების კონცეფციის წარმოდგენა.

7. არჩევნები ტარდება ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე. თუ ფაკულტეტის დეკანი არის დეკანობის კანდიდატი, მას არ აქვს სხდომის თავმჯდომარეობის უფლება და ფაკულტეტის საბჭოს სხდომის თავმჯდომარეს სხდომის დაწყებისთანავე ირჩევს ფაკულტეტის საბჭო.
8. ფაკულტეტის დეკანს ფაკულტეტის საბჭო ირჩევს ფარული კენჭისყრით. კენჭისყრა დეკანის ასარჩევად ტარდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ გამოცხადებულ არჩევნების დღეს.
9. დეკანის არჩევნები ჩატარებულად ითვლება, თუ მასში მონაწილეობა მიიღო ფაკულტეტის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ორმა მესამედმა.
10. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელიც მიიღებს საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობის ხმას.
11. იმ შემთხვევაში, თუ დეკანის არჩევნებში მონაწილე კანდიდატთაგან ვერც ერთი ვერ მიიღებს ფაკულტეტის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერას, ტარდება არჩევნების მეორე ტური. არჩევნების მეორე ტური გაიმართება იმავე დღეს არჩევნების პირველი ტურის დასრულების შემდეგ არაუგვიანეს 1 (ერთი) საათისა. არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობს პირველი ორი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი.
12. იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების პირველ ტურში მონაწილეობს მხოლოდ ერთადერთი კანდიდატი და ვერ მიიღებს ფაკულტეტის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერას, ან მეორე ტურში დეკანობის ვერც ერთი კანდიდატი ვერ მიიღებს ფაკულტეტის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერას, ფაკულტეტის საბჭო უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებული პროცედურის მიხედვით ნიშნავს ხელახალ არჩევნებს არაუგვიანეს 5 დღის ვადაში.
13. ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებული საარჩევნო პროცედურები წესრიგდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს შესაბამისი დადგენილებით.

მუხლი 11. ფაკულტეტის დეკანის უფლებამოსილებები

1. ფაკულტეტის დეკანი:
   ა) უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტურ მიმდინარეობას;
   ბ) ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;
   გ) შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას;
   დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია წარმომადგენლობითი საბჭოს, აკადემიური საბჭოს, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებების და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების გადაწყვეტილებების შესრულებაზე;
   ე) თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს;
   ვ) პასუხისმგებელია ფაკულტეტის ბიუჯეტის მიზნობრივ გამოყენებაზე;
   ზ) რექტორს წარუდგენს დეკანის მოადგილეების კანდიდატურებს;
   თ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს თანამდებობაზე დასანიშნად წარუდგენს ფაკულტეტის ადმინისტრაციის პერსონალს;
   ი) თავისი უფლებამოსილებისა და კომპეტენციის ფარგლებში სასწავლო და სამეცნიერო პროცესის საჭიროების შესაბამისად ამყარებს კავშირს საქართველოსა და უცხოეთის უმაღლესი სასაწავლებლების შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან;
   კ) ახორციელებს წინამდებარე დებულებით, თსუ-ს წესდებითა და საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.
2. დეკანი თავისი კომპეტენციის შესაბამისად გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს – ბრძანებებს, რომლითაც რეგულირდება ფაკულტეტის ფარგლებში სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა სამართლებრივი საკითხი.
3. დეკანი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით – ბრძანებით ქმნის საატესტაციო და კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისიებს.

4. ფაკულტეტის ინტერესებიდან გამომდინარე დეკანისათვის სამუშაო ადგილის დროებით შეცვლის (მივლინება) და შვებულების მიცემის გადაწყვეტილებას იღებს რექტორი, რაც ფორმდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.
5. დეკანის მიერ თავის უფლებამოსილებათა განხორციელების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში, დეკანის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის არარსებობის შემთხვევაში, მის მოვალეობას ავტომატურად ასრულებს დეკანის მოადგილე სასწავლო სფეროში, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში კი დეკანის მოადგილე სამეცნიერო სფეროში.

მუხლი 12. დეკანის მოადგილეები და ფაკულტეტის დამხმარე პერსონალი

1. ფაკულტეტის დეკანს ჰყავს ორი მოადგილე, სასწავლო და სამეცნიერო სფეროებში.
2. ფაკულტეტის დეკანის მოადგილის თანამდებობის დაკავების უფლება აქვს უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის პროფესორს ან ასოცირებულ პროფესორს .
3. სასწავლო სფეროში დეკანის მოადგილის ძირითადი ამოცანებია:
   ა) სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვის უზრუნველყოფა;
   ბ) სპეციალობების, მოდულების, სასწავლო გეგმებისა და სასწავლო პროცესის მართვის პროცესის, სასწავლო პროგრამების კოორდინატორების (ხელმძღვანელების) მუშაობის კოორდინირება;
   გ) სასწავლო პროცესის განრიგისა და აკადემიური პერსონალის დატვირთვების მონიტორინგი;
   ე) ფაკულტეტის ძირითადი და დამხმარე სასწავლო სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის კოორდინირება;
   ვ) ფაკულტეტის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის ღონისძიების ორგანიზება;
   ზ) საკუთარი კომპენტენციის ფარგლებში დეკანის დავალებების შესრულება.
4. სამეცნიერო სფეროში დეკანის მოადგილის ძირითადი ამოცანებია:
   ა) სამეცნიერო-კვლევითი პროცესის ეფექტიანად წარმართვის უზრუნველყოფა;
   ბ) სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის კოორდინირება და მონიტორინგი;
   გ) სამეცნიერო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის ღონისძიების ორგანიზება;
   დ) სამეცნიერო გრანტების მოპოვებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება და გავრცელება;
   ე) სამეცნიერო კონფერენციებთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება;
   ვ) ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევით საქამიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის ღონისძიების ორგანიზება;
   ზ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დეკანის დავალებების შესრულება.
5. დეკანის მოადგილეებს დეკანის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
6. ფაკულტეტს ჰყავს მენეჯერი, რომელიც ექვემდებარება დეკანს და დახმარებას უწევს მისი საქმიანობის სწრაფად და ეფექტურად განხორციელებაში.
7. ფაკულტეტის მენეჯერის ძირითადი ფუნქციებია:
   ა) სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინირება და კონტროლი;
   ბ) ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულებისა და ცენტრალური ადმინისტრაცის კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა;
   გ) ფაკულტეტის სტუდენტებსა და თსუ და ფაკულტეტის სტრუქტურულ ერთეულებს/სამსახურებს შორის კომუნიკაციის უზრუნველყოფა და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება;
   დ) ფაკულტეტზე საქმისწარმოების სამუშაოების ორგანიზება და კონტროლი;
   ე) ფაკულტეტზე სხვადასხვა კომისიების მუშაობის ხელშეწყობა და შესაბამის სამსახურებთან კომუნიკაციის უზრუნველყოფა.
8. ფაკულტეტის მენეჯერს დეკანის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

9. დეკანს ჰყავს თანაშემწე, რომელიც ექვემდებარება დეკანს და დახმარებას უწევს მას მისი საქმიანობის ორგანიზებაში.
10. დეკანის თანაშემწის ძირითადი ამოცანაა:
    ა) დეკანის შეხვედრების ორგანიზება;
    ბ) კორესპოდენციების მომზადება და დაგზავნა;
    გ) სტუდენტებთან და სტუდენტურ ორგანიზაციებთან დეკანის ურთიერთობის კოორდინირება;
    დ) დეკანის დავალებების შესრულება.
11. დეკანის თანაშემწეს, დეკანის წარდგინებით, ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

თავი IV
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

მუხლი 13. სამსახურის სტატუსი

1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არის ფაკულტეტის მართვის ორგანო.
2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის, აგრეთვე მისი აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატურ შეფასებას, რაშიც მონაწილეობენ სტუდენტებიც.
3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ძირითადი ამოცანაა ხელი შეუწყოს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას.
4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის, თსუ წესდებით, თსუ-ში მოქმედი რეგულაციებისა და ფაკულტეტის დებულების შესაბამისად.
5. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთიანი საუნივერსიტეტო სისტემის ნაწილს.

მუხლი 14. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფლებამოსილება

1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის გზით; ხელმძღვანელობს და განახორციელებს აკადემიურ სფეროში ფაკულტეტის საქმიანობის თვითშეფასების პროცესს, უზრუნველყოფს ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების ანგარიშის მომზადებას.
2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფლებამოსილია ითანამშრომლოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად.
3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, დადგენილი წესის შესაბამისად, განიხილავს საგანმანათლებლო პროგრამებს და მათი ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის შემდგომ იღებს გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით. ერთობლივი დადებითი დასკვნის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამა განსახილველად გადაეცემა ფაკულტეტის საბჭოს.
4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიშს წელიწადში მინიმუმ ერთხელ წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს.
5. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების სისტემატურ მონიტორინგს. მიღებულ შედეგებს წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს პროგრამების შემდგომი დახვეწის მიზნით. მონაწილეობს აკადემიური პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის შეფასების პროცესში.

მუხლი 15. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტრუქტურა

1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აერთიანებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, დეპარტამენტის ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლებს, რომლებიც წარმოადგენენ სხვადასხვა დარგებს, და დამხმარე პერსონალს.
2. დეპარტამენეტის ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენელი/წარმომადგენლები თავის საქმიანობას ახორციელებს ანაზღაურების გარეშე.
3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დამხმარე პერსონალი ანაზღაურებადი თანამდებობაა.

მუხლი 16. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის უფლებამოსილებანი

1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი:
   ა) წარმართავს, დეპარტამენტების ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლებთან კოორდინაციაში, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობას თსუ-ს წესდების, ფაკულტეტის დებულებისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამართლებრივი აქტების შესაბამისად;
   ბ) ანაწილებს მოვალეობებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებს შორის;
   გ) ხელმძღვანელობს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოკლე და გრძელვადიანი სამუშაო გეგმების შემუშავებასა და მათ შესრულებას;
   დ) წარმოადგენს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებთან, ფაკულტეტებთან და სხვა სამსახურებთან, ხოლო თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენს ფაკულტეტს მესამე პირებთან ურთიერთობისას;
   ე) საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილ ფარგლებში, დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულების მიზნით ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.
2. ფაკულტეტის სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთ-ერთი წევრი.
3. დეპარტამენტის ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენელი პასუხისმგებელია საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაცია/აკრედიტაციის პროცედურებისათვის მოსამზადებელი სამუშაოების და არსებული პროგრამების მონიტორინგზე, აგრეთვე მათ გაუმჯობესებაზე; დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაცია/აკრედიტაციით განსაზღვრული თვითშეფასებების ანგარიშების მონიტორინგზე; დარგობრივი კრედიტების აღიარების პროცედურებში მონაწილეობაზე.
4. საჭიროების შემთხვევაში ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფლებამოსილია კონკრეტული საკითხის გადაწყვეტის მიზნით მოიწვიოს შესაბამისი დეპარტამენტის ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენელი/ები.

მუხლი 17. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევის წესი

1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს ირჩევს ფაკულტეტის საბჭო 4 წლის ვადით. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.
2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსად შეიძლება აირჩეს ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

თავი V
ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოები

მუხლი 18. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოების სტატუსი

1. ფაკულტეტის დარგობრივი სადისერტაციო საბჭოები დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანოებია, რომლებიც თავის საქმიანობას წარმართავენ კანონმდებლობით, თსუ-ს წესდებითა და ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოების დებულებების შესაბამისად.
2. სადისერტაციო საბჭო შეიმუშავებს სადისერტაციო საბჭოს დებულებას, რომლითაც განისაზღვრება სადისერტაციო საბჭოს შედგენისა და მისი თავმჯდომარის არჩევის წესი, ასევე დისერტაციის დაცვის პროცედურა. სადისერტაციო საბჭოების დებულებას ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.
3. სადისერტაციო საბჭო შედგება დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე შესაბამისი დარგის/სპეციალობის ყველა პროფესორისა და ასოცირებული პროფესორისაგან.
4. სადისერტაციო საბჭოებს ჰყავთ თავმჯდომარე და მდივანი, რომლებიც აირჩევიან შესაბამისი სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობიდან.

თავი VI
ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულები

მუხლი 19. დამხმარე სტრუქტურული ერთეულები

1. ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულები იქმნება ფაკულტეტის გამართული საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით.
2. ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულებია:
   ა) სასწავლო პროცესის მართვის სამსახური;
   ბ) სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური;
   გ) კანცელარია;
   დ) რესურსების მართვის სამსახური;
3. დამხმარე სტრუქტურულ ერთეულში შესაძლოა არსებობდეს შემდეგი თანამდებობები: დამხმარე სტრუქტურული ერთეულის უფროსი, მთავარი სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი, მდივანი.

მუხლი 20. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური

1. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას, სტუდენტთა საინფორმაციო მონაცემთა ბაზის სრულყოფას, სტუდენტთა პირადი საქმეების წარმოებაზე კონტროლს, სტუდენტთა ინფორმირებას სასწავლო პროცესთან დაკავშირებით, სტუდენტთა დასაქმებაზე ორიენტირებულ პროექტებზე მუშაობას და სხვ.
2. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ძირითადი ამოცანებია:

ა) ფაკულტეტზე სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა;

ბ) საგანამანათლებლო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა სასწავლო-მეთოდური მიდგომის შესაბამისად: საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი, სასწავლო ცხრილების შედგენა.

გ) ფაკულტეტის სტუდენტთა პირველადი რეგისტრირება თსუ მონაცემთა ბაზაში;

დ) სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაციის პროცესის ორგანიზება;

ე) სტუდენტთა საინფორმაციო მონაცემთა ბაზის სრულყოფისა და დაცვისათვის შესაბამის საუნივერსიტეტო სამსახურებთან თანამშრომლობა;

ვ) სტუდენტთა პირადი საქმეების წარმოება;

ზ) სტუდენტთა პირადი მონაცემების შეტანა სტუდენტის ბარათსა და მონაცემთა ბაზაში;

თ) შუალედური და დასკვნითი საგამოცდო უწყისების მომზადება, პედაგოგებისთვის გადაცემა, შევსებული უწყისების შეგროვება და ინფორმაციის შეტანა სტუდენტთა მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში;

ი) კურსდამთავრებულთა თაობაზე წარდგინების პროექტის მომზადება და დიპლომის დანართების მომზადება;
კ) კურსდამთავრებულთა დოკუმენტაციის დაარქივება დადგენილი წესის შესაბამისად;
ლ) დეკანის დავალებით სტატისტიკური მონაცემების სისტემატური წარმოება;
მ) სასწავლო პროცესთან დაკავშირებით ფაკულტეტზე შემოსული კორესპონდენციის განხილვა და პასუხის მომზადება;
ნ) სტუდენტთა ინფორმირება სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე, შესაბამისი ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსება.
3. ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი. სამსახურის უფროსსა და თანამშრომლებს ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ნიშნავს და წარდგინებით ან მის გარეშე ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

მუხლი 21. სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური

1. სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულია, რომელიც უზრუნველყოფს სამეცნიერო კვლევების ორგანიზებას, კოორდინირებას უწევს ფაკულტეტზე სადოქტორო პროგრამების მუშაობას და სხვ.
2. სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის ძირითადი ამოცანებია:
ა) პროფესორ–მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება;
ბ) სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის შედეგების ანალიზი, წლიური ანგარიშის მომზადება და თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტში წარდგენა;
გ) სტუდენტთა სამეცნიერო წრეების მუშაობის კოორდინირება და მონიტორინგი;
დ) დოქტორანტთა კოლოკვიუმების და სემინარის ორგანიზება;
ე) ფაკულტეტზე სამეცნიერო მუშაობის კოორდინირება;
ვ) ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ინფორმირება საგრანტო კონკურსების შესახებ;
ზ) ყოველი სემესტრის ბოლოს შემდგომი სემესტრისათვის დაგეგმილი ღონისძიებების (კონფერენციები, სემინარები და ა.შ.) გეგმის ფაკულტეტის დეკანისთვის წარდგენა;
თ) სკოლის მოსწავლეებთან (საბავშვო უნივერსიტეტის ფარგლებში) და ფაკულტეტის კურსდამთავრებულებთან მუშაობა.
ი) სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური თავისი უფლებამოსილებების ფარგლებში კოორდინირებულად მუშაობს სადისერტაციო საბჭოსთან და პასუხისმგებელია დოქტორანტთა აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის პირად საქმეში და მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ასახვაზე
3. ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი. სამსახურის უფროსსა და თანამშრომლებს ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ნიშნავს და წარდგინებით ან მის გარეშე ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

მუხლი 22. კანცელარია

1. ფაკულტეტის კანცელარია უზრუნველყოფს ფაკულტეტზე დოკუმენტბრუნვის ორგანიზებასა და გამართულ ფუნქციონირებას, ფაკულტეტზე შემოსული და გასული კორესპონდენციის, განცხადებებისა და საჩივრების მიღებას, რეგისტრირებას, დეკანის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების რეგისტრაციას და ფაკულტეტის შესაბამისი თანამშრომლებისათვის ასლების მიწოდებას; სააღრიცხვო-საცნობარო სამუშაოთა შესრულებასა და დანიშნულებისამებრ გადაცემა-დაგზავნას, ახდენს დოკუმენტაციის გაცემას უფლებამოსილ პირებზე, უზრუნველყოფს საარქივო საქმისწარმოების სისტემის ფუნქციონირებას, ფაკულტეტზე არსებული საჯარო ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფას უნივერსიტეტის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირისათვის და სხვ.
2. ფაკულტეტის კანცელარიაში ინახება ფაკულტეტის ბეჭედი და ბლანკი, რომლებიც გამოიყენება დადგენილი წესის მიხედვით

3. ფაკულტეტის კანცელარიას ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი. კანცელარიის უფროსსა და თანამშრომლებს ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ნიშნავს და წარდგინებით ან მის გარეშე ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

მუხლი 23. რესურსების მართვის სამსახური

1. რესურსების მართვის სამსახურის დანიშნულებაა რესურსების ეფექტიანად მართვის საფუძველზე ფაკულტეტის სტუდენტებს და პერსონალს შეუქმნას სწავლის, შრომისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ნორმალური პირობები; უზრუნველყოს ფაკულტეტის ბალანსზე არსებული ქონების მფლობელობისა და სარგებლობის ოპტიმალური რეჟიმის დადგენა; განახორციელოს მატერიალურ ფასეულობათა მიღება და მოვლა-პატრონობა მოქმედი კანონმდებლობის დაცვით და სხვ.
2. რესურსების მართვის სამსახურის ძირითადი ამოცანებია:

ა) ფაკულტეტის განკარგულებაში არსებული მატერიალური რესურსების ეფექტიანი მართვა;

ბ) სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი პროცესების საჭირო მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფა;

გ) მატერიალურ–ტექნიკური და სასწავლო ბაზების სისტემატური გაუმჯობესება;

დ) ფაკულტეტის განკარგულებაში არსებული მატერიალური რესურსების შენახვის, აღრიცხვისა და გამოყენების პროცესის სრულყოფის მიზნით თსუ შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობა.

3. რესურსების მართვის სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი. სამსახურის უფროსსა და თანამშრომლებს ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ნიშნავს და წარდგინებით ან მის გარეშე ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

მუხლი 24. ბიბლიოთეკა

1. ფაკულტეტზე ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომელიც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სტრუქტურული ერთეულია და მისი მართვა ხორციელდება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულებით დადგენილი წესით.

2. ბიბლიოთეკის თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები განისაზღვრება თსუ-ს ბიბლიოთეკის დებულებით.

თავი VII

საგანმანათლებლო პროგრამა, ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურა, საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის განმახორციელებელი ერთეულები

მუხლი 25. საგანმანათლებლო პროგრამა

1. საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი) – უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/მოდულების ერთობლიობაა, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები შესაბამისი კრედიტებით, სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები; ის უზრუნველყოფს სპეციალისტთა მომზადებას სწავლების ცალკეული საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) მიხედვით და აკმაყოფილებს აკრედიტაცია/ავტორიზაციის სტანდარტებს.
2. საბაკალავრო პროგრამა შედგება სასწავლო კურსებისა და/ან მოდულებისაგან.
3. სამაგისტრო პროგრამა შედგება სასწავლო კურსებისა და/ან მოდულებისაგან, სამაგისტრო ნაშრომის მოსამზადებლად განკუთვნილი კომპონენტისაგან და სრულდება სამაგისტრო ნაშრომის დაცვით.
4. სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტისაგან და სრულდება სადისერტაციო ნაშრომის დაცვით.
5. საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი, მასწავლებელი, მკვლევარი ან მოწვეული პერსონალი. შესაბამისი კვალიფიკაციის

მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რაც შეიძლება დადგინდეს ამ პირის აკადემიური ხარისხით, მიღებული განათლებით, პუბლიკაციებით ან პროფესიული გამოცდილებით.

6. საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება განხორციელდეს პარტნიორ დაწესებულებებთან: საქართველოს ან უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ან სამეცნიერო – კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობით. სადოქტორო პროგრამა შეიძლება განხორციელდეს უნივერსიტეტის შესამაბისი დარგის/სპეციალობის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებთან ერთობლივად.

მუხლი 26. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი

1. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს თსუ დადგენილი წესის შესაბამისად არჩეული პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და/ან კოორდინატორი.
2. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ფაკულტეტის შესაბამისი დარგის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. რამდენიმე ხელმძღვანელის შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელთა საერთო გადაწყვეტილების საფუძველზე ერთ–ერთი მათგანი შეიძლება იყოს კოორდინატორი. გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით.
3. პროგრამას შეიძლება უხელმძღვანელოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეულმა პირმაც. გადაწყვეტილებას პროგრამის ხელმძღვანელის მოწვევის შესახებ იღებს თსუ აკადემიური საბჭო. ამ შემთხვევაში აკადემიურ საბჭოს წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ამ პირის მოწვევის აუცილებლობის შესახებ და მაშინ მოწვეულ პირთან ერთად პროგრამას უნდა უხელმძღვანელოს ფაკულტეტის პროფესორმა ან ასოცირებულმა პროფესორმაც.
4. პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი დეპარტამენტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის ჩართულობით წარმოადგენს ფაკულტეტისა და თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ძირითად საკონტაქტო პირს, რომელსაც ეცნობება პროგრამის შიდა და გარე შეფასების, ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის შედეგები და ევალება მათზე რეაგირება პროგრამის სრულყოფის მიზნით.
5. პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი კათედრის გამგესთან და დეპარტამენტის /დეპარტამენტების ხელმძღვანელთან ერთად პასუხისმგებელია საუნივერსიტეტო და სააკრედიტაციო მოთხოვნებთან პროგრამის შესაბამისობაზე. საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი პასუხისმგებელია პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი სილაბუსების ხარისხზე, ხოლო სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი პასუხისმგებელია სადოქტორო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტის ხარისხზე.
6. პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი პასუხისმგებელია პროგრამის კურიკულუმის თაობაზე სტუდენტებისათვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებაზე, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხებზე დეკანისათვის გონივრულ ვადაში წინადადებების წარდგენაზე.
6. პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის საბჭოს წინაშე.
7. ერთი და იგივე პირი შეიძლება იყოს სწავლების ერთი საფეხურის მხოლოდ ერთი საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის ხელმძღვანელი. გადაწყვეტილება გამონაკლისის შესახებ შეიძლება მიიღოს აკადემიურმა საბჭომ ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე.

მუხლი 27. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, განხილვა და დამტკიცება

1. ფაკულტეტის საგანანათლებლო პროგრამას შეიმუშავებენ ფაკულტეტის შესაბამისი მიმართულების პროფესორები. ამ პროცესში ჩართული უნდა იყოს დეპარტამენტის ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენელიც.
2. საგანმანათლებლო პროგრამების განხილვის პროცესი მიმდინარეობს პროგრამის პროფილის სასწავლო დეპარატამენტში აკადემიური პერსონალის კრებაზე. გადაწყვეტილება მიიღება ხმათა

უმრავლესობით. პროგრამის ხელმძღვანელი /კოორდინატორი დეპარტამენტის ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენელთან ერთად საგანმანათლებლო პროგრამას წარადგენს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, რომლის დადებითი დასკვნის შემთხვევაში იგი წარედგინება ფაკულტეტის დეკანს.

3. ფაკულტეტის დეკანი სასწავლო პროგრამებს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს.
4. ფაკულტეტის საბჭო განიხილავს პროგრამას და თანხმობის შემთხვევაში უგზავნის მას უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს აკადემიურ საბჭოზე წარსადგენად.
5. საგანმანათლებლო პროგრამებს ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.
6. დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანა ხდება პროგრამის დამტკიცებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.
7. პროგრამის მუშაობისას აღმოჩენილი ტექნიკური ხარვეზების გასწორება ხდება ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით.

მუხლი 28. ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული მოწყობა

1. სასწავლო - სამეცნიერო სტრუქტურა შედგება ფაკულტეტის შემადგენლობაში შემავალი დეპარტამენტებისა და დეპარტამენტების შემადგენლობაში შემავალი კათედრების/მიმართულებებისგან.
2. კათედრები/მიმართულებები და დეპარტამენტები შესაძლებელია აერთიანებდეს ლაბორატორიებს, ცენტრებს და ა.შ. რაც განისაზღვრება წინამდებარე დებულებით ან ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით.

მუხლი 29. სასწავლო-სამეცნიერო კათედრა/მიმართულება

1. კათედრა/მიმართულება არის დეპარტამენტის პირველადი სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეული, რომელიც წარმოადგენს პროგრამის ან მომიჯნავე, მონათესავე, ერთმანეთთან მჭიდრო საგანმანათლებლო-სამეცნიერო კავშირში მყოფი პროგრამების განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური, ტექნიკური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო რესურსების ერთიანობას. ის უზრუნველყოფს კვლევას და სასწავლო-სამეცნიერო მუშაობას სწავლების სამივე საფეხურზე – ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში. კათედრაზე, პროფილის შესაბამისად, გაერთიანებულია აკადემიური პერსონალი. კათედრაში ასევე შეიძლება გაერთიანდეს სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიები და სხვა სასწავლო-სამეცნიერო და ტექნიკური პერსონალი.
2. კათედრა დეპარტამენტის ის სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულია, სადაც გაერთიანებულია ორი ან მეტი აკადემიური პერსონალი.
3. მიმართულება ისეთი სტრუქტურული ერთეულია, სადაც ერთი აკადემიური პერსონალი მაინცაა გაერთიანებული.
4. კათედრა და მიმართულება თანაბარი უფლებამოსილებით აღჭურვილი სტრუქტურული ერთეულებია დეპარტამენტის შემადგენლობაში და წინამდებარე დებულების ის ნორმები, რომლებიც საზღვრავს კათედრის სამართლებრივ სტატუსსა და უფლებამოსილებებს ასევე ვრცელდება მიმართულებაზე.
5. კათედრას ხელმძღვანელობს კათედრის გამგე. კათედრის გამგე არის კათედრის პროფესორი. განსაკუთრებულ შემთხვევაში (როდესაც კათედრაზე გაერთიანებული არ არის პროფესორის აკადემიური თანამდებობის მქონე პირი ან არის ერთზე მეტი პროფესორი) დეპარტამენტის საბჭო უფლებამოსილია, აირჩიოს კათედრის გამგე/მოვალეობის შემსრულებელი.
6. კათედრის გამგე/მიმართულების ხელმძღვანელი კურირებს კათედრის/მიმართულების სასწავლო, სამეცნიერო და საორგანიზაციო მუშაობას, რომელიც:

   ა) სასწავლო პროგრამების ხელმძღვანელებთან შეთანხმებით უზრუნველყოფს კათედრის პროფილის სილაბუსების შესაბამისობაში მოყვანას თსუ-ში მოქმედ შესაბამის კურიკულუმებთან; ზრუნავს კურსების განახლებაზე თანამედროვე მიღწევებისა და მეთოდოლოგიის გათვალისწინებით; საჭიროების შემთხვევაში იწვევს სათანადო კვალიფიკაციის პერსონალს; ანაწილებს სასწავლო

კურსებს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის და უზრუნველყოფს აკადემიურ პერსონალს სასწავლო დატვირთვით;

ბ) კათედრის/მიმართულების პროფილის შესაბამისად, კოორდინაციას უწევს კათედრის/მიმართულების წევრების სამეცნიერო მუშაობას, ავითარებს სამეცნიერო კვლევების პოლიტიკას პერსონალის აკადემიური თავისუფლების გათვალისწინებით;

გ) უფლებამოსილია მოიწვიოს კათედრის/მიმართულების სხდომა და უხელმძღვანელოს მას. დ) კოორდინირებას უწევს აკადემიური პერსონალის მიერ ყოველწლიური სამეცნიერო ანგარიშების დროულად წარდგენას და ამ პერსონალის სასწავლო დატვირთვის კონტროლს.

ე) ზრუნავს საერთაშორისო კავშირების დამყარებაზე.

ვ) კათედრის/მიმართულების წევრებს აწვდის ინფორმაციას თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებისა და უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების შესახებ;

ზ) საჭიროების შემთხვევაში ორგანიზებას უკეთებს როგორც სტუდენტების, ასევე თანამშრომლების კონფერენციების/სემინარების ჩატარებას.

თ) ხელმძღვანელობს საბაკალავრო და სამაგისტრო თემატიკის შერჩევას. ნერგავს სწავლების თანამედროვე მეთოდებს.

ი) დეპარტამენტის საბჭოზე წარადგენს წლიურ ანგარიშს ჩატარებული მუშაობის შესახებ.

7. კათედრის/მიმართულების წევრი მონაწილეობს კათედრის/მიმართულების სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობაში და თავისი აკადემიური კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს კათედრის გამგის / მიმართულების ხელმძღვანელის დავალებებს.

მუხლი 30. სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტები

1. სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი არის სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების (კათედრები, მიმართულებები, ლაბორატორიები და სხვა) გაერთიანება, რომელიც თავის სასწავლო-სამეცნიერო სფეროში სწავლების სამივე საფეხურზე - ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში უზრუნველყოფს კვლევასა და სასწავლო-სამეცნიერო მუშაობას.
2. დეპარტამენტი აერთიანებს შესაბამისი სასწავლო-სამეცნიერო პროფილის აკადემიურ პერსონალს და დეპარტამენტის სხვა თანამშრომლებს. დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი მონაწილეობს დეპარტამენტის სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობაში, დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი ირჩევს დეპარტამენტის ხელმძღვანელს. დეპარტამენტის სხვა თანამშრომლები მონაწილეობენ დეპარტამენტის სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობაში.
3. დეპარტამენტის მართვის ორგანოებია დეპარტამენტის საბჭო და დეპარტამენტის ხელმძღვანელი. დეპარტამენტის საბჭო შედგება კათედრის გამგეებისა და დეპარტამენტის ხელმძღვანელისაგან.
4. დეპარტამენტის საბჭო იკრიბება საჭიროებისამებრ.
5. დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების კომისია შედგება პროგრამების ხელმძღვანელე-ბისა და დეპარტამენტის ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლისგან.
6. დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების კომისია იკრიბება სემესტრში ერთხელ მაინც.
7. დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის კრება იკრიბება საჭიროებისამებრ.
8. დეპარტამენტის საბჭო ნიშნავს დეპარტამენტის ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენელს/წარმომადგენლებს 4 წლის ვადით. დეპარტამენტის ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენელი/წარმომადგენლები უზრუნველყოფს დეპარტამენტში სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის მონიტორინგს, და კოორდინაციაშია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.
9. დეპარტამენტის ხელმძღვანელად აირჩევა პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. დეპარტამენტის ხელმძღვანელს სამი წლის ვადით ირჩევს დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის კრება ფარული კენჭისყრით და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო. დეპარტამენტის ხელმძღვანელად არჩევნებისთვის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის კრება ირჩევს თავმჯდომარესა და მდივანს. დეპარტამენტის ხელმძღვანელობის კანდიდატების დასახელება ხდება კრებაზე. უკეთესი

შედეგის მქონე კანდიდატი ხდება დეპარტამენტის ხელმძღვანელი. თანაბარი ხმების მიღების შემთხვევაში ტარდება განმეორებითი კენჭისყრა. კენჭისყრის შედეგები ჯამდება სათანადო ოქმით.დეპარტამენტის ხელმძღვანელად პირი შეიძლება არჩეულ იქნას ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. საჭიროების შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია, კათედრის გამგეებისა და დეკანის ერთობლივი წარდგინებით, აირჩიოს დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი. დეპარტამენტის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საკითხის დაყენება შესაძლებელია დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის ერთი მესამედის მოთხოვნით. გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭო.

10. იმ კათედრის აკადემიური პერსონალი, რომელიც გაერთიანებულია ერთზე მეტ დეპარტამენტში, არჩევნებში, როგორც ამომრჩეველი, ასევე როგორც ასარჩევი პირი, მონაწილეობს მხოლოდ ერთი სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტის ფარგლებში. გადაწყვეტილებას, თუ რომელი სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის სტატუსით მიიღებს ასეთი პირი არჩევნებში მონაწილეობას, აკადემიური პერსონალი იღებს თავად.
11. დეპარტამენტის ხელმძღვანელი:

ა) კოორდინირებას უწევს დეპარტამენტის სასწავლო, სამეცნიერო და საორგანიზაციო მუშაობას.

ბ) დეპარტამენტის ხელმძღვანელი კოორდინირებას უწევს კათედრების/ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელების მიერ წარმოდგენილ სასწავლო კურსებს. ზრუნავს დეპარტამენტის სასწავლო-სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განახლებაზე. კათედრის გამგეების და პროგრამების ხელმძღვანელთა წარდგინებით რეკომენდაციას აძლევს სათანადო კვალიფიკაციის პერსონალს სასწავლო პროცესში ჩართვისთვის. კოორდინირებას უწევს დეპარტამენტის აკადემიური და მოწვეული სპეციალისტების სასწავლო დატვირთვით უზრუნველყოფას.

გ) დეპარტამენტის ხელმძღვანელი კოორდინირებას უწევს დეპარტამენტის კვლევით მუშაობას; დეპარტამენტის პროფილის შესაბამისად ავითარებს სამეცნიერო კვლევების პოლიტიკას დეპარტამენტის წარმომადგენელთა აკადემიური თავისუფლების გათვალისწინებით.

დ) დეპარტამენტის ხელმძღვანელი უფლებამოსილია მოიწვიოს დეპარტამენტის საბჭო და დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის კრება და უხელმძღვანელოს მას. იგი კოორდინირებას უწევს დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების და დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ ყოველწლიური სამეცნიერო ანგარიშების მომზადება/წარდგენას, მათ სასწავლო დატვირთვას. ხელს უწყობს საერთაშორისო კავშირების დამყარებას. დეპარტამენტის თანამშრომლებს აწვდის ინფორმაციას უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების შესახებ.

ე) საჭიროების შემთხვევაში ორგანიზებას უკეთებს დეპარტამენტის სემინარების ჩატარებას. კოორდინირებას უწევს კათედრების მიერ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო თემატიკის შერჩევას არსებული რესურსების გათვალისწინებით.

ვ) ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს წლიურ ანგარიშს ჩატარებული მუშაობის შესახებ და განათავსებს თსუ-ს ვებ-გვერდის ფაკულტეტისთვის გამოყოფილ ნაწილში. უზრუნველყოფს დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულებისა და აკადემიური პერსონალის მიერ ვებ-გვერდზე ინფორმაციის დროულად განთავსებას.

მუხლი 31. ლაბორატორია

1. ლაბორატორია წარმოადგენს ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო ერთეულს. ლაბორატორია ჩართულია შესაბამისი დეპარტამენტ(ებ)ის სასწავლო საქმიანობაში საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის განხორციელების მიზნით და ატარებს ფუნდამენტურ და/ან გამოყენებით სამეცნიერო კვლევებს.
2. ლაბორატორიის პერსონალის დასახელებები განსაზღვრულია უნივერსიტეტის საშტატო განრიგით.

მუხლი 32. დამხმარე საგანმანათლებლო-სტრუქტურული ერთეული

1. დამხმარე საგანმანათლებლო-სტრუქტურული ერთეულის ძირითადი დანიშნულებაა ხელი შეუწყოს თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ სწავლებას, ტუდენტების კვალიფიკაციის ამაღლებას და ახალი პროფესიული უნარების შეძენას. კერძოდ, უნივერსიტეტში მოწინავე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლების სისტემის განვითარებას; ფაკულტეტზე ონლაინ საგანმანათლებლო ღონისძიებების ხელშეწყობასა და ადმინისტრირებას; უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციისთვის ხელშეწყობას; ელექტრონული სწავლების გამოყენებას უწყვეტი განათლების სფეროში.
2. დამხმარე საგანმანათლებლო-სტრუქტურულ ერთეულს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელიც წარმართავს მის მუშაობას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს უწყობს კონტაქტების განვითარებას საქართველოსა და უცხო ქვეყნების სამეცნიერო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. დირექტორს თანამდებობაზე ამტკიცებს და ათავისუფლებს დეკანის წარდგინებით ფაკულტეტის საბჭო. დირექტორის მიერ თავის უფლებამოსილებათა განხორციელების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებებს ასრულებს დამხმარე საგანმანათლებლო-სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელი, რომელსაც მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო. დირექტორი შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ყოველწლიურ სამუშაო გეგმას. დირექტორი ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის საბჭოს წინაშე.

მუხლი 33. ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო-სტრუქტურული ერთეულები

ფაკულტეტის დამხმარე საგანმანათლებლო-სტრუქტურული ერთეულები - ცენტრებია:

ა) ელექტრონული სწავლების ცენტრი
ბ) მულტიდისციპლინური ინოვაციური ცენტრი

მუხლი 34. დამხმარე სამეცნიერო-სტრუქტურული ერთეული - ინსტიტუტი

1. ფაკულტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულების (სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი) მიზანია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა, უცხოეთის წამყვან სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან და/ან სხვა საერთაშორისო ფონდებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, თანამედროვე სამეცნიერო-კვლევითი პრობლემატიკის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელება. დამხმარე სამეცნიერო ერთეულები ახორციელებენ სამეცნიერო საქმიანობას და შესაძლებელია მონაწილეობდნენ სასწავლო პროცესში.
2. ინსტიტუტის სტრუქტურა ყალიბდება და იცვლება ინსტიტუტის ამოცანების, ფუნქციებისა და შესაძლო დაფინანსების შესაბამისად. ინსტიტუტის სტრუქტურა განისაზღვრება ინსტიტუტის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.
3. ინსტიტუტის სამეცნიერო და საორგანიზაციო-ადმინისტრაციულ საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც განსაზღვრული ვადით ირჩევს ინსტიტუტის პერსონალის საერთო კრება და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.
4. ინსტიტუტის თანამდებობების დასახელებებია:
   ა) ინსტიტუტის დირექტორი;
   ბ) ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე;
   გ) ინსტიტუტის განყოფილების გამგე;
   დ) ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-მკვლევარი;
   ე) ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მკვლევარი;
   ვ) ინსტიტუტის მეცნიერ-მკვლევარი;
   ზ) ინსტიტუტის ტექნიკური მუშაკი.

5. ინსტიტუტს აქვს მოკლევადიანი (ერთწლიანი) და გრძელვადიანი (არ უმეტეს ხუთი წლისა) სამოქმედო გეგმა, რომელიც განხილულია ინსტიტუტის საერთო კრებაზე, ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების კომისიის მიერ და დამტკიცებულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ.
6. ინსტიტუტი ფაკულტეტის საბჭოს ყოველწლიურად წარუდგენს ანგარიშს ჩატარებული მუშაობის შესახებ.
7. ინსტიტუტის შექმნა და გაუქმება შესაძლებელია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8. ინსტიტუტი არ შეიძლება იმყოფებოდეს ფაკულტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე

მუხლი 35. ფაკულტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულები

ფაკულტეტის დამხმარე სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულები - სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებია:

ა) სტატისტიკური კვლევების ინსტიტუტი;
ბ) სისტემების კვლევისა და ინჟინერიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
გ) არაწრფივი მოვლენების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;
დ) გამოთვლითი ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;
ე) კონდენსირებული გარემოს ფიზიკისა და პერსპექტიულ მასალათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;
ვ) ნახევარგამტართა ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;
ზ) გამოყენებითი ნახევრადგამტარული ტექნოლოგიების სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტი;
თ)ნივთიერებათა კვლევის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;
ი) სამედიცინო და გამოყენებითი ბიოფიზიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტი;
კ) ბიოფიზიკისა და ბიო-ნანომეცნიერებების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;
ლ) მაკრომოლეკულების ქიმიის და პოლიმერული მასალების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;
მ) მეტალორგანული ქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;
ნ) ორგანული ქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;
ო) ფიზიკური და ანალიზური ქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;
პ) არაორგანულ–ორგანული არატრადიციული ჰიბრიდული მასალების სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტი;
ჟ) ბიოორგანული ტექნოლოგიების სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტი ;
რ) გენეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;
ს) სტრესის ბიოქიმიური მექანიზმების შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;
ტ) ბიოეფექტური ტექნოლოგიების ფუნდამენტური კვლევების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;
უ) უჯრედული და მოლეკულური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ;
ფ) გამოყენებითი ეკოლოგიის ინტერდისციპლინარული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ;
ქ) გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;
ღ) ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის სამეცნიერო –კვლევითი ინსტიტუტი.

მუხლი 36. ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულები

ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებია:

1. მათემატიკის დეპარტამენტი, რომელშიც გაერთიანებულია:

ა) მათემატიკური ანალიზის კათედრა;

ბ) ალგებრა-გეომეტრიის კათედრა;
გ) დიფერენციალური განტოლებების კათედრა;
დ) ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის კათედრა;
ე) მექანიკის კათედრა;
ვ) რიცხვითი ანალიზის და გამოთვლითი ტექნოლოგიების კათედრა (ინტერდისციპლინური);
ზ) მათემატიკური ლოგიკისა და დისკრეტული სტრუქტურების კათედრა (ინტერდისციპლინური);
თ) უწყვეტ გარემოთა მექანიკის მათემატიკური პრობლემების ანალიზის მონათესავე საკითხების სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია;
ი) მათემატიკური მოდელირებისა და გამოთვლითი მათემატიკის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია;
კ) გამოყენებითი ლოგიკისა და პროგრამირების სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია.

2. **კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი, რომელშიც გაერთიანებულია:**
ა) თეორიული ინფორმატიკის კათედრა;
ბ) პრაქტიკული ინფორმატიკის კათედრა;
გ) გამოყენებითი ინფორმატიკის კათედრა;
დ) ტექნიკური ინფორმატიკის კათედრა;
ე) რიცხვითი ანალიზის და გამოთვლითი ტექნოლოგიების კათედრა (ინტერდისციპლინური);
ვ) მათემატიკური ლოგიკისა და დისკრეტული სტრუქტურების კათედრა (ინტერდისციპლინური);
ზ) აპარატურული და ტექნიკური უზრუნველყოფის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია;
თ) პროგრამული უზრუნველყოფის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია.

3. ფიზიკის დეპარტამენტი, რომელშიც გაერთიანებულია:
ა) ელემენტარული ნაწილაკების და კვანტური ველების კათედრა;
ბ) არაწრფივი მოვლენების ფიზიკის კათედრა;
გ) ატომისა და ატომბირთვის ფიზიკის კათედრა
დ) ასტროფიზიკის კათედრა;
ე) პლაზმის ფიზიკის კათედრა;
ვ) კონდენსირებული გარემოს ფიზიკის კათედრა;
ზ) რადიოფიზიკის, ფიზიკური პროცესების მოდელირების მიმართულება;
თ) ბიოფიზიკის კათედრა (ინტერდისციპლინური);
ი) ბიოფიზიკის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია (ინტერდისციპლინური);
კ) ატომური ფიზიკის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია;
ლ) ბირთვული ფიზიკის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია;
მ) გამოყენებითი ელექტროდინამიკის და რადიოტექნიკის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია;
ნ) ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია;
ო) გეოფიზიკისა და იონოსფეროს ფიზიკის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია;
პ) ზოგადი ფიზიკის სასწავლო ლაბორატორია;
ჟ) კონდენსირებული გარემოს ფიზიკის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია;
რ) ექსპერიმენტული ინფორმაციის მოდელური ანალიზის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია.

4. ქიმიის დეპარტამენტი, რომელშიც გაერთიანებულია:;
ა) ბიოორგანული ქიმიის კათედრა;
ბ) მაკრომოლეკულების ქიმიის კათედრა;
გ) ორგანული და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრა;
დ) ფიზიკური და ანალიზური ქიმიის კათედრა;
ე) ზოგადი, არაორგანული, მეტალორგანული ქიმიის კათედრა;

ვ) ბიოორგანულ ნაერთთა ქიმიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია;
ზ) ზოგადი და არაორგანული ქიმიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია;
თ) მაკრომოლეკულების ქიმიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია;
ი) მეტალორგანული და გამოყენებითი ქიმიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია;
კ) ორგანული ქიმიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია;
ლ) ფიზიკური და ანალიზური ქიმიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია;
მ) ნივთიერებათა კვლევის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია;
ნ) ნივთიერებათა შედგენილობისა და სტრუქტურის კვლევის ინსტრუმენტული მეთოდების სამეცნიერო ლაბორატორია.

5. **ბიოლოგიის დეპარტამენტი,რომელშიც გაერთიანებულია:**
ა) ბიომრავალფეროვნების კათედრა;
ბ) ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრა;
გ) უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის კათედრა;
დ) იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის კათედრა;
ე) მორფოლოგიის კათედრა;
ვ) ბიოქიმიის კათედრა;
ზ) გენეტიკის კათედრა;
თ) ბიოფიზიკის კათედრა (ინტერდისციპლინური);
ი) მცენარეთა ფიზიოლოგიის მიმართულება;
კ) გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის მიმართულება
ლ) ადამიანის და ცხოველთა ფიზიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია;
მ) ბიომრავალფეროვნების სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია;
ნ) მორფოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია;
ო) გენეტიკის სასწავლო-სამეცნიეროლაბორატორია;
პ) იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია;
ჟ) ჯანდარის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია.

6. **გეოგრაფიის დეპარტამენტი, რომელშიც გაერთიანებულია:**
ა) რეგიონალური გეოგრაფიისა და ლანდშაფტური დაგეგმარების კათედრა;
ბ) ჰიდროლოგიის, ოკეანოლოგიის, მეტეოროლოგიის კათედრა;
გ) ნიადაგების გეოგრაფიის კათედრა;
დ) ბუნებათსარგებლობის გეოგრაფიის კათედრა;
ე) გეომორფოლოგიის და კარტოგრაფიის კათედრა;
ვ) გეოგრაფიული სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია;
ზ) ნიადაგების გეოგრაფიისა და ნიადაგმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია;
თ) ჰიდრომეტეოროლოგის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია;
ი) ჰიდრომექანიკისა და ოკეანოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია.

7. **გეოლოგიის დეპარტამენტი,რომელშიც გაერთიანებულია:**
ა) რეგიონული გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრა;
ბ) მინერალოგია-პეტროლოგიისა და სასარგებლო წიაღისეულის კათედრა
ბ) პეტროქიმიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია;
გ) მინერალოგიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია;
დ) პალეონტოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია.

8. **ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტი,რომელშიც გაერთიანებულია:**

ა) ანტენების და ტალღების გავრცელების კათედრა;
ბ) ელექტრომაგნიტური თავსებადობის კათედრა.

თავი VIII
ფაკულტეტის პერსონალი

მუხლი 37. პერსონალის შემადგენლობა

1. ფაკულტეტზე არსებობს აკადემიური, ადმინისტრაციული, სამეცნიერო, მასწავლებელთა და დამხმარე თანამდებობები.
2. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისა და ასისტენტებისაგან.
3. ფაკულტეტის პერსონალის საშტატო ნუსხა წარმოადგენს უნივერსიტეტის საშტატო განრიგის ნაწილს, რომელიც მტკიცდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. საჭიროებისამებრ, ფაკულტეტზე სასწავლო პროცესის წარსამართად ან მასში მონაწილეობის მისაღებად ფაკულტეტი იწვევს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტს.

მუხლი 38. აკადემიური პერსონალი

1. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნება პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი.
2. პროფესორები მონაწილეობენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებში.
3. ასისტენტი პროფესორის ხელმძღვანელობით ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში.
4. აკადემიურ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულება იდება თსუ აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესით განსაზღვრული ვადით.
5. აკადემიური თანამდებობის დაკავებისა და გათავისუფლების წესი და პირობები, თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები, ასევე აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, თსუ-ს წესდებითა და თსუ–ში მოქმედი რეგულაციებით.
6. პროფესორის /ასოცირებული პროფესორის / ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი.
7. ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეული იყოს დოქტორანტი.

თავი IX
სტუდენტი

მუხლი 39. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

1. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი არის პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და თსუ წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ განხორციელებულ ბაკალავრიატის/მაგისტრატურის/დოქტორანტურის პროგრამაზე.
2. ფაკულტეტზე მოქმედებს სამსაფეხურიანი უმაღლესი აკადემიური საგანმანათლებლო სისტემა - ბაკალვრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა.
3. ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, თსუ-ს შესაბამისი სამართლებრივი აქტებით და ფაკულტეტის დებულებით.

მუხლი 40. ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა

1. ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. ფაკულტეტის ბაკალავრიატში სტუდენტის ჩარიცხვა ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა; ფაკულტეტზე ჩარიცხული ბაკალავრიატის სტუდენტი (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ჩარიცხვა ხდება კონკრეტულ საბაკალავრო პროგრამაზე) თავად ირჩევს მისთვის სასურველ საბაკალავრო პროგრამას/პროგრამებს.
3. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტი/სტუდენტი გამოცდას აბარებს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლების ენაში, გარდა საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციებით განსაზღვრული შემთხვევებისა.
4. მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელსაც ჩაბარებული აქვს საერთო სამაგისტრო გამოცდა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა და აკმაყოფილებს შესაბამის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად დადგენილ წინაპირობებს.
5. მაგისტრატურაში მიღება ხორციელდება კონკურსის საფუძველზე. კონკურსის ჩატარებას უზრუნველყოფს თსუ საგამოცდო ცენტრი.
6. საბუთების მიღების ვადები და საკონკურსო საბუთების ჩამონათვალი ყოველი ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე მტკიცდება თსუ-ს რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით.
7. მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების მსურველის (შემდგომში „მაგისტრანტობის კანდიდატი“) საბუთების მიღებას ახორციელებს ფაკულტეტის საბუთების მიმღები კომისია, რომელსაც ფაკულტეტის დეკანი ამტკიცებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
8. მაგისტრანტობის კანდიდატის ჩარიცხვა ხდება კონკრეტულ სამაგისტრო პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდისა და სპეციალობაში წერითი ან წერითი და ზეპირი გამოცდის/გამოცდების შედეგების საფუძველზე.
9. გამოცდა სპეციალობაში ტარდება წერითი ან წერითი და ზეპირი სახით. სამაგისტრო პროგრამებზე, სადაც გათვალისწინებულის მხოლოდ წერითი გამოცდა, საგამოცდო ნამუშევრები ფასდება 100 ქულიანი სისტემით. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ მაგისტრანტობის კანდიდატი მიიღებს დადებით შეფასებას (მინიმუმ 51%). სპეციალობის გამოცდაში მაგისტრანტობის კანდიდატთა ნაშრომებს ამოწმებს საგამოცდო კომისია, რომელიც ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე მტკიცდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
10. სამაგისტრო პროგრამებზე, სადაც გათვალისწინებულია წერითი და ზეპირი გამოცდა სპეციალობაში, ცალკეული საგამოცდო კომპონენტის ქულა და დადებითი შეფასება განისაზღვრება სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები გამოცდის შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად.
11. მაგისტრატურაში მისაღები წერითი გამოცდა(ები) ტარდება თსუ საგამოცდო ცენტრის მიერ
12. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.
13. დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიეცეს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს,“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.
14. დოქტორანტურაში სტუდენტის ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით და აკმაყოფილებს შესაბამის სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად დადგენილ წინაპირობებს.
15. დოქტორანტურაში მიღება ხორციელდება კონკურსის საფუძველზე.

16. საბუთების მიღების ვადები და საკონკურსო საბუთების ჩამონათვალი ყოველი ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე მტკიცდება თსუ-ს რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით.
17. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ერთ-ერთი ევროპული სამეცნიერო ენის (გერმანული, ინგლისური ან ფრანგული) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა. გამოცდისაგან გათავისუფლებულნი არიან ის კანდიდატები, რომლებიც წარმოადგენენ საერთაშორისო სერთიფიკატს, რომელიც ადასტურებს ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის B2 დონეზე ცოდნას. გამოცდიდან გათავისუფლება შეიძლება მოხდეს უნივერსიტეტში მოქმედი სხვა რეგულაციებით განსაზღვრულ შემთხვევებში. გადაწყვეტილებას უცხო ენის გამოცდისგან გათავისუფლების შესახებ იღებს თსუ უცხო ენების შემსწავლელი ცენტრი. დოქტორანტობის იმ კანდიდატს, რომლის მშობლიური ენა ქართული არ არის და რომელსაც სურს ქართულენოვანი პროგრამით სწავლა, წარმოადგენს ქართული ენის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს ან აბარებს გამოცდას ქართულ ენაში.
18. გამოცდა უცხო ენაში ტარდება წერილობითი ფორმით, რომელიც საგამოცდო კომისიის წევრის მიერ ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატი მიიღებს მინიმუმ 51 ქულას.
19. დოქტორანტობის კანდიდატი უცხო ენის გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში გადის გასაუბრებას შესაბამისი სადოქტორო პროგრამის სადისერტაციო საბჭოზე ან საბჭოს მიერ შექმნილ კომისიაზე. თუკი შესაბამისი სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს მისაღებ გამოცდას სპეციალობაში დოქტორანტი აბარებს გამოცდას დადგენილი წესით.
20. სტუდენტის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციებითა და სტუდენტთან დადებული ხელშეკრულებით.
21. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა ხდება საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდებისა და უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციებით.

მუხლი 41. ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობა

1. ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობა შედგება ფაკულტეტზე ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების საფუძველზე არჩეული სტუდენტებისაგან.
2. ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, თსუ-ს წესდებითა და თსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით.

თავი XI
ფაკულტეტის ბიუჯეტი და ფინანსები

მუხლი 42. ფაკულტეტის ბიუჯეტი

1. ფაკულტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს თსუ ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს.
2. თსუ წესდებით დადგენილი წესით, ფაკულტეტი მონაწილეობს თსუ ბიუჯეტის შემუშავების პროცესში.

თავი XII
ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

მუხლი 43. ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

1. ფაკულტეტის დებულებას დეკანის წარდგინებით განიხილავს ფაკულტეტის საბჭო და ამტკიცებს თსუ წარმომადგენლობითი საბჭო.
2. ფაკულტეტის დებულების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებისა და დამატების შეტანა ხდება ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით.

თავი XIII
გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 44. დებულების მიღება და ამოქმედება

დებულება ამოქმედდეს თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მისი დამტკიცებისთანავე. მოქმედი ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება განისაზღვროს ახალი საბჭოს არჩევნებამდე.

154/2016 **23.12.2016**

,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბრის №122/2014 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 61-ე და 63-ე მუხლების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „პ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „რ" ქვეპუნქტისა და თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 23 დეკემბრის №51 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბრის №122/2014 დადგენილებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებული №3, №5 და №6 დანართები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით (დანართი №3, დანართი №5, დანართი №6).

ბ) დადგენილების მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს 2017 წლის 5 აპრილიდან."

2. გაუქმდეს ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2016 წლის 19 დეკემბრის №150/2016 დადგენილება.

3. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
4. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
5. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
6. დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯაროდ გამოცხადებისთანავე, გარდა წინამდებარე დადგენილების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, რომელიც ძალაში შევიდეს 2017 წლის 5 აპრილიდან.

გიორგი შარვაშიძე
რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

დანართი N3

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის **ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტ**ის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო

1. **„ბ“ კატეგორიის აკადემიური პერსონალი**ს თანამდებობრივი სარგო -

ა) პროფესორი - თვეში 2050 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1600 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 960 ლარი.

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულება:

ა) სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა - **პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, **ასოცირებული პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, **ასისტენტ-პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი;

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, რომელიც შეიძლება დაგროვებული იქნას შემდეგი კომპონენტებისაგან აკადემიური თანამდებობების მიხედვით:

ბ.ა) პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო

პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური სამეცნიერო გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 80 ქულიანი შეფასება (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) – **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

ბ.ბ) ასოცირებული პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 80 ქულიანი შეფასება (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

ბ.გ) ასისტენტ-პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 6 წელიწადში ერთხელ მაინც მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 80 ქულიანი შეფასება (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 4 წელიწადში ერთხელ მაინც მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

3. **„ა“ კატეგორიის აკადემიური პერსონალი**ს თანამდებობრივი სარგო –

ა) პროფესორი - თვეში 3550 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 3000 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1660 ლარი.

4. მე-3 პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულება:

ა) სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა - **პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 16 საათი (8 - სააუდიტორიო, 8 - საკონსულტაციო), **ასოცირებული პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 22 საათი (10 - სააუდიტორიო, 12 - საკონსულტაციო), **ასისტენტ-პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 24 საათი (12 - სააუდიტორიო, 12 - საკონსულტაციო);

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, რომელიც განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ და არ უნდა იყოს პროფესორის ამ დანართის მე-2 პუნქტის ,,ბ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზენაკლები, ასოცირებული პროფესორისთვის ამ დანართის მე-2 პუნქტის ,,ბ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები, ასისტენტ-პროფესორისთვის ამ დანართის მე-2 პუნქტის ,,ბ.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები.

5. წინამდებარე დანართის მე-4 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ,,ა“ კატეგორიის აკადემიური პერსონალის მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა შეიმუშაოს ფაკულტეტის საბჭომ და უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში წარმოადგინოს არაუგვიანეს 2015 წლის 1 ივლისისა.

6. წინამდებარე დანართის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ პერსონალს შრომითსამართლებრივი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (გარდა უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან ხელშეკრულებით ან მემორანდუმით დაშვებული/გათვალისწინებული/შემთხვევებისა, ნებადართულია ასევე არასაუნივერსიტეტო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა).

დანართი N5

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის **ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტ**ის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო

1. **„გ“ კატეგორიის აკადემიური პერსონალ**ის თანამდებობრივი სარგო -

ა) პროფესორი - თვეში 1250 ლარი;

ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1000 ლარი;

გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 750 ლარი.

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულება:

ა) სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა - **პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, **ასოცირებული პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, **ასისტენტ-პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი;

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, რომელიც შეიძლება დაგროვებული იქნას შემდეგი კომპონენტებისაგან აკადემიური თანამდებობების მიხედვით:

ბ.ა) პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო

პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური სამეცნიერო გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 80 ქულიანი შეფასება (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) – **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

ბ.ბ) ასოცირებული პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60 ქულა;**

კომპონენტი 3. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 80 ქულიანი შეფასება (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა.**

ბ.გ) ასისტენტ-პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 6 წელიწადში ერთხელ მაინც მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 80 ქულიანი შეფასება (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 4 წელიწადში ერთხელ მაინც მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

3. **„ბ“ კატეგორიის აკადემიური პერსონალი**ს თანამდებობრივი სარგო -

ა) პროფესორი - თვეში 1875 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1500 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1125 ლარი.

4. მე-3 პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულება:

ა) სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა - **პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 4, **ასოცირებული პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 6, **ასისტენტ-პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი;

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, რომელიც განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ და არ უნდა იყოს პროფესორის ამ დანართის მე-2 პუნქტის ,,ბ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზენაკლები, ასოცირებული პროფესორისთვის ამ დანართის მე-2 პუნქტის ,,ბ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები, ასისტენტ-პროფესორისთვის ამ დანართის მე-2 პუნქტის ,,ბ.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები.

5. **,,ა“ კატეგორიის აკადემიური პერსონალი**ს თანამდებობრივი სარგო -

ა) პროფესორი - თვეში 2500 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 2000 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1500 ლარი.

6. მე-5 პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულება:

ა) სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა - **პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 4, **ასოცირებული პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 6, **ასისტენტ-პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი;

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, რომელიც განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ და არ უნდა იყოს პროფესორისათვის, ასოცირებული პროფესორისთვის და ასისტენტ-პროფესორისთვის ამ დანართის მე-4 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები.

7. წინამდებარე დანართის მე-4 პუნქტის ,,ბ“ და მე-6 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ,,ბ“ და ,,ა“ კატეგორიის აკადემიური პერსონალის მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა შეიმუშაოს ფაკულტეტის საბჭომ და უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში წარმოადგინოს არაუგვიანეს 2015 წლის 1 ივლისისა.

8. წინამდებარე დანართის მე-3 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ პერსონალს შრომითსამართლებრივი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (გარდა უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან ხელშეკრულებით ან მემორანდუმით დაშვებული/გათვალისწინებული/შემთხვევებისა, ნებადართულია ასევე არასაუნივერსიტეტო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა).

დანართი N6

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის **იურიდიული ფაკულტეტ**ის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო

1. **„ბ“ კატეგორიის აკადემიური პერსონალი**ს თანამდებობრივი სარგო -

ა) პროფესორი - თვეში 1450 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1220 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1135 ლარი.

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულება:

ა) სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა - **პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, **ასოცირებული პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, **ასისტენტ-პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ 16 საათი (8 - საათი სააუდიტორიო, 8 - საათი საკონსულტაციო);

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, რომელიც შეიძლება დაგროვებული იქნას შემდეგი კომპონენტებისაგან აკადემიური თანამდებობების მიხედვით:

ბ.ა) პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური სამეცნიერო გრანტებიც, ასევე სამეცნიერო

ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 80 ქულიანი შეფასება (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) – **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

ბ.ბ) ასოცირებული პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 80 ქულიანი შეფასება (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**.

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

ბ.გ) ასისტენტ-პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 6 წელიწადში ერთხელ მაინც მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 80 ქულიანი შეფასება (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 4 წელიწადში ერთხელ მაინც მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

3. **,,ა" კატეგორიის აკადემიური პერსონალი**ს თანამდებობრივი სარგო -

ა) პროფესორი - თვეში 3550 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 3000 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1660 ლარი.

4. მე-3 პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულება:

ა) სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა - **პროფესორი**სათვის კვირაში არანაკლებ სავალდებულო 16 საათი (8 - სააუდიტორიო, 8 - საკონსულტაციო),
ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 20 საათი (10 - სააუდიტორიო, 10 - საკონსულტაციო), **ასისტენტ-პროფესორი**სათვის
კვირაში არანაკლებ 24 საათი (12 - სააუდიტორიო, 12 - საკონსულტაციო);

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა,
რომელიც განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ და არ უნდა იყოს პროფესორის ამ დანართის მე-2 პუნქტის ,,ბ.ა" ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები,
ასოცირებული პროფესორისთვის ამ დანართის მე-2 პუნქტის ,,ბ.ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები, ასისტენტ-პროფესორისთვის ამ დანართის
მე-2 პუნქტის ,,ბ.გ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ დატვირთვაზე ნაკლები.

5. წინამდებარე დანართის მე-4 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული ,,ა" კატეგორიის აკადემიური პერსონალის მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა შეიმუშაოს ფაკულტეტის საბჭომ და უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში წარმოადგინოს არაუგვიანეს 2015 წლის 1 ივლისისა.

6. წინამდებარე დანართის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ პერსონალს შრომითსამართლებრივი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (გარდა უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან ხელშეკრულებით ან მემორანდუმით დაშვებული/გათვალისწინებული/ შემთხვევებისა, ნებადართულია ასევე არასაუნივერსიტეტო გრანტებსა და პროექტებში მონაწილეობა).

7. ასისტენტის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს თვეში 1000 ლარით. ასისტენტის თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს სავალდებულო კვირაში არანაკლებ 8 საათიანი სააუდიტორო და 8 საათიანი საკონსულტაციო დატვირთვის შესრულება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

№32/01/02-04-07

20.12.2016

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს

რამდენადაც თქვენთვის ცნობილია, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი წარმოადგენს, მატერიალური რესურსების მართვის სფეროში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელი წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას საფინანსო-ეკონომიკურ ურთიერთობებში. ამავე კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ასევე პასუხისმგებელია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტიანობაზე.

ზემოხსენებული უფლებამოსილებებიდან გამომდინარე უნივერსიტეტისათვის სახელმწიფოს მიერ გადმოსაცემი უძრავი ქონების თაობაზე საკითხები განიხილება და წყდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ. მიუხედავად ზემოხსენებულისა, სასურველად მიმაჩნია, რომ პერიოდულად **მოგაწოდოთ ინფორმაცია** უნივერსიტეტის უძრავ ქონებასთან, მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გადმოცემის პროცედურების მიმდინარეობის, ქონების მიმდინარე მდგომარეობის და სხვა დაკავშრებული საკითხების თაობაზე.

მოგახსენებთ, რომ დღეის მდგომარეობით უნივერსიტეტის საკუთრებაში გადმოცემულია 14 მისამართზე (საკადასტრო კოდზე რიცხული) არსებული უძრავი ქონება (დანართი N1), ხოლო სარგებლობაშია - 15 მისამართზე (საკადასტრო კოდზე რიცხული) არსებული უძრავი ქონება (დანართი N2). ასევე, უნივერსიტეტის ფაქტობრივ მფლობელობაშია, გვერიცხება ბალანსზე და ჯერ-ჯერობით სახელმწიფოს მიერ არ არის რაიმე ფორმით გადმოცემული 42 მისამართზე არსებული უძრავი ქონება, რომლის კანონმდებლობით დადგენილი წესით გადამოცემას უნივერსიტეტი პერიოდულად თხოვს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (დანართი N3). ამჟამად კვლავ მზადდება შესაბამისი კორესპონდენციის პროექტი, სადაც აისახება უნივერსიტეტის მოთხოვნა გადმოსაცემი უძრავი ქონების კანონმდებლობით განსაზღვრული წესით უნივერსიტეტისათვის გადმოცემის შესახებ, შესაბამისი ქონების მითითებით.

ზემოაღნიშნული გადმოცემის პროცედურის დასრულებამდე, გადმოსაცემ - დანართი N3-ში მითითებულ უძრავ ქონებას, სახელმწიფო პერიოდულად აკლებს (მცირდება მიწის ფართის

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge

ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფაქსი: chancellery@tsu.ge; E-mail

ოდენობა და შენობა-ნაგებობათა რაოდენობა) ქონების გარკვეულ ნაწილს შემდგომი განკარგვის მიზნით, რასაც უნივერსიტეტი აზუსტებს მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობებით (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდზე პერიოდული გადამოწმებით).

ერთერთი ასეთი შემთხვევა მოხდა ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირზე მდებარე უძრავ ქონებასთან (ყოფილი ,,თეუსუ"-ს ტერიტორია) დაკავშირებით. კერძოდ, უნივერსიტეტის ერთერთი მოთხოვნის საფუძველზე, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის 2012 წლის 31 ოქტომბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, უნივერსიტეტს სხვა უძრავ ქონებასთან ერთად, **საკუთრებაში გადაეცა** ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირზე მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი 01.17.13.042.006) - **8999 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთზე** განთავსებული შენობა-ნაგებობები N1, N2, N3 (221,6 კვ.მ.), N4. საკუთრებაში არ გადმოუციათ მხოლოდ ხსენებულ მისამართზე არსებული მიწისქვეშა ნაგებობა - სასროლეთი, რომლის გადმოცემა ასევე მოთხოვნილი იყო უნივერსიტეტის სხვადასხვა წერილებით. შემდგომ პერიოდში განხორციელდა აღნიშნული მიწისქვეშა ნაგებობის პრივატიზება და საკუთრებაში გადაეცა კერძო კომპანიას. შესაბამისად დღეის მდგომარეობით უნივერსიტეტი და ხსენებული კერძო კომპანია წარმაოდგენენ ერთ მიწის ნაკვეთზე სხვადასხვა შენობა-ნაგებობების მესაკუთრეებს და ამჟამად მიმდინარეობს ჩვენსა და ამ კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთის) გამიჯვნის პროცედურები.

ასევე, უნივერსიტეტის მოთხოვნის პასუხად, სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ გვთხოვა, უნივერსიტეტის სტუდქალაქის ტერიტორიაზე მდებარე 77741 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი), რომელიც საცხოვრებელ კორპუსებთან ერთად მოიცავს მდინარე ვერეს გადასასვლელ ხიდთან მისასვლელ საერთო სარგებლობის გზას, უნივერსიტეტის დაინტერესებაში არსებული შენობა-ნაგებობებისა და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ოდენობის დაზუსტება. თუმცა ამ პროცესის დაწყებამდე და მისი დაწყების შემდგომაც სტუდქალაქის ტერიტორიაზე სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა დროს 10-ჯერ გამოიყო ქონება, რომელთა ნაწილი გადაეცა სხვა სახელწიფო ორგანოებს, ხოლო ნაწილი კერძო პირებს. ფაქტიურად დღეის მდგომარეობით ამ საკადასტრო კოდზე არსებულ უძრავ ქონებაზეც ჩვენსა და სახელწმიფოს შორის მიმდინარეობს უძრავი ქონების გამიჯვნის პროცედურები.

გაცნობებთ, რომ უნივერსიტეტის ქონებასთან დაკავშირებით, თქვენთვის ინფორმაციის მოწოდება გაგრძელდება იმ შესაძლებლობის ფარგლებში რა სიახლეების მოპოვებასაც შეძლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია.

დანართი:

1. საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნუსხა;
2. სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების ნუსხა;
3. ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების ნუსხა;
4. ბაგების სტუდქალაქის ტერიტორიის საკადასტრო გეგმა.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ნუნუ ოვსიანიკოვა

დანართი N1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნუსხა

N	მისამართი	შენობა-ნაგებობები:
1	ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N1-3	სასწავლო კორპუსები და სხვა ნაგებობები
2	ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N36	სასწავლო კორპუსი და სხვა ნაგებობები
3	ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა	სასწავლო კორპუსი და სხვა ნაგებობები
4	ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა N2	სასწავლო კორპუსი და სხვა ნაგებობები
5	ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N14	სასწავლო კორპუსი და სხვა ნაგებობები
6	ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N8	სასწავლო კორპუსი
7	ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N13	სასწავლო კორპუსი და სხვა ნაგებობები
8	ქ. თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქუცა N78	სასწავლო კორპუსი და სხვა ნაგებობები
9	ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი	სასწავლო კორპუსი და სხვა ნაგებობები
10	ქ. თბილისი, თამარაშვილის ქუჩა N6	სასწავლო კორპუსი და სხვა ნაგებობები
11	ქ. რუსთავი, XV მიკრო/რაიონი	სასწავლო კორპუსი და სხვა ნაგებობები
12	ქ. ქუთაისი, ნიკეას ქუჩა, შესახვევი II, N8	სასწავლო კორპუსი და სხვა ნაგებობები
13	ოზურგეთი, გაგარინის ქ. N4	ბინა
14	ქ. თბილისი, გლდანის ხევი კ.3ა ბ.107	ბინა

დანართი N2

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების ნუსხა

N	მისამართი	შენობა-ნაგებობები:
1	ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N11	სასწავლო კორპუსი და სხვა ნაგებობები
2	ქ. თბილისი, ზანდუკელის ქ. N16	შენობა-ნაგებოებები
3	ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N19	ბინა
4	მცხეთა, სოფელი მუხათგვერდი	შენობა-ნაგებობა
5	ქ. თბილისი, ბაგები	მშენებარე სასტუმრო
6	ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N5	შენობა-ნაგებობა
7	ქ. თბილისი, ქიქოძის ქ. N14	შენობა-ნაგებობა
8	ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას N44	შენობა-ნაგებობები
9	ქ. თბილისი, კონსტიტუციის ქ. N2	შენობა-ნაგებობები
10	ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. ნაკვეთი 06/035	შენობა-ნაგებობები
11	მცხეთა, სოფელი მუხათგვერდი	შენობა-ნაგებობები
12	ქ. თბილისი, ალექსიძის ქ. N1/4	შენობა-ნაგებობები
13	ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. N8	შენობა-ნაგებობები
14	ქ. თბილისი, ტაბახმელა	შენობა-ნაგებობები
15	ქ. თბილისი, სვანიძის N9ა	შენობა-ნაგებობები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების ნუსხა

№	ცალკეული შენობების დასახელება მისამართების მითითებით		საკადასტრო კოდი
1	ნაგებობა	გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი ლემშვენიერა (ჯანდარა)	81.20.05.108
2	ნაგებობა		
3	ნაგებობა		
4	ბეტონის ღობე		
5	სტანდარტული სახლი	გუდაუთა	არ არის რეგისტრირებული
6	სტანდარტული სახლი		
7	სტანდარტული სახლი	ბიჭვინთა	არ არის რეგისტრირებული
8	სტანდარტული სახლი		
9	შენობა	ონის მუნიციპალიტეტი, სოფელი გლოლა	არ არის რეგისტრირებული
10	შენობა	ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	არ არის რეგისტრირებული
11	სტანდარტული სახლი	სოფელი ტაბახმელა	81.02.03.442
12	შენობა	სოფელი ტაბახმელა	81.02.03.647
13	შენობა		
14	შენობა		
15	შენობა		
16	პალეომაგნიტური სადგური	დუშეთი	არ არის რეგისტრირებული
17	ალპინისტუტი კლუბი	დუშეთი, როშკა	არ არის რეგისტრირებული
18	შენობა	გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი თელეთი	**810300267**
19	შენობა	ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. №16	01.15.05.072.002.01.506
20	ორსართულიანი ბარაკული	თიანეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი სიონი	73.12.13.454
21	სტანდარტული სახლი		73.12.13.453
22	სტანდარტული სახლი		
23	სტანდარტული სახლი		
24	სამეცნიერო სასწავლო	ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზემო ხოდაშენი	50.02.07.058
25	ხის სახლი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ყუმისთავი	არ არის რეგისტრირებული
26	ფინური სახლი	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, დაბა ბახმარო	არ არის რეგისტრირებული
27	ბიბლიოთეკის შენობა	ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №47/57	არ არის რეგისტრირებული
28	ბიბლიოთეკის შენობა	ქ. თბილისი, ალგეთის შეს. 1	01.18.04.020.004
29	შენობა	ქ. თბილისი, მთაწმინდა, ზ/ფუნიკულიორი	არ არის რეგისტრირებული
30	შენობა	ქ. თბილისი, მინდელის 11	01.14.05.005.019
31	შენობა		
32	საწყობი		
33	ქვესადგური		
34	ავტოფარეხი		
35	ბაზა	ბოლნისის მუნიციპალიტეტი, დაბა კაზრეთი	
36	საცდელი გამამდიდრებელი	ქ. თბილისი, ვაგზლის ქ. 15	
37	ლაბორატორიული შენობა	ქ. თბილისი, აპოლიტკოვსკაიას 5	01.14.05.06.33
38	ადმინისტრაციული შენობა		
39	სახელოსნო		
40	საწყობი		
41	ავტოფარეხი		
42	ნაგებობა		
43	ნაგებობა		
44	ქვესადგური		
45	ადმინისტრაციული შენობა	ქ. თბილისი, ალექსიძის 1	01.10.13.040.014
46	ობსერვატორია,	ქ. თბილისი, ჭონქაძის ქ. 20	01.15.07.06.021
47	ქვესადგური	ქ. თბილისი, აკურის ქ. 8	01.10.13.023.067
48	ობსერვატორია,	ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ. 77	01.14.15.1.109
49	ობსერვატორია	ქ. დუშეთი	
50	პოლიგონი	თელავის მუნიციპალიტეტი, სოფელი რუისპირი	

51	ობსერვატორია,	ბორჯომის მუნიციპალიტეტი, დაბა ბაკურიანი	
52	მიუ-მეზონების მიწისქვეშა	ქ. თბილისი, ახალგაზრდობის ხეივანი	
53	ლაბორატოტიული შენობა	დაბა ბაკურიანი-ცხრაწყარო	
54	ავტოფარეხი		
55	ავტოსახელოსნო	დაბა ბაკურიანი, მთის ქ. 35	64.10.03.242
56	საწყობი ღია ავტოსადგომით		
57	საწყობი ღია ავტოსადგომით		
58	ლაბორატოტიული შენობა		
59	ელექტრო-		
60	საწვავი მასალების საწყობი		
61	24 ბინიანი საცხოვრებელი	დაბა ბაკურიანი, მთის ქ. 35	
62	1 ბინიანი საცხ. სახლი		
63	3 ოთახიანი კოტეჯი		
64	4 ოთახიანი კოტეჯი		
65	5 ოთახიანი კოტეჯი		
66	საერთო საცხოვრებელი	ქ. თბილისი, ვ.ფშაველას 42-44	01.10.15.017.005
67	შენობა	ქ. თბილისი, მინდელის ქუჩა 11	
68	საცხოვრებელი სახლი	ზაჰესი, თავისუფლების ქუჩა	
69	საცხოვრებელი სახლი 3 ცალი		
70	საცხოვრებელი სახლი		

1	სტუდენტთა საერთო	ქ. თბილისი, ბაგები, წყნეთის გზატკეცილი	01.14.06.007.074
2	სტუდენტთა საერთო		
3	ბამბუკის ნაგებობა		
4	ბამბუკის ნაგებობა		
5	ნაგებობა		
6	პავილიონი		
7	დარაჯის ჯიხური		
8	შენობა	ქ. ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ. №85	არ არის რეგისტრირებული
9	საცხოვრებელი და	ქ. თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. №3	არ არის რეგისტრირებული
10	საქვაბე	ქ. თბილისი, სამღერეთის ქ.	არ არის რეგისტრირებული
11	სტანდარტული სახლი	ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №41	05.02.09.002.01.501
12	ექსპერიმენტული ბაზა	ქ. თბილისი, ჭირნახულის ქ. 5-7	01.19.14.03.030
13	ნაგებობა		
14	ნაგებობა		
15	ნაგებობა		
16	ნაგებობა		

საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი:	**01.14.06.007.081**	ნაკვეთის დანიშნულება:	**არასასოფლო სამეურნეო**
განცხადების ნომერი:	**882016732117**	ფართობი:	**75322 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**
მომზადების თარიღი:	**27/10/2016**	ვალდებულების ფართობი :	**4452 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**



კოორდინატთა სისტემა: WGS 84 / UTM zone 38N

მასშტაბი 1:6100

ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი

ხაზობრივი ნაგებობა

ტყის ფონდი

05/25 შენობა/ნაგებობა

05/25 მშენებარე ნაგებობა

ვალდებულება

132.2016 14.11.2016

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების‘‘ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ^2‘‘ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ‘‘ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ^2“ ქვეპუნქტისა და თსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის 10.11.2016, №41237/02 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დებულება (დანართი №1).
2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი შარვაშიძე
რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

დანართი №1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დებულება

პ რ ე ა მ ბ უ ლ ა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში 1957 წელს საფუძველი ჩაეყარა სამართლის მეცნიერების სისტემურ კვლევას, როდესაც მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში, პროფესორ თინათინ წერეთლის მეცადინეობით, ჩამოყალიბდა იურიდიული კვლევების განყოფილება. მოგვიანებით, განყოფილების გაფართოების შედეგად, ჩამოყალიბდა სამართლის კვლევითი ცენტრი, შემდგომ კი სექტორი და ინსტიტუტს ეწოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი. 1991 წლიდან სამართლის სექტორი გამოეყო ეკონომიკის ინსტიტუტს და დაფუძნდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დამოუკიდებელ - სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტად. 2004 წლიდან ინსტიტუტს მიენიჭა მისი დამფუძნებლის, პროფესორ თინათინ წერეთლის სახელი. მოყოლებული 2011 წლიდან, ინსტიტუტი შეუერთდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი წლების მანძილზე აგრძელებს თავისი წვლილის შეტანას საქართველოში საკანონმდებლო და სასამართლო რეფორმების ნაყოფიერად წარმართვაში, იურიდიული განათლებისა და კვლევის თანამედროვე სტანდარტების დამკვიდრებაში, სამართლებრივი პრაქტიკის დახვეწასა და განვითარებაში.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი (შემდგომში - ,,ინსტიტუტი“) არის უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული, რომელიც ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და რომელსაც ჰყავს მართვის ორგანოები.
2. ინსტიტუტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.
3. ინსტიტუტს აქვს ბლანკი და ბეჭედი, საბანკო ქვეანგარიში (ქვეანგარიშები).
4. ინსტიტუტს შეიძლება ჰქონდეს პერიოდული გამოცემა (ჟურნალი, გაზეთი და სხვ.).

მუხლი 2. ინსტიტუტის მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი

1. ინსტიტუტის მიზანია უნივერსიტეტის ფარგლებში ხელი შეუწყოს სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო პროცესების ეფექტურად წარმართვას, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვასა და სამეცნიერო კადრების მომზადებას. ინსტიტუტის დანიშნულებაა ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო-კვლევითი, საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობის განხორციელება.

2. ინსტიტუტი უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვროს საინსტიტუტო პრიორიტეტები და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა, ჩაატაროს სამეცნიერო კონფერენციები და სამეცნიერო ხასიათის სხვა ტიპის ღონისძიებები, დაამყაროს სამეცნიერო კონტაქტები ადგილობრივ და უცხოეთის წამყვან სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო სამეცნიერო კვლევებში (ერთობლივი სამეცნიერო პროგრამები, საერთაშორისო ფორუმები, სამეცნიერო გრანტები, გაცვლითი სამეცნიერო პროგრამები და სხვა თემატური აქტივობები).

3. ინსტიტუტი შესაბამისი ფაკულტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე, უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, ასევე:

ა) ხელი შეუწყოს სტუდენტთა საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომების მაღალპროფესიულ დონეზე განხორციელებას;

ბ) უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული წესით მონაწილეობა მიიღოს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებასა და განხორციელებაში;

გ) ხელი შეუწყოს სტუდენტთა ჩართვას სამეცნიერო გრანტებში და მათ მონაწილეობას, როგორც სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა, ასევე ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა თუ საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში მიმდინარე სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში.

მუხლი 3. ინსტიტუტის სტრუქტურა

1. ინსტიტუტის სტრუქტურა შედგება ინსტიტუტის მართვის ორგანოების (დირექტორი და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო) და შემდეგი სამეცნიერო და არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებისაგან:

ა) სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებია:

ა.ა) სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის განყოფილება;

ა.ბ) კერძო სამართლის განყოფილება;

ა.გ) საერთაშორისო და საჯარო სამართლის განყოფილება;

ა.დ) სამართლის ისტორიისა და თეორიის განყოფილება;

ა.ე) სამართლის ინტერდისციპლინურ კვლევათა განყოფილება.

ბ) არასამეცნიერო (დამხმარე) საქმიანობა ინსტიტუტში სტრუქტურულად ორგანიზებული არ არის და წარმოდგენილია ინსტიტუტში არსებული ცალკეული თანამდებობებისათვის (ტექნიკური პერსონალი) განსაზღვრულ კომპეტენციებში. ტექნიკური პერსონალის თანამდებობათა ჩამონათვალი დგინდება უნივერსიტეტის საშტატო განრიგით.

მუხლი 4. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო

1. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ქმნიან ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლები.
2. სამეცნიერო საბჭო:

ა) განიხილავს და წყვეტს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო მართვისა და განვითარების საკითხებს. შეიმუშავებს ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამეცნიერო კვლევების მიმდინარე გეგმებს, რასაც ამტკიცებს ინსტიტუტის დირექტორი;

ბ) ისმენს და ამტკიცებს ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა წლიურ ანგარიშებს და მათ საფუძველზე უზრუნველყოფს ინსტიტუტის წლიური სამეცნიერო ანგარიშის მომზადებას;

გ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს წარუდგენს ინსტიტუტის წლიურ სამეცნიერო ანგარიშს;

დ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მოთხოვნის შესაბამისად, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე ახდენს წლიური სამეცნიერო ანგარიშის ამსახველ პრეზენტაციას;

ე) დირექტორთან შეთანხმებით შეიმუშავებს, ინსტიტუტის სტრუქტურის ცვლილებების პროექტს და განსახილველად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს, უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესით დამტკიცების უზრუნველსაყოფად;

ვ) თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს;

ზ) სამეცნიერო საბჭო უფლებამოსილია მიიღოს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტმა;

თ) უფლებამოსილია ინსტიტუტის საპატიო წევრებად აირჩიოს საქართველოში თუ საზღვარგარეთ მოღვაწე გამოჩენილი მეცნიერები;

ი) შეარჩევს ინსტიტუტის დირექტორს და წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად;

კ) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში მონაწილეობს კვლევითი კომპონენტის შესრულების მონიტორინგის პროცესში;

ლ) ასრულებს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით, ასევე წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.

3. სამეცნიერო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.
4. სამეცნიერო საბჭოს სხდომა იმართება 2 თვეში ერთხელ მაინც დირექტორის, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ან სამეცნიერო საბჭოს წევრთა არანაკლებ ერთი მესამედის ინიციატივით. სამეცნიერო საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლებამოსილება გააჩნიათ ამავე სუბიექტებს, დადგენილი წესით.
5. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო მონაწილეობს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის, უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებით პირობებისა და სამეცნიერო პერსონალის ატესტაციის წესის შემუშავებაში.
6. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდებისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად, შეიმუშავებს ინსტიტუტის დირექტორის ღია კონკურსის საფუძველზე არჩევნების ჩატარების წესს.

მუხლი 5. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და მისი უფლებამოსილებები

1. სამეცნიერო საბჭოს საქმიანობას წარმართავს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.
2. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს ირჩევს სამეცნიერო საბჭო, კენჭისყრის საფუძველზე, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, 5 წლის ვადით. საკითხს, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ასარჩევად კენჭისყრა ჩატარდეს ღია თუ ფარული წესით წყვეტს სამეცნიერო საბჭო ღია კენჭისყრის საფუძველზე. იმ შემთხვევაში თუ სამეცნიერო საბჭომ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღო გადაწყვეტილება სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ფარული კენჭისყრით არჩევის შესახებ, სამეცნიერო საბჭო ადგენს ფარული კენჭისყრის ჩატარების პროცედურას.
3. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე:
ა) უძღვება სამეცნიერო საბჭოს სხდომებს;
ბ) ხელს აწერს სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმებს;
გ) ხელმძღვანელობს ინსტიტუტის წლიური სამეცნიერო ანგარიშის მომზადებას;
დ) წარმოადგენს საბჭოს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მესამე პირებთან ურთიერთობაში.

მუხლი 6. ინსტიტუტის დირექტორი

1. ინსტიტუტის სამეცნიერო-საორგანიზაციო და ადმინისტრაციულ საქმიანობას ხელმძღვანელობს ინსტიტუტის დირექტორი.

2. ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურას 5 წლის ვადით, ღია კონკურსის საფუძველზე შეარჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს. კანდიდატურის დამტკიცებაზე აკადემიური საბჭოს დასაბუთებული უარის შემთხვევაში ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო წარადგენს იმავე კანდიდატს ან შეარჩევს სხვა კანდიდატურას. კანდიდატურის დამტკიცებაზე აკადემიური საბჭოს განმეორებითი უარის შემთხვევაში ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ნიშნავს რექტორი. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო ვალდებულია არაუგვიანეს 6 თვისა შეარჩიოს ინსტიტუტის დირექტორის ახალი კანდიდატურა. ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ინიშნება რექტორის მიერ ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის დამტკიცებამდე.

3. ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელიც აკმაყოფილებს ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს და რომლის ასაკი 65 წელს არ აღემატება. თუ პირს არ უკავია ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა, ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დაკავების შემთხვევაში იგი ითვლება აგრეთვე მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩეულად. 65 წლის ასაკის მიღწევა არ იწვევს დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტას.

4. დირექტორისა და დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე 65 წელს მიღწეული პირის დანიშვნისა და არჩევის, ასევე გათავისუფლების საკითხს წყვეტს უშუალოდ ამ თანამდებობაზე არჩევის/დანიშვნის გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე სუბიექტი.

5. ერთმა და იმავე პირმა ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა ზედიზედ შეიძლება მხოლოდ ორჯერ დაიკავოს.

6. ინსტიტუტის დირექტორი, როგორც მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, არის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

7. ინსტიტუტის დირექტორი:

ა) უზრუნველყოფს ინსტიტუტში სამეცნიერო კვლევების ეფექტურად წარმართვას;

ბ) უნივერსიტეტის შესაბამის მართვის ორგანოებს შესათანხმებლად წარუდგენს ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამეცნიერო კვლევების მიმდინარე გეგმებს;

გ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში პასუხისმგებელია უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

დ) შეიმუშავებს და შესაბამის მართვის ორგანოებს განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს ინსტიტუტის ყოველწლიური ბიუჯეტისა და საშტატო ნუსხის პროექტს;

ე) წინამდებარე დებულების შესაბამისად, პასუხისმგებელია ინსტიტუტის დაფინანსების მიზნობრივ გამოყენებაზე;

ვ) უზრუნველყოფს სამეცნიერო ანგარიშის მოსამზადებლად საორგანიზაციო ღონისძიებების გატარებას;

ზ) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, არა უგვიანეს ყოველი კალენდარული წლის ბოლოს, წარუდგენს ინფორმაციას მის მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ;

თ) უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნივერსიტეტის შესაბამისი მართვის ორგანოების წინაშე დასვას თანამშრომელთა წახალისების ან მათ მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების საკითხი;

ი) საკუთარი უფლებამოსილების ვადით, ინსტიტუტის პერსონალიდან დასანიშნად ან გასათავისუფლებლად უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს/მოადგილეებს.

კ) უნივერსიტეტის რექტორის ან/და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში, წარმოადგენს ინსტიტუტს მესამე პირთან ურთიერთობაში, დებს ხელშეკრულებებს უნივერსიტეტისგან შესაბამისი რწმუნების არსებობის შემთხვევაში;

ლ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს - ბრძანებებს;

მ) ახორციელებს წინამდებარე დებულებითა და უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

8. დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, დირექტორის მოვალეობას, მისივე დავალებით, ასრულებს დირექტორის მოადგილე, რაც უნდა ეცნობოს უნივერსიტეტის რექტორს.

9. დირექტორისა და დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის არყოფნის (მივლინება, შვებულება, საავადმყოფო ფურცელზე ყოფნა და სხვ.) შემთხვევაში, ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის დროებით შესრულება შესაძლებელია დაეკისროს ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს დირექტორის/დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინებით, რექტორის ბრძანებით.

10. დირექტორის/დირექტორის მოადგილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) სასამართლოს მიერ მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლა;

გ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

დ) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დასაბუთებული წარდგინება;

ე) გარდაცვალება;

ვ) უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 7. ინსტიტუტის სამეცნიერო და არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

1. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ღია კონკურსის საფუძველზე ირჩევს სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს დირექტორი.
2. ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელად შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს. თუ პირს არ უკავია დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში იგი ითვლება აგრეთვე სათანადო სამეცნიერო თანამდებობაზე არჩეულად.
3. ინსტიტუტის არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელს ინსტიტუტის დირექტორის წარდგინებით ნიშნავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
4. ინსტიტუტის სამეცნიერო/არასამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულს მართავს ხელმძღვანელი, რომელიც:
ა) შეიმუშავებს სტრუქტურულ ერთეულში განსახორციელებელი საქმიანობის სამუშაო გეგმებს და წარუდგენს სამეცნიერო საბჭოს დასამტკიცებლად;
ბ) შეიმუშავებს სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების პროექტს და წარუდგენს დირექტორს დასამტკიცებლად;
გ) სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციის ფარგლებში, ორგანიზებას უწევს სამეცნიერო კვლევითი საგრანტო პროექტების შემუშავებას;
დ) განიხილავს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს სტრუქტურული ერთეულის სამეცნიერო თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესისა და დამატებითი საკვალიფიკაციო პირობების შესახებ;
ე) დირექტორის წინაშე აყენებს სტრუქტურულ ერთეულში სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირის დისციპლინური პასუხისმგებლობის, თანამდებობიდან გათავისუფლების ან წახალისების საკითხს;
ვ) შეიმუშავებს და დირექტორს წარუდგენს სტრუქტურული ერთეულის დაფინანსების პროექტს;
ზ) პასუხისმგებელია სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე.

მუხლი 8. ინსტიტუტის პერსონალი

1. ინსტიტუტის პესონალი შედგება ადმინისტრაციული, სამეცნიერო და სხვა პერსონალისაგან.
2. ადმინისტრაციულ პერსონალს მიეკუთვნება დირექტორი და დირექტორის მოადგილე.
3. სამეცნიერო პერსონალს მიეკუთვნება მეცნიერი და პოსტდოქტორანტი.
4. მეცნიერები არიან შემდეგი სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირები:
ა) მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

ბ) უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;

გ) მეცნიერი თანამშრომელი.

5. ინსტიტუტის სხვა პერსონალს მიეკუთვნებიან სპეციალისტები, ლაბორანტები და სხვა საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობები.

6. ინსტიტუტის დირექტორს/დირექტორის მოადგილეს არ შეიძლება ეკავოს ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სამეცნიერო თანამდებობა.

7. ინსტიტუტის პერსონალის უფლება-მოვალეობები, ასევე მათი შრომითი ურთიერთობის პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 9. ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის უფლება-მოვალეობები

1. სამეცნიერო პერსონალს უფლება აქვს:

ა) დამოუკიდებლად განახორციელოს სამეცნიერო კვლევა და შეუზღუდავად გამოაქვეყნოს კვლევის შედეგები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი შეზღუდვა ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული ან ისინი შეიცავენ სახელმწიფო საიდუმლოებას;

ბ) დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, კვლევის მეთოდები და საშუალებები;

გ) მონაწილეობა მიიღოს საგრანტო დაფინანსების მოპოვების მიზნით გამოცხადებულ კონკურსებში, მიიღოს დაფინანსება, ისარგებლოს ინდივიდუალური საგრანტო დაფინანსებით, აგრეთვე, მიიღოს ანაზღაურება კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შედეგად ინსტიტუტის მიერ მიღებული შემოსავლებიდან;

დ) ისარგებლოს უნივერსიტეტის/ინსტიტუტის ბიბლიოთეკითა და სხვა ქონებით;

ე) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

2. სამეცნიერო პერსონალი ვალდებულია:

ა) დაიცვას ინსტიტუტის დებულებითა და უნივერსიტეტის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები;

ბ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

გ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის/ინსტიტუტის ქონებას;

დ) სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ყოველწლიურად წარუდგინოს შესრულებული სამუშაოს ანგარიში;

ე) შეასრულოს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებები;

ვ) წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისას გაითვალისწინოს ინსტიტუტის ინტერესები და რეგულარულად მიიღოს მონაწილეობა მიმდინარე ღონისძიებებში;

ზ) გაუფრთხილდეს ინსტიტუტის რეპუტაციას, ხელი შეუწყოს მისი მიზნების განხორციელებას.

3. სამეცნიერო პერსონალის შრომითი ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია მოქ-მედი კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული შემთხვევები.

მუხლი 10. სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესი

1. სამეცნიერო თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის საფუძველზე, რომელიც უნდა ჩატარდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების შესაბამისად.
2. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება, განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები და მნიშვნელოვანი პუბლიკაციები. პირი მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას უვადოდ იკავებს.
3. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პირი უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას იკავებს 7 წლის ვადით.
4. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პირი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას იკავებს 4 წლის ვადით.
5. პოსტდოქტორანტად აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი.
6. მთავარი მეცნიერი თანამშრომელი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება ატესტაციის გავლას უნივერსიტეტის წესდებითა და ატესტაციის ჩატარების ერთიან წესისა და პირობებით განსაზღვრული წესით.

მუხლი 11. ინსტიტუტის ქონება და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა

1. ინსტიტუტი სარგებლობს უნივერსიტეტის მიერ ინსტიტუტისათვის გამოყოფილი სამეცნიერო და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობისთვის აუცილებელი უძრავ-მოძრავი ქონებით და პასუხისმგებელია ამ ქონების მოვლა-პატრონობასა და ეფექტურად (მიზნობრივად) გამოყენებაზე.
2. ინსტიტუტის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილი თანხები;

ბ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;

გ) გრანტებით მიღებული შემოსავალი;
დ) შემოწირულობები;
ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული დაფინანსების სხვა წყარო.
3. ინსტიტუტის საქმიანობით მოზიდული სახსრები გამოიყენება უნივერსიტეტისა და ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის შემდგომი განვითარებისათვის ან/და პერსონალის შრომის ანაზღაურებისათვის.

მუხლი 12. ინსტიტუტის ლიკვიდაცია

1. ინსტიტუტის ლიკვიდაციის საფუძველი შეიძლება გახდეს:
ა) ინსტიტუტის დებულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა;
ბ) უნივერსიტეტის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

მუხლი 13. დასკვნითი დებულებები, ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.
2. წინამდებარე დებულება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

133.2016 14.11.2016

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ^2" ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ^2" ქვეპუნქტისა და თსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის 10.11.2016, №41237/02 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო - კვლევითი ერთეულის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დებულება (დანართი №1).
2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი შარვაშიძე
რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

დანართი №1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო -კვლევითი ერთეულის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დებულება

პ რ ე ა მ ბ უ ლ ა

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი სამეცნიერო დაწესებულებაა, რომელიც სათავეს იღებს ჯერ კიდევ 1917 წლის 1 ივლისს თბილისში დაარსებული – „კავკასიის ისტორიულ–არქეოლოგიური ინსტიტუტიდან“. აღნიშნული ინსტიტუტის დაარსება განხორციელდა აკადემიკოს ნიკო მარის მოთავეობით. ინსტიტუტში, დაარსებისთანავე მიმდინარეობდა ისტორიული ხასიათის მასალის შეგროვება, ტარდებოდა უაღრესად მნიშვნელოვანი ექსპედიციები და მიმდინარეობდა კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა. ინსტიტუტის პირველ ნამდვილ წევრებად (როგორც ამას მაშინდელი წესდება განსაზღვრავდა) არჩეულები იყვნენ ექვთიმე თაყაიშვილი და გიორგი ჩუბინაშვილი. ამავე დროს, 1918 წლიდან ისინი უნივერსიტეტის პროფესორებად აირჩიეს, ხოლო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე – ექვთიმე თაყაიშვილი, თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი და არქეოლოგიის კათედრის პირველი გამგეა.

1931 წელს ინსტიტუტს ეწოდა „კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტი“, ხოლო 1936 წელს, მორიგი რეორგანიზაციის შემდეგ, მან „აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის“ (ენიმკი) სახელწოდება მიიღო. აქ მოღვაწეობდნენ დიდი ქართველი მეცნიერები: ექვთიმე თაყაიშვილი, სიმონ ჯანაშია, გიორგი ახვლედიანი, ნიკო ბერძენიშვილი, აკაკი შანიძე, ვარლამ თოფურია, არნოლდ ჩიქობავა, სიმონ ყაუხჩიშვილი და სხვ. ენიმკის დაარსებისთანავე, აქ მუდმივ კონსულტანტად მოწვეული იყო ივანე ჯავახიშვილი. ენიმკი აერთიანებდა ქართველურ ენათა, კავკასიურ ენათა, ლექსიკოლოგიისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის, მახლობელი აღმოსავლეთის ენათა, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ანთროპოლოგიის, ისტორიის, ფილოლოგიის, ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილებებს, ფონეტიკისა და ნ. მარის კაბინეტებს.

1941 წლის 8 მაისს ენიმკი გაიყო და მის ბაზაზე შეიქმნა ორი ინსტიტუტი: 1 - „ისტორიის ინსტიტუტი“; 2 – „აკად. ნ. მარის ენის (შემდგომში ენათმეცნიერების) ინსტიტუტი“. ეს ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ისტორიაში ახალი ეტაპი იყო. იმდროინდელი ახლადშექმნილი ისტორიის ინსტიტუტი გახდა საქართველოს ისტორიის, ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის შემსწავლელი ძირითადი ცენტრი. არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული სამუშაოების გაფართოების გამო, 1964 წელს ისტორიის ინსტიტუტს ეწოდა „ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი“,

ხოლო 1977 წელს ინსტიტუტს გამოეყო და ცალკე სამეცნიერო კერად ჩამოყალიბდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. 2006 წლიდან ინსტიტუტი გახდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირი ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი“.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) **ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის** ინსტიტუტი (შემდგომში – ,,ინსტიტუტი“) არის უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული, რომელიც ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და რომელსაც ჰყავს მართვის ორგანოები.
2. ინსტიტუტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.
3. ინსტიტუტს აქვს ბლანკი და ბეჭედი, საბანკო ქვეანგარიში (ქვეანგარიშები).
4. ინსტიტუტს შეიძლება ჰქონდეს პერიოდული გამოცემა (ჟურნალი, გაზეთი და სხვ.).

მუხლი 2. ინსტიტუტის მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი

1. ინსტიტუტის მიზანია უნივერსიტეტის ფარგლებში ხელი შეუწყოს სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო პროცესების ეფექტურად წარმართვას, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვასა და სამეცნიერო კადრების მომზადებას. ინსტიტუტის დანიშნულებაა ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო-კვლევითი, საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობის განხორციელება, გამოყენებითი მიმართულების (მათ შორის საპროექტო და ტექნოლოგიური) სამუშაოების წარმოება სახელმწიფო ან კერძო სექტორის დაკვეთით. კერძოდ:
ა) საქართველოს ტერიტორიული ერთიანობის აღდგენის ისტორიული საფუძვლების კვლევა და დასაბუთება;
ბ) საქართველოს ისტორიის, ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ფუნდამენტური კვლევა და საერთაშორისო კონტაქტების გაფართოება;
გ) ტურიზმის ხელშეწყობა და კონსულტაცია ამ სფეროში.
2. ინსტიტუტი უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვროს საინსტიტუტო პრიორიტეტები და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა, ჩაატაროს სამეცნიერო კონფერენციები და სამეცნიერო ხასიათის სხვა ტიპის ღონისძიებები, დაამყაროს სამეცნიერო კონტაქტები ადგილობრივ და უცხოეთის წამყვან სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო სამეცნიერო კვლევებში (ერთობლივი სამეცნიერო პროგრამები, საერთაშორისო ფორუმები, სამეცნიერო გრანტები, გაცვლითი სამეცნიერო პროგრამები და სხვა თემატური აქტივობები).

3. ინსტიტუტი კანონმდებლობით დადგენილი წესით, უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, ასევე:

ა) მონაწილეობს სტუდენტთა საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომების შესრულებაში;

ბ) უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული წესით მონაწილეობს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებასა და განხორციელებაში;

გ) უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართვას სამეცნიერო საგრანტო პროექტებში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში.

მუხლი 3. ინსტიტუტის სტრუქტურა

1. ინსტიტუტის სტრუქტურა შედგება ინსტიტუტის მართვის ორგანოების (დირექტორი და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო) და შემდეგი სამეცნიერო და არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებისაგან:

ა) სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებია:

ა.ა) ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილება;

ა.ბ) შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილება;

ა.გ) ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილება;

ა.დ) საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილება;

ა.ე) კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილება;

ა.ვ) ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორია.

ბ) არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებია:

ბ.ა) ბიბლიოთეკა;

ბ.ბ) ისტორიული და ეთნოლოგიური არქივი.

მუხლი 4. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო

1. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ქმნიან ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლები.
2. სამეცნიერო საბჭო:

ა) განიხილავს და წყვეტს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო მართვისა და განვითარების საკითხებს. შეიმუშავებს ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამეცნიერო კვლევების მიმდინარე გეგმებს, რასაც ამტკიცებს ინსტიტუტის დირექტორი;

ბ) ისმენს და ამტკიცებს ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა წლიურ ანგარიშებს და მათ საფუძველზე უზრუნველყოფს ინსტიტუტის წლიური სამეცნიერო ანგარიშის მომზადებას;

გ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს წარუდგენს ინსტიტუტის წლიურ სამეცნიერო ანგარიშს;

დ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მოთხოვნის შესაბამისად, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე ახდენს წლიური სამეცნიერო ანგარიშის ამსახველ პრეზენტაციას;

ე) დირექტორთან შეთანხმებით შეიმუშავებს, ინსტიტუტის სტრუქტურის ცვლილებების პროექტს და განსახილველად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს, უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესით დამტკიცების უზრუნველსაყოფად;

ვ) თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს;

ზ) სამეცნიერო საბჭო უფლებამოსილია მიიღოს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტმა;

თ) უფლებამოსილია ინსტიტუტის საპატიო წევრებად აირჩიოს საქართველოში თუ საზღვარგარეთ მოღვაწე გამოჩენილი მეცნიერები;

ი) შეარჩევს ინსტიტუტის დირექტორს და წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად;

კ) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში მონაწილეობს კვლევითი კომპონენტის შესრულების მონიტორინგის პროცესში;

ლ) ასრულებს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით, ასევე წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.

3. სამეცნიერო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.

4. სამეცნიერო საბჭოს სხდომა იმართება 2 თვეში ერთხელ მაინც დირექტორის, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ან სამეცნიერო საბჭოს წევრთა არანაკლებ ერთი მესამედის ინიციატივით. სამეცნიერო საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლებამოსილება გააჩნიათ ამავე სუბიექტებს, დადგენილი წესით.

5. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო მონაწილეობს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის, უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობებისა და სამეცნიერო პერსონალის ატესტაციის წესის შემუშავებაში.

6. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდებისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად, შეიმუშავებს ინსტიტუტის დირექტორის ღია კონკურსის საფუძველზე შერჩევის წესს.

მუხლი 5. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და მისი უფლებამოსილებები

1. სამეცნიერო საბჭოს საქმიანობას წარმართავს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

2. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს ირჩევს სამეცნიერო საბჭო, კენჭისყრის საფუძველზე, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, 5 წლის ვადით. საკითხს, სამეცნიერო საბჭოს

თავმჯდომარის ასარჩევად კენჭისყრა ჩატარდეს ღია თუ ფარული წესით წყვეტს სამეცნიერო საბჭო ღია კენჭისყრის საფუძველზე. იმ შემთხვევაში თუ სამეცნიერო საბჭომ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღო გადაწყვეტილება სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ფარული კენჭისყრით არჩევის შესახებ, სამეცნიერო საბჭო ადგენს ფარული კენჭისყრის ჩატარების პროცედურას.

3. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე:

ა) უძღვება სამეცნიერო საბჭოს სხდომებს;

ბ) ხელს აწერს სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმებს;

გ) ხელმძღვანელობს ინსტიტუტის წლიური სამეცნიერო ანგარიშის მომზადებას;

დ) წარმოადგენს საბჭოს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მესამე პირებთან ურთიერთობაში.

მუხლი 6. ინსტიტუტის დირექტორი

1. ინსტიტუტის სამეცნიერო-საორგანიზაციო და ადმინისტრაციულ საქმიანობას ხელმძღვანელობს ინსტიტუტის დირექტორი.

2. ინსტიტუტის დირექტორს შეარჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო 5 წლის ვადით და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს. კანდიდატურის დამტკიცებაზე აკადემიური საბჭოს დასაბუთებული უარის შემთხვევაში ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო წარადგენს იმავე კანდიდატს ან შეარჩევს სხვა კანდიდატურას. კანდიდატურის დამტკიცებაზე აკადემიური საბჭოს განმეორებითი უარის შემთხვევაში ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ნიშნავს რექტორი. ასეთ შემთხვევაში ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო ვალდებულია არაუგვიანეს 6 თვისა შეარჩიოს ინსტიტუტის დირექტორის ახალი კანდიდატურა. ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ინიშნება რექტორის მიერ იმ პერიოდამდე, სანამ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული არ იქნება ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურა.

3. ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელიც აკმაყოფილებს ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს და რომლის ასაკი 65 წელს არ აღემატება. თუ პირს არ უკავია ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა, ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დაკავების შემთხვევაში იგი ითვლება აგრეთვე მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩეულად. 65 წლის ასაკის მიღწევა არ იწვევს დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტას.

4. დირექტორისა და დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე 65 წელს მიღწეული პირის დანიშვნისა და არჩევის, ასევე გათავისუფლების საკითხს წყვეტს უშუალოდ ამ თანამდებობაზე არჩევის/დანიშვნის გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე სუბიექტი.

5. ერთმა და იმავე პირმა ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა ზედიზედ შეიძლება მხოლოდ ორჯერ დაიკავოს.

6. ინსტიტუტის დირექტორი, როგორც მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, არის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

7. ინსტიტუტის დირექტორი:

ა) უზრუნველყოფს ინსტიტუტში სამეცნიერო კვლევების ეფექტურად წარმართვას;

ბ) უნივერსიტეტის შესაბამის მართვის ორგანოებს შესათანხმებლად წარუდგენს ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამეცნიერო კვლევების მიმდინარე გეგმებს;

გ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში პასუხისმგებელია უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

დ) შეიმუშავებს და შესაბამის მართვის ორგანოებს განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს ინსტიტუტის ყოველწლიური ბიუჯეტისა და საშტატო ნუსხის პროექტს;

ე) პასუხისმგებელია ინსტიტუტის დაფინანსების მიზნობრივ გამოყენებაზე;

ვ) უზრუნველყოფს სამეცნიერო ანგარიშის მოსამზადებლად საორგანიზაციო ღონისძიებების გატარებას;

ზ) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, არა უგვიანეს ყოველი კალენდარული წლის ბოლოს, წარუდგენს ინფორმაციას მის მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ;

თ) უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნივერსიტეტის შესაბამისი მართვის ორგანოების წინაშე დასვას თანამშრომელთა წახალისების ან მათ მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების საკითხი;

ი) საკუთარი უფლებამოსილების ვადით უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ინსტიტუტის პერსონალიდან დასანიშნად ან თანამდებობიდან გათავისუფლების მიზნით წარუდგენს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის/მოადგილეების და სწავლული მდივნის კანდიდატურებს;

კ) უნივერსიტეტის რექტორის ან/და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში, წარმოადგენს ინსტიტუტს მესამე პირთან ურთიერთობაში, დებს ხელშეკრულებებს უნივერსიტეტისგან შესაბამისი რწმუნების არსებობის შემთხვევაში;

ლ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს - ბრძანებებს;

მ) ახორციელებს წინამდებარე დებულებითა და უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

8. დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, დირექტორის მოვალეობას, მისივე დავალებით, ასრულებს დირექტორის მოადგილე, რაც უნდა ეცნობოს უნივერსიტეტის რექტორს.

9. დირექტორისა და დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის არყოფნის (მივლინება, შვებულება, საავადმყოფო ფურცელზე ყოფნა და სხვ.) შემთხვევაში, ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის დროებით შესრულება შესაძლებელია დაეკისროს ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს დირექტორის/დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინებით, რექტორის ბრძანებით.

10. დირექტორის/დირექტორის მოადგილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) სასამართლოს მიერ მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლა;

გ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

დ) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დასაბუთებული წარდგინება;

ე) გარდაცვალება;

ვ) უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 7. ინსტიტუტის სამეცნიერო და არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

1. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ღია კონკურსის საფუძველზე 4 წლის ვადით ირჩევს სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს დირექტორი.

2. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელად შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს. თუ პირს არ უკავია დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში იგი ითვლება აგრეთვე სათანადო სამეცნიერო თანამდებობაზე არჩეულად.

3. ინსტიტუტის არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელს ინსტიტუტის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

4. ინსტიტუტის სამეცნიერო/არასამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულს მართავს ხელმძღვანელი, რომელიც:

ა) შეიმუშავებს სტრუქტურულ ერთეულში განსახორციელებელი საქმიანობის სამუშაო გეგმებს და წარუდგენს სამეცნიერო საბჭოს დასამტკიცებლად;

ბ) შეიმუშავებს სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების პროექტს და წარუდგენს დირექტორს დასამტკიცებლად;

გ) სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციის ფარგლებში, ორგანიზებას უწევს სამეცნიერო კვლევითი საგრანტო პროექტების შემუშავებას;

დ) დირექტორის წინაშე აყენებს სტრუქტურულ ერთეულში თანამდებობის მქონე პირის დისციპლინური პასუხისმგებლობის, თანამდებობიდან გათავისუფლების ან წახალისების საკითხს;

ე) შეიმუშავებს და დირექტორს წარუდგენს სტრუქტურული ერთეულის დაფინანსების პროექტს;
ვ) პასუხისმგებელია სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე.

მუხლი 8. ინსტიტუტის პერსონალი

1. ინსტიტუტის პერსონალი შედგება ადმინისტრაციული, სამეცნიერო და სხვა პერსონალისაგან.
2. ადმინისტრაციულ პერსონალს მიეკუთვნება დირექტორი და დირექტორის მოადგილე.
3. სამეცნიერო პერსონალს მიეკუთვნება მეცნიერი და პოსტდოქტორანტი.
4. მეცნიერები არიან შემდეგი სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირები:
ა) მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
ბ) უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;
გ) მეცნიერი თანამშრომელი.
5. ინსტიტუტის სხვა პერსონალს მიეკუთვნებიან სპეციალისტები, ლაბორანტები, ინჟინრები და სხვა საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობები.
6. ინსტიტუტის დირექტორს/დირექტორის მოადგილეს არ შეიძლება ეკავოს ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა.
7. ინსტიტუტის პერსონალის უფლება-მოვალეობები, ასევე მათი შრომითი ურთიერთობის პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 9. ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის უფლება-მოვალეობები

1. სამეცნიერო პერსონალს უფლება აქვს:
ა) დამოუკიდებლად განახორციელოს სამეცნიერო კვლევა და შეუზღუდავად გამოაქვეყნოს კვლევის შედეგები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი შეზღუდვა ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული ან ისინი შეიცავენ სახელმწიფო საიდუმლოებას;
ბ) დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, კვლევის მეთოდები და საშუალებები;
გ) მონაწილეობა მიიღოს საგრანტო დაფინანსების მოპოვების მიზნით გამოცხადებულ კონკურსებში, მიიღოს დაფინანსება, ისარგებლოს ინდივიდუალური საგრანტო დაფინანსებით, აგრეთვე, მიიღოს ანაზღაურება კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შედეგად ინსტიტუტის მიერ მიღებული შემოსავლებიდან;
დ) ისარგებლოს უნივერსიტეტის/ინსტიტუტის ბიბლიოთეკითა და სხვა ქონებით;
ე) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.
2. სამეცნიერო პერსონალი ვალდებულია:

ა) დაიცვას ინსტიტუტის დებულებითა და უნივერსიტეტის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები;

ბ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

გ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის/ინსტიტუტის ქონებას;

დ) სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ყოველწლიურად წარუდგინოს შესრულებული სამუშაოს ანგარიში;

ე) შეასრულოს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებები;

ვ) წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისას გაითვალისწინოს ინსტიტუტის ინტერესები და რეგულარულად მიიღოს მონაწილეობა მიმდინარე ღონისძიებებში;

ზ) გაუფრთხილდეს ინსტიტუტის რეპუტაციას, ხელი შეუწყოს მისი მიზნების განხორციელებას.

3. სამეცნიერო პერსონალის შრომითი ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია მოქმედი კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული შემთხვევები.

მუხლი 10. სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესი

1. სამეცნიერო თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის საფუძველზე, რომელიც უნდა ჩატარდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების შესაბამისად.

2. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება, განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები და მნიშვნელოვანი პუბლიკაციები. პირი მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას უვადოდ იკავებს.

3. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პირი უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას იკავებს 7 წლის ვადით.

4. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პირი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას იკავებს 4 წლის ვადით.

5. პოსტდოქტორანტად აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი.

6. მთავარი მეცნიერი თანამშრომელი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება ატესტაციის გავლას უნივერსიტეტის წესდებითა და ატესტაციის ჩატარების ერთიანი წესისა და პირობებით განსაზღვრული წესით.

მუხლი 11. ინსტიტუტის ქონება და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა

1. ინსტიტუტი სარგებლობს უნივერსიტეტის მიერ ინსტიტუტისათვის გამოყოფილი სამეცნიერო და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობისთვის აუცილებელი უძრავ-მოძრავი ქონებით და პასუხისმგებელია ამ ქონების მოვლა-პატრონობასა და ეფექტურად (მიზნობრივად) გამოყენებაზე.

2. ინსტიტუტის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილი თანხები;

ბ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;

გ) გრანტებით მიღებული შემოსავალი;

დ) შემოწირულობები;

ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული დაფინანსების სხვა წყარო.

3. ინსტიტუტის საქმიანობით მოზიდული სახსრები გამოიყენება უნივერსიტეტისა და ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის შემდგომი განვითარებისათვის ან/და პერსონალის შრომის ანაზღაურებისათვის.

მუხლი 12. ინსტიტუტის ლიკვიდაცია

1. ინსტიტუტის ლიკვიდაციის საფუძველი შეიძლება გახდეს:

ა) ინსტიტუტის დებულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა;

ბ) უნივერსიტეტის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

მუხლი 13. დასკვნითი დებულებები, ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.

2. წინამდებარე დებულება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

134.2016 14.11.2016

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების‘‘ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ²‘‘ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ‘‘ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ²“ ქვეპუნქტისა და თსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის 11.11.2016, №41436/02 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დებულება (დანართი №1).
2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი შარვაშიძე
რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

დანართი №1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დებულება

პ რ ე ა მ ბ უ ლ ა

1933 წლის 16 მარტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან შეიქმნა გეოგრაფიის სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტი.

1945 წლის 9 მარტს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით გეოგრაფიის ინსტიტუტი შევიდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში.

საქართველოში გეოგრაფიული მეცნიერების ფუძემდებლის, ვახუშტი ბაგრატიონის მეცნიერული შრომების შექმნის 200 წლის თარიღთან დაკავშირებით, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 6 დეკემბრის ბრძანებულებით გეოგრაფიის ინსტიტუტს ვახუშტის სახელი მიენიჭა.

1984 წლიდან, ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი იწოდება ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტად.

,,სახელმწიფო სამეცნიერო–კვლევით დაწესებულებათა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დაფუძნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 5 აპრილის №74 დადგენილებით ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი დაფუძნდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 27 ივლისის №210 დადგენილების საფუძველზე ინსტიტუტი რეორგანიზაცებული იქნა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით სტრუქტურულ ერთეულად.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი (შემდგომში -,,ინსტიტუტი“) არის უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეული, რომელიც ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და რომელსაც ჰყავს მართვის ორგანოები.
2. ინსტიტუტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.
3. ინსტიტუტს აქვს ბლანკი და ბეჭედი, საბანკო ქვეანგარიში (ქვეანგარიშები).
4. ინსტიტუტს შეიძლება ჰქონდეს პერიოდული გამოცემა (ჟურნალი, გაზეთი და სხვ.).

მუხლი 2. ინსტიტუტის მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი

1. ინსტიტუტის დანიშნულებაა გეოგრაფიის სფეროში ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო-კვლევითი, საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობის განხორციელება, გამოყენებითი მიმართულების (მათ შორის საპროექტო და ტექნოლოგიური) სამუშაოების წარმოება სახელმწიფო ან

კერძო სექტორის დაკვეთით, გეოგრაფიული ცოდნის პოპულარიზაცია. ინსტიტუტის მიზანია ხელი შეუწყოს სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო პროცესების ეფექტურად წარმართვას, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვასა და სამეცნიერო კადრების მომზადებას.

2. ინსტიტუტი უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვროს საინსტიტუტო პრიორიტეტები და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა, ჩაატაროს სამეცნიერო კონფერენციები და სამეცნიერო ხასიათის სხვა ტიპის ღონისძიებები, დაამყაროს სამეცნიერო კონტაქტები ადგილობრივ და უცხოეთის წამყვან სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო სამეცნიერო კვლევებში (ერთობლივი სამეცნიერო პროგრამები, საერთაშორისო ფორუმები, სამეცნიერო გრანტები, გაცვლითი სამეცნიერო პროგრამები და სხვა თემატური აქტივობები).

3. ინსტიტუტი კანონმდებლობით დადგენილი წესით, უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, ასევე:

ა) მონაწილეობს სტუდენტთა საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომების შესრულებაში;

ბ) უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული წესით მონაწილეობს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებასა და განხორციელებაში;

გ) უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართვას სამეცნიერო საგრანტო პროექტებში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში.

მუხლი 3. ინსტიტუტის სტრუქტურა

1. ინსტიტუტის სტრუქტურა შედგება ინსტიტუტის მართვის ორგანოების (დირექტორი და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო) და შემდეგი სამეცნიერო და არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებისაგან:

ა) სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებია:

ა.ა) ჰიდროლოგია-კლიმატოლოგიის განყოფილება;

ა.ბ) ფიზიკური გეოგრაფიის განყოფილება;

ა.გ) გეომორფოლოგია-გეოეკოლოგიის ლაბორატორია:

ა.დ) კარტოგრაფია-გეოინფორმატიკის ლაბორატორია;

ა.ე.) საზოგადოებრივი გეოგრაფიის განყოფილება;

ბ) არასამეცნიერო (დამხმარე) საქმიანობა ინსტიტუტში სტრუქტურულად ორგანიზებული არ არის და წარმოდგენილია ინსტიტუტში არსებული ცალკეული თანამდებობებისათვის (ტექნიკური პერსონალი) განსაზღვრულ კომპეტენციებში. ტექნიკური პერსონალის თანამდებობათა ჩამონათვალი დგინდება უნივერსიტეტის საშტატო განრიგით.

მუხლი 4. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო

1. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ქმნიან ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლები.
2. სამეცნიერო საბჭო:

ა) განიხილავს და წყვეტს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო მართვისა და განვითარების საკითხებს. შეიმუშავებს ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამეცნიერო კვლევების მიმდინარე გეგმებს, რასაც ამტკიცებს ინსტიტუტის დირექტორი;

ბ) ისმენს და ამტკიცებს ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა წლიურ ანგარიშებს და მათ საფუძველზე უზრუნველყოფს ინსტიტუტის წლიური სამეცნიერო ანგარიშის მომზადებას;

გ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს წარუდგენს ინსტიტუტის წლიურ სამეცნიერო ანგარიშს;
დ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მოთხოვნის შესაბამისად, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე ახდენს წლიური სამეცნიერო ანგარიშის ამსახველ პრეზენტაციას;
ე) დირექტორთან შეთანხმებით შეიმუშავებს, ინსტიტუტის სტრუქტურის ცვლილებების პროექტს და განსახილველად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს, უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესით დამტკიცების უზრუნველსაყოფად;
ვ) თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს;
ზ)სამეცნიერო საბჭო უფლებამოსილია მიიღოს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.
თ) უფლებამოსილია ინსტიტუტის საპატიო წევრებად აირჩიოს საქართველოში თუ საზღვარგარეთ მოღვაწე გამოჩენილი მეცნიერები;
ი) შეარჩევს ინსტიტუტის დირექტორს და წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად;
კ) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში მონაწილეობს კვლევითი კომპონენტის შესრულების მონიტორინგის პროცესში;
ლ) ასრულებს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით, ასევე წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.
3. სამეცნიერო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.
4. სამეცნიერო საბჭოს სხდომა იმართება 2 თვეში ერთხელ მაინც დირექტორის, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ან სამეცნიერო საბჭოს წევრთა არანაკლებ ერთი მესამედის ინიციატივით. სამეცნიერო საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლებამოსილება გააჩნიათ ამავე სუბიექტებს, დადგენილი წესით.
5. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო მონაწილეობს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის, უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებით პირობებისა და სამეცნიერო პერსონალის ატესტაციის წესის შემუშავებაში.
6. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდებისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად, შეიმუშავებს ინსტიტუტის დირექტორის ღია კონკურსის საფუძველზე შერჩევის წესს.

მუხლი 5. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და მისი უფლებამოსილებები

1. სამეცნიერო საბჭოს საქმიანობას წარმართავს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.
2. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს ირჩევს სამეცნიერო საბჭო, კენჭისყრის საფუძველზე, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, 5 წლის ვადით. საკითხს, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ასარჩევად კენჭისყრა ჩატარდეს ღია თუ ფარული წესით, წყვეტს სამეცნიერო საბჭო ღია კენჭისყრის საფუძველზე. იმ შემთხვევაში თუ სამეცნიერო საბჭომ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღო გადაწყვეტილება სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ფარული კენჭისყრით არჩევის შესახებ, სამეცნიერო საბჭო ადგენს ფარული კენჭისყრის ჩატარების პროცედურას.

3. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე:

ა) უძღვება სამეცნიერო საბჭოს სხდომებს;

ბ) ხელს აწერს სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმებს;

გ) ხელმძღვანელობს ინსტიტუტის წლიური სამეცნიერო ანგარიშის მომზადებას;

დ) წარმოადგენს საბჭოს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მესამე პირებთან ურთიერთობაში.

მუხლი 6. ინსტიტუტის დირექტორი

1. ინსტიტუტის სამეცნიერო-საორგანიზაციო და ადმინისტრაციულ საქმიანობას ხელმძღვანელობს ინსტიტუტის დირექტორი.

2. ინსტიტუტის დირექტორს შეარჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო 5 წლის ვადით და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს. კანდიდატურის დამტკიცებაზე აკადემიური საბჭოს დასაბუთებული უარის შემთხვევაში ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო წარადგენს იმავე კანდიდატს ან შეარჩევს სხვა კანდიდატურას. კანდიდატურის დამტკიცებაზე აკადემიური საბჭოს განმეორებითი უარის შემთხვევაში ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ნიშნავს რექტორი. ასეთ შემთხვევაში ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო ვალდებულია არაუგვიანეს 6 თვისა შეარჩიოს ინსტიტუტის დირექტორის ახალი კანდიდატურა. ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ინიშნება რექტორის მიერ იმ პერიოდამდე, სანამ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული არ იქნება ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურა.

3. ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელიც აკმაყოფილებს ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს და რომლის ასაკი 65 წელს არ აღემატება. თუ პირს არ უკავია ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა, ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დაკავების შემთხვევაში იგი ითვლება აგრეთვე მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩეულად. 65 წლის ასაკის მიღწევა არ იწვევს დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტას.

4. დირექტორისა და დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე 65 წელს მიღწეული პირის დანიშვნისა და არჩევის, ასევე გათავისუფლების საკითხს წყვეტს უშუალოდ ამ თანამდებობაზე არჩევის/დანიშვნის გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე სუბიექტი.

5. ერთმა და იმავე პირმა ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა ზედიზედ შეიძლება მხოლოდ ორჯერ დაიკავოს.

6. ინსტიტუტის დირექტორი, როგორც მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, არის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

7. ინსტიტუტის დირექტორი:

ა) უზრუნველყოფს ინსტიტუტში სამეცნიერო კვლევების ეფექტურად წარმართვას;

ბ) უნივერსიტეტის შესაბამის მართვის ორგანოებს შესათანხმებლად წარუდგენს ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამეცნიერო კვლევების მიმდინარე გეგმებს;

გ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში პასუხისმგებელია უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

დ) შეიმუშავებს და შესაბამის მართვის ორგანოებს განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს ინსტიტუტის ყოველწლიური ბიუჯეტისა და საშტატო ნუსხის პროექტს;

ე) პასუხისმგებელია ინსტიტუტის დაფინანსების მიზნობრივ გამოყენებაზე;

ვ) უზრუნველყოფს სამეცნიერო ანგარიშის მოსამზადებლად საორგანიზაციო ღონისძიებების გატარებას;

ზ) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, არა უგვიანეს ყოველი კალენდარული წლის ბოლოს, წარუდგენს ინფორმაციას მის მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ;

თ) უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნივერსიტეტის შესაბამისი მართვის ორგანოების წინაშე დასვას თანამშრომელთა წახალისების, ან მათ მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების საკითხი;

ი) საკუთარი უფლებამოსილების ვადით უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ინსტიტუტის პერსონალიდან დასანიშნად ან თანამდებობიდან გათავისუფლების მიზნით წარუდგენს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის/მოადგილეების და სწავლული მდივნის კანდიდატურებს;

კ) უნივერსიტეტის რექტორის ან/და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში, წარმოადგენს ინსტიტუტს მესამე პირთან ურთიერთობაში, დებს ხელშეკრულებებს უნივერსიტეტისგან შესაბამისი რწმუნების არსებობის შემთხვევაში;

ლ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს - ბრძანებებს;

მ) ახორციელებს წინამდებარე დებულებითა და უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

8. დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, დირექტორის მოვალეობას, მისივე დავალებით, ასრულებს დირექტორის მოადგილე, რაც უნდა ეცნობოს უნივერსიტეტის რექტორს.

9. დირექტორისა და დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის არყოფნის (მივლინება, შვებულება, საავადმყოფო ფურცელზე ყოფნა და სხვ.) შემთხვევაში, ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის დროებით შესრულება შესაძლებელია დაეკისროს ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს დირექტორის/დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინებით, რექტორის ბრძანებით.

10. დირექტორის/დირექტორის მოადგილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) სასამართლოს მიერ მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლა;

გ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

დ) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დასაბუთებული წარდგინება;

ე) გარდაცვალება;

ვ) უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 7. ინსტიტუტის სამეცნიერო და არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

1. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ღია კონკურსის საფუძველზე ირჩევს სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს დირექტორი.

2. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელად შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი ან უფროსი

მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს. თუ პირს არ უკავია დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში იგი ითვლება აგრეთვე სათანადო სამეცნიერო თანამდებობაზე არჩეულად.

3. ინსტიტუტის არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელს ინსტიტუტის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

4. ინსტიტუტის სამეცნიერო/არასამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულს მართავს ხელმძღვანელი, რომელიც:

ა) შეიმუშავებს სტრუქტურულ ერთეულში განსახორციელებელი საქმიანობის სამუშაო გეგმებს და წარუდგენს სამეცნიერო საბჭოს დასამტკიცებლად;

ბ) შეიმუშავებს სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების პროექტს და წარუდგენს დირექტორს დასამტკიცებლად;

გ) სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციის ფარგლებში, ორგანიზებას უწევს სამეცნიერო კვლევითი საგრანტო პროექტების შემუშავებას;

დ) განიხილავს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს სტრუქტურული ერთეულის სამეცნიერო თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესისა და დამატებითი საკვალიფიკაციო პირობების შესახებ;

ე) დირექტორის წინაშე აყენებს სტრუქტურულ ერთეულში თანამდებობის მქონე პირის დისციპლინური პასუხისმგებლობის, თანამდებობიდან გათავისუფლების ან წახალისების საკითხს;

ვ) შეიმუშავებს და დირექტორს წარუდგენს სტრუქტურული ერთეულის დაფინანსების პროექტს;

ზ) პასუხისმგებელია სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე.

მუხლი 8. ინსტიტუტის პერსონალი

1. ინსტიტუტის პესონალი შედგება ადმინისტრაციული, სამეცნიერო და სხვა პერსონალისაგან.
2. ადმინისტრაციულ პერსონალს მიეკუთვნება დირექტორი და დირექტორის მოადგილე.
3. სამეცნიერო პერსონალს მიეკუთვნება მეცნიერი და პოსტდოქტორანტი.
4. მეცნიერები არიან შემდეგი სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირები:

ა) მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

ბ) უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;

გ) მეცნიერი თანამშრომელი.

5. ინსტიტუტის სხვა პერსონალს მიეკუთვნებიან სპეციალისტები, ლაბორანტები და სხვა საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობები.

6. ინსტიტუტის დირექტორს/დირექტორის მოადგილეს არ შეიძლება ეკავოს ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა.

7. ინსტიტუტის პერსონალის უფლება-მოვალეობები, ასევე მათი შრომითი ურთიერთობის პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 9. ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის უფლება-მოვალეობები

1. სამეცნიერო პერსონალს უფლება აქვს:

ა) დამოუკიდებლად განახორციელოს სამეცნიერო კვლევა და შეუზღუდავად გამოაქვეყნოს კვლევის შედეგები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი შეზღუდვა ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული, ან ისინი შეიცავენ სახელმწიფო საიდუმლოებას;

ბ) დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, კვლევის მეთოდები და საშუალებები;

გ) მონაწილეობა მიიღოს საგრანტო დაფინანსების მოპოვების მიზნით გამოცხადებულ კონკურსებში, მიიღოს დაფინანსება, ისარგებლოს ინდივიდუალური საგრანტო დაფინანსებით, აგრეთვე, მიიღოს ანაზღაურება კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შედეგად ინსტიტუტის მიერ მიღებული შემოსავლებიდან;

დ) ისარგებლოს უნივერსიტეტის/ინსტიტუტის ბიბლიოთეკითა და სხვა ქონებით;

ე) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

2. სამეცნიერო პერსონალი ვალდებულია:

ა) დაიცვას ინსტიტუტის დებულებითა და უნივერსიტეტის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები;

ბ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

გ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის/ინსტიტუტის ქონებას;

დ) სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ყოველწლიურად წარუდგინოს შესრულებული სამუშაოს ანგარიში;

ე) შეასრულოს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებები;

ვ) წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისას გაითვალისწინოს ინსტიტუტის ინტერესები და რეგულარულად მიიღოს მონაწილეობა მიმდინარე ღონისძიებებში;

ზ) გაუფრთხილდეს ინსტიტუტის რეპუტაციას, ხელი შეუწყოს მისი მიზნების განხორციელებას.

3. სამეცნიერო პერსონალის შრომითი ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია მოქმედი კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული შემთხვევები.

მუხლი 10. სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესი

1. სამეცნიერო თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის საფუძველზე, რომელიც უნდა ჩატარდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების შესაბამისად.

2. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება, განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები და მნიშვნელოვანი პუბლიკაციები. პირი მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას უვადოდ იკავებს.

3. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პირი უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას იკავებს 7 წლის ვადით.

4. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პირი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას იკავებს 4 წლის ვადით.

5. პოსტდოქტორანტად აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი.
6. მთავარი მეცნიერი თანამშრომელი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება ატესტაციის გავლას უნივერსიტეტის წესდებითა და ატესტაციის ჩატარების ერთიანი წესისა და პირობებით განსაზღვრული წესით.

მუხლი 11. ინსტიტუტის ქონება და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა

1. ინსტიტუტი სარგებლობს უნივერსიტეტის მიერ ინსტიტუტისათვის გამოყოფილ სამეცნიერო და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობისთვის აუცილებელი უძრავ-მოძრავი ქონებით და პასუხისმგებელია ამ ქონების მოვლა-პატრონობასა და ეფექტურად (მიზნობრივად) გამოყენებაზე.
2. ინსტიტუტის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:
ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილი თანხები;
ბ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;
გ) გრანტებით მიღებული შემოსავალი;
დ) შემოწირულობები;
ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული დაფინანსების სხვა წყარო.
3. ინსტიტუტის საქმიანობით მოზიდული სახსრები გამოიყენება უნივერსიტეტისა და ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის შემდგომი განვითარებისათვის ან/და პერსონალის შრომის ანაზღაურებისათვის.

მუხლი 12. ინსტიტუტის ლიკვიდაცია

1. ინსტიტუტის ლიკვიდაციის საფუძველი შეიძლება გახდეს:
ა) ინსტიტუტის დებულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა;
ბ) უნივერსიტეტის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

მუხლი 13. დასკვნითი დებულებები, ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.
2. წინამდებარე დებულება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

136/2016 30.11.2016

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის ,,$თ^2$" ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,$კ^2$" ქვეპუნქტისა და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის 28.11.2016, №42740/02 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის დებულება (დანართი №1).
2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი შარვაშიძე
რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

დანართი №1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო -კვლევითი ერთეულის ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის

დებულება

პ რ ე ა მ ბ უ ლ ა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტი არის გეოლოგიური მიმართულების სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების სამართალმემკვიდრე, რომელიც გეოლოგიის დარგში ფუნდამენტური კვლევების აღიარებულ ლიდერ ორგანიზაციას წარმოადგენს. იგი დაარსდა 1925 წლის 25 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგია-პალეონტოლოგიის კათედრის ბაზაზე და სხვადასხვა სტატუსით, თუმცა უწყვეტად, ფუნქციონირებს დღემდე.

1941 წელს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით ინსტიტუტი შევიდა იმავე წელს დაარსებულ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში.

1975 წელს ინსტიტუტს ქართული გეოლოგიური სკოლის ფუძემდებლის და ინსტიტუტის დამაარსებლის ალ. ჯანელიძის პატივსაცემად მისი სახელი მიენიჭა.

საქართველოს მთავრობის 2006 წლის 16 მარტის №58 დადგენილებით ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტი დაფუძნდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად, ხოლო საქართველოს მთავრობის 2010 წლის 27 ივლისის №210 დადგენილების საფუძველზე ინსტიტუტი რეორგანიზებულ იქნა თსუ-ს დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით სტრუქტურულ ერთეულად და ეწოდა „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტი“.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი (შემდგომში - ,,ინსტიტუტი“) არის უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული, რომელიც ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და რომელსაც ჰყავს მართვის ორგანოები.
2. ინსტიტუტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.

3. ინსტიტუტს აქვს ბლანკი და ბეჭედი, საბანკო ქვეანგარიში (ქვეანგარიშები).
4. ინსტიტუტს შეიძლება ჰქონდეს პერიოდული გამოცემა (ჟურნალი, გაზეთი და სხვ.).

მუხლი 2. ინსტიტუტის მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი

1. ინსტიტუტის მიზანია უნივერსიტეტის ფარგლებში ხელი შეუწყოს სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო პროცესების ეფექტურად წარმართვას, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვასა და სამეცნიერო კადრების მომზადებას გეოლოგიის დარგის სხვადასხვა მიმართულებით. ინსტიტუტის დანიშნულებაა გეოლოგიაში ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო-კვლევითი, საგანმანათლებლო, საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობის განხორციელება და გამოყენებითი მიმართულების სამუშაოების წარმოება სახელმწიფო ან კერძო სექტორის დაკვეთით. აგრეთვე, ქვეყნის მინერალური რესურსების შესასწავლად ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების წარმოება და მათი შედეგების გავრცელება; ქვეყანაში ეკონომიკური საქმიანობის (მინერალური ნედლეულის საბადოების პროგნოზირება და რეკომენდაციების მიწოდება გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების ჩასატარებლად) საექსპერტო-საკონსულტაციო მხარდაჭერა.
2. ინსტიტუტი უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვროს საინსტიტუტო პრიორიტეტები და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა, ჩაატაროს სამეცნიერო კონფერენციები და სამეცნიერო ხასიათის სხვა ტიპის ღონისძიებები, დაამყაროს სამეცნიერო კონტაქტები ადგილობრივ და უცხოეთის წამყვან სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო სამეცნიერო კვლევებში (ერთობლივი სამეცნიერო პროგრამები, საერთაშორისო ფორუმები, სამეცნიერო გრანტები, გაცვლითი სამეცნიერო პროგრამები და სხვა თემატური აქტივობები).
3. ინსტიტუტი უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით, სახელმწიფო ან კერძო სექტორის დაკვეთით, აწარმოოს გამოყენებითი მიმართულების სამუშაოები; აგრეთვე, განახორციელოს ზემოთ ჩამოთვლილ და სხვა საქმიანობასთან დაკავშირებული, მათ შორის საპროექტო და ტექნოლოგიური ხასიათის დამხმარე ეკონომიკური საქმიანობა.
4. ინსტიტუტი კანონმდებლობით დადგენილი წესით, უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, ასევე:
ა) მონაწილეობს სტუდენტთა საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომების შესრულებაში;
ბ) უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული წესით მონაწილეობს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებასა და განხორციელებაში;
გ) უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართვას სამეცნიერო საგრანტო პროექტებში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში.

მუხლი 3. ინსტიტუტის სტრუქტურა

1. ინსტიტუტის სტრუქტურა შედგება ინსტიტუტის მართვის ორგანოების (დირექტორი და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო) და შემდეგი სამეცნიერო და არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებისაგან:

ა) სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებია:
ა.ა) სტრატიგრაფიისა და პალეონტოლოგიის განყოფილება;
ა.ბ) ტექტონიკისა და რეგიონული გეოლოგიის განყოფილება;
ა.გ) პეტროლოგიის, ვულკანოლოგიის, მინერალოგიისა და ლითოლოგიის განყოფილება;
ა.დ) სასარგებლო წიაღისეულისა და გეოქიმიის განყოფილება;
ა.ე) გარემოს დაცვის განყოფილება;
ა.ვ) გეოლოგიური კვლევის კომპლექსური ლაბორატორია.
ბ) არასამეცნიერო (დამხმარე) საქმიანობა ინსტიტუტში სტრუქტურულად ორგანიზებული არ არის და წარმოდგენილია ცალკეული თანამდებობებისათვის განსაზღვრულ კომპეტენციებში, რომელთა ჩამონათვალი განისაზღვრება უნივერსიტეტის საშტატო განრიგით.

მუხლი 4. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო

1. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ქმნიან ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლები.
2. სამეცნიერო საბჭო:

ა) განიხილავს და წყვეტს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო მართვისა და განვითარების საკითხებს. შეიმუშავებს ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამეცნიერო კვლევების მიმდინარე გეგმებს, რასაც ამტკიცებს ინსტიტუტის დირექტორი;
ბ) ისმენს და ამტკიცებს ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა წლიურ ანგარიშებს და მათ საფუძველზე უზრუნველყოფს ინსტიტუტის წლიური სამეცნიერო ანგარიშის მომზადებას;
გ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს წარუდგენს ინსტიტუტის წლიურ სამეცნიერო ანგარიშს;
დ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მოთხოვნის შესაბამისად, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე ახდენს წლიური სამეცნიერო ანგარიშის ამსახველ პრეზენტაციას;
ე) დირექტორთან შეთანხმებით, შეიმუშავებს ინსტიტუტის სტრუქტურის ცვლილებების პროექტს და განსახილველად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს, უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესით დამტკიცების უზრუნველსაყოფად;
ვ) თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს;

ზ) სამეცნიერო საბჭო უფლებამოსილია მიიღოს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.
თ) უფლებამოსილია ინსტიტუტის საპატიო წევრებად აირჩიოს საქართველოში თუ საზღვარგარეთ მოღვაწე გამოჩენილი მეცნიერები;
ი) შეარჩევს ინსტიტუტის დირექტორს და წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად;
კ) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში მონაწილეობს კვლევითი კომპონენტის შესრულების მონიტორინგის პროცესში;
ლ) ასრულებს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით და ასევე, წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.
3. სამეცნიერო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.
4. სამეცნიერო საბჭოს სხდომა იმართება 2 თვეში ერთხელ მაინც, დირექტორის, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ან სამეცნიერო საბჭოს წევრთა არანაკლებ ერთი მესამედის ინიციატივით. სამეცნიერო საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლებამოსილება გააჩნიათ ამავე სუბიექტებს, დადგენილი წესით.
5. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო მონაწილეობს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის, უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობებისა და სამეცნიერო პერსონალის ატესტაციის წესის შემუშავებაში.
6. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდებისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად, შეიმუშავებს ინსტიტუტის დირექტორის ღია კონკურსის საფუძველზე შერჩევის წესს.

მუხლი 5. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და მისი უფლებამოსილებები

1. სამეცნიერო საბჭოს საქმიანობას წარმართავს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.
2. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს ირჩევს სამეცნიერო საბჭო, კენჭისყრის საფუძველზე, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, 5 წლის ვადით. საკითხს, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ასარჩევად კენჭისყრა ჩატარდეს ღია თუ ფარული წესით წყვეტს სამეცნიერო საბჭო ღია კენჭისყრის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ სამეცნიერო საბჭომ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღო გადაწყვეტილება სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ფარული კენჭისყრით არჩევის შესახებ, სამეცნიერო საბჭო ადგენს ფარული კენჭისყრის ჩატარების პროცედურას.
3. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე:

ა) უძღვება სამეცნიერო საბჭოს სხდომებს;

ბ) ხელს აწერს სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმებს;

გ) ხელმძღვანელობს ინსტიტუტის წლიური სამეცნიერო ანგარიშის მომზადებას;

დ) წარმოადგენს საბჭოს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მესამე პირებთან ურთიერთობაში.

მუხლი 6. ინსტიტუტის დირექტორი

1. ინსტიტუტის სამეცნიერო-საორგანიზაციო და ადმინისტრაციულ საქმიანობას ხელმძღვანელობს ინსტიტუტის დირექტორი.

2. ინსტიტუტის დირექტორს შეარჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო 5 წლის ვადით და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს. კანდიდატურის დამტკიცებაზე აკადემიური საბჭოს დასაბუთებული უარის შემთხვევაში ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო წარადგენს იმავე კანდიდატს ან შეარჩევს სხვა კანდიდატურას. კანდიდატურის დამტკიცებაზე აკადემიური საბჭოს განმეორებითი უარის შემთხვევაში, ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ნიშნავს რექტორი. ასეთ შემთხვევაში, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო ვალდებულია არაუგვიანეს 6 თვისა შეარჩიოს ინსტიტუტის დირექტორის ახალი კანდიდატურა. ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ინიშნება რექტორის მიერ იმ პერიოდამდე, სანამ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული არ იქნება ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურა.

3. ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელიც აკმაყოფილებს ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს და რომლის ასაკი 65 წელს არ აღემატება. თუ პირს არ უკავია ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა, ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დაკავების შემთხვევაში იგი ითვლება აგრეთვე მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩეულად. 65 წლის ასაკის მიღწევა არ იწვევს დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტას.

4. დირექტორისა და დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე 65 წელს მიღწეული პირის დანიშვნისა და არჩევის, ასევე გათავისუფლების საკითხს წყვეტს უშუალოდ ამ თანამდებობაზე არჩევის/დანიშვნის გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე სუბიექტი.

5. ერთმა და იმავე პირმა ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა ზედიზედ შეიძლება მხოლოდ ორჯერ დაიკავოს.

6. ინსტიტუტის დირექტორი, როგორც მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, არის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

7. ინსტიტუტის დირექტორი:

ა) უზრუნველყოფს ინსტიტუტში სამეცნიერო კვლევების ეფექტურად წარმართვას;

ბ) უნივერსიტეტის შესაბამის მართვის ორგანოებს შესათანხმებლად წარუდგენს ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამეცნიერო კვლევების მიმდინარე გეგმებს;

გ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში პასუხისმგებელია უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

დ) შეიმუშავებს და შესაბამის მართვის ორგანოებს განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს ინსტიტუტის ყოველწლიური ბიუჯეტისა და საშტატო ნუსხის პროექტს;

ე) პასუხისმგებელია ინსტიტუტის დაფინანსების მიზნობრივ გამოყენებაზე;

ვ) უზრუნველყოფს სამეცნიერო ანგარიშის მოსამზადებლად საორგანიზაციო ღონისძიებების გატარებას;

ზ) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, არაუგვიანეს ყოველი კალენდარული წლის ბოლოს, წარუდგენს ინფორმაციას მის მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ;

თ) უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნივერსიტეტის შესაბამისი მართვის ორგანოების წინაშე დასვას თანამშრომელთა წახალისების ან მათ მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების საკითხი;

ი) საკუთარი უფლებამოსილების ვადით უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ინსტიტუტის პერსონალიდან დასანიშნად ან თანამდებობიდან გათავისუფლების მიზნით წარუდგენს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის/მოადგილეების და სწავლული მდივნის კანდიდატურებს;

კ) უნივერსიტეტის რექტორის ან/და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში, წარმოადგენს ინსტიტუტს მესამე პირთან ურთიერთობაში, დებს ხელშეკრულებებს უნივერსიტეტისგან შესაბამისი რწმუნების არსებობის შემთხვევაში;

ლ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს - ბრძანებებს;

მ) ახორციელებს წინამდებარე დებულებითა და უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

8. დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, დირექტორის მოვალეობას, მისივე დავალებით, ასრულებს დირექტორის მოადგილე, რაც უნდა ეცნობოს უნივერსიტეტის რექტორს.

9. დირექტორის/დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის და დირექტორის მოადგილის არყოფნის (მივლინება, შვებულება, საავადმყოფო ფურცელზე ყოფნა და სხვ.) შემთხვევაში, ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის დროებით შესრულება შესაძლებელია დაეკისროს ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს (გამონაკლის შემთხვევაში სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირს) დირექტორის/დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინებით, რექტორის ბრძანებით.

10. დირექტორის/დირექტორის მოადგილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) სასამართლოს მიერ მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლა;

გ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

დ) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დასაბუთებული წარდგინება;

ე) გარდაცვალება;

ვ) უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 7. ინსტიტუტის სამეცნიერო და არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

1. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ღია კონკურსის საფუძველზე ირჩევს სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს დირექტორი.

2. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელად შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს. თუ პირს არ უკავია დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში იგი ითვლება აგრეთვე სათანადო სამეცნიერო თანამდებობაზე არჩეულად.

3. ინსტიტუტის არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელს ინსტიტუტის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

4. ინსტიტუტის სამეცნიერო/არასამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულს მართავს ხელმძღვანელი, რომელიც:

ა) შეიმუშავებს სტრუქტურულ ერთეულში განსახორციელებელი საქმიანობის სამუშაო გეგმებს და წარუდგენს სამეცნიერო საბჭოს დასამტკიცებლად;

ბ) შეიმუშავებს სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების პროექტს და წარუდგენს დირექტორს დასამტკიცებლად;

გ) სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციის ფარგლებში, ორგანიზებას უწევს სამეცნიერო კვლევითი საგრანტო პროექტების შემუშავებას;

დ) განიხილავს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს სტრუქტურული ერთეულის სამეცნიერო თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესისა და დამატებითი საკვალიფიკაციო პირობების შესახებ;

ე) დირექტორის წინაშე აყენებს სტრუქტურულ ერთეულში თანამდებობის მქონე პირის დისციპლინური პასუხისმგებლობის, თანამდებობიდან გათავისუფლების ან წახალისების საკითხს;

ვ) შეიმუშავებს და დირექტორს წარუდგენს სტრუქტურული ერთეულის დაფინანსების პროექტს;

ზ) პასუხისმგებელია სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე.

მუხლი 8. ინსტიტუტის პერსონალი

1. ინსტიტუტის პერსონალი შედგება ადმინისტრაციული, სამეცნიერო და სხვა პერსონალისაგან.
2. ადმინისტრაციულ პერსონალს მიეკუთვნება დირექტორი და დირექტორის მოადგილე.
3. სამეცნიერო პერსონალს მიეკუთვნება მეცნიერი და პოსტდოქტორანტი.
4. მეცნიერები არიან შემდეგი სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირები:

ა) მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

ბ) უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;

გ) მეცნიერი თანამშრომელი.

5. ინსტიტუტის სხვა პერსონალს მიეკუთვნებიან სპეციალისტები, ლაბორანტები, ინჟინრები და სხვა, საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობები.

6. ინსტიტუტის დირექტორს/მოადგილეს არ შეიძლება ეკავოს ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა.

7. ინსტიტუტის პერსონალის უფლება-მოვალეობები, ასევე მათი შრომითი ურთიერთობის პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 9. ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის უფლება-მოვალეობები

1. სამეცნიერო პერსონალს უფლება აქვს:

ა) დამოუკიდებლად განახორციელოს სამეცნიერო კვლევა და შეუზღუდავად გამოაქვეყნოს კვლევის შედეგები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი შეზღუდვა ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული ან ისინი შეიცავენ სახელმწიფო საიდუმლოებას;

ბ) დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, კვლევის მეთოდები და საშუალებები;

გ) მონაწილეობა მიიღოს საგრანტო დაფინანსების მოპოვების მიზნით გამოცხადებულ კონკურსებში, მიიღოს დაფინანსება, ისარგებლოს ინდივიდუალური საგრანტო დაფინანსებით, აგრეთვე, მიიღოს ანაზღაურება კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შედეგად ინსტიტუტის მიერ მიღებული შემოსავლებიდან;

დ) ისარგებლოს უნივერსიტეტის/ინსტიტუტის ბიბლიოთეკითა და სხვა ქონებით;

ე) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

2. სამეცნიერო პერსონალი ვალდებულია:

ა) დაიცვას ინსტიტუტის დებულებითა და უნივერსიტეტის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები;

ბ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

გ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის/ინსტიტუტის ქონებას;

დ) სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ყოველწლიურად წარუდგინოს შესრულებული სამუშაოს ანგარიში;

ე) შეასრულოს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებები;

ვ) წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისას გაითვალისწინოს ინსტიტუტის ინტერესები და რეგულარულად მიიღოს მონაწილეობა მიმდინარე ღონისძიებებში;

ზ) გაუფრთხილდეს ინსტიტუტის რეპუტაციას, ხელი შეუწყოს მისი მიზნების განხორციელებას.

3. სამეცნიერო პერსონალის შრომითი ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია მოქ-მედი კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული შემთხვევები.

მუხლი 10. სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესი

1. სამეცნიერო თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის საფუძველზე, რომელიც უნდა ჩატარდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების შესაბამისად.

2. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება, განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები და მნიშვნელოვანი პუბლიკაციები. პირი მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას უვადოდ იკავებს.

3. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პირი უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას იკავებს 7 წლის ვადით.

4. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პირი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას იკავებს 4 წლის ვადით.

5. პოსტდოქტორანტად აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი.
6. მთავარი მეცნიერი თანამშრომელი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება ატესტაციის გავლას უნივერსიტეტის წესდებითა და ატესტაციის ჩატარების ერთიანი წესისა და პირობებით განსაზღვრული წესით.

მუხლი 11. ინსტიტუტის ქონება და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა

1. ინსტიტუტი სარგებლობს უნივერსიტეტის მიერ ინსტიტუტისათვის გამოყოფილი სამეცნიერო და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობისთვის აუცილებელი უძრავ-მოძრავი ქონებით და პასუხისმგებელია ამ ქონების მოვლა-პატრონობასა და ეფექტურად (მიზნობრივად) გამოყენებაზე.
2. ინსტიტუტის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:
ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილი თანხები;
ბ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;
გ) გრანტებით მიღებული შემოსავალი;
დ) შემოწირულობები;
ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული დაფინანსების სხვა წყარო.
3. ინსტიტუტის საქმიანობით მოზიდული სახსრები გამოიყენება უნივერსიტეტისა და ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის შემდგომი განვითარებისათვის ან/და პერსონალის შრომის ანაზღაურებისათვის.

მუხლი 12. ინსტიტუტის ლიკვიდაცია

1. ინსტიტუტის ლიკვიდაციის საფუძველი შეიძლება გახდეს:
ა) ინსტიტუტის დებულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა;
ბ) უნივერსიტეტის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

მუხლი 13. დასკვნითი დებულებები, ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.
2. წინამდებარე დებულება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

137/2016 **30.11.2016**

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ²“ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ²“ ქვეპუნქტისა და თსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის 25.11.2016, №42662/02 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დებულება (დანართი №1).
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 6 აპრილის №48/2015 დადგენილება.
3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
5. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი შარვაშიძე
რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

დანართი №1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დებულება

პ რ ე ა მ ბ უ ლ ა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი დაარსდა 1944 წლის 29 ივნისს აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ინიციატივით. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 ოქტომბრის №103 დადგენილების შესაბამისად, სსიპ - პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი რეორგანიზებულ იქნა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო – კვლევით ერთეულად. ინსტიტუტი მუდამ იყო საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარებისა და ამ დარგში სამეცნიერო კადრების აღზრდის ფლაგმანი. იგი სამართლიანად ითვლება საქართველოში პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებების განმსაზღვრელად და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის კოორდინატორად ეკონომიკის დარში.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი (შემდგომში - ,,ინსტიტუტი“) არის უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული, რომელიც ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და რომელსაც ჰყავს მართვის ორგანოები.
2. ინსტიტუტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.
3. ინსტიტუტს აქვს ბლანკი და ბეჭედი, საბანკო ქვეანგარიში (ქვეანგარიშები).
4. ინსტიტუტს შეიძლება ჰქონდეს პერიოდული გამოცემა (ჟურნალი, გაზეთი და სხვ.).

მუხლი 2. ინსტიტუტის მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი

1. ინსტიტუტის მიზანია უნივერსიტეტის ფარგლებში ხელი შეუწყოს სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო პროცესების ეფექტურად წარმართვას, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვასა და სამეცნიერო კადრების მომზადებას. ინსტიტუტის დანიშნულებაა ფუნდამენტური და

გამოყენებითი სამეცნიერო-კვლევითი, საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობის განხორციელება.

2. ინსტიტუტი უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვროს საინსტიტუტო პრიორიტეტები და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა, ჩაატაროს სამეცნიერო კონფერენციები და სამეცნიერო ხასიათის სხვა ტიპის ღონისძიებები, დაამყაროს სამეცნიერო კონტაქტები ადგილობრივ და უცხოეთის წამყვან სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო სამეცნიერო კვლევებში (ერთობლივი სამეცნიერო პროგრამები, საერთაშორისო ფორუმები, სამეცნიერო გრანტები, გაცვლითი სამეცნიერო პროგრამები და ა.შ.).

3. ინსტიტუტი კანონმდებლობით დადგენილი წესით, უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, ასევე:

ა) მონაწილეობს სტუდენტთა საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომების შესრულებაში;

ბ) უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული წესით მონაწილეობს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებასა და განხორციელებაში;

გ) უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართვას სამეცნიერო საგრანტო პროექტებში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში.

მუხლი 3. ინსტიტუტის სტრუქტურა

1. ინსტიტუტის მართვის ორგანოებია ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და ინსტიტუტის დირექტ-ორი.

2. ინსტიტუტის სტრუქტურა შედგება ძირითადი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან.

3. ინსტიტუტის ძირითადი სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებია:

ა) ეკონომიკური თეორიის განყოფილება;

ბ) მაკროეკონომიკის განყოფილება;

გ) სექტორული და რეგიონული ეკონომიკის განყოფილება:

გ.ა) აგრარულ პრობლემათა კვლევის ლაბორატორია;

დ) ბიზნესის პრობლემათა კვლევის განყოფილება;

ე) ფინანსებისა და საბანკო საქმის განყოფილება;

ვ) საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობების განყოფილება;

ზ) ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის განყოფილება.

4. ინსტიტუტის დამხმარე არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებია:

ა) სამეცნიერო ინფორმაციის მოპოვებისა და ანალიზის სამსახური;

ბ) ბიბლიოთეკა;

გ) კანცელარია;
დ) გამომცემლობა.

მუხლი 4. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო

1. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ქმნიან ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლები.
2. სამეცნიერო საბჭო:

ა) განიხილავს და წყვეტს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო მართვისა და განვითარების საკითხებს. შეიმუშავებს ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამეცნიერო კვლევების მიმდინარე გეგმებს, რასაც ამტკიცებს ინსტიტუტის დირექტორი;

ბ) ისმენს და ამტკიცებს ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა წლიურ ანგარიშებს და მათ საფუძველზე უზრუნველყოფს ინსტიტუტის წლიური სამეცნიერო ანგარიშის მომზადებას;

გ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს წარუდგენს ინსტიტუტის წლიურ სამეცნიერო ანგარიშს;

დ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მოთხოვნის შესაბამისად, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე ახდენს წლიური სამეცნიერო ანგარიშის ამსახველ პრეზენტაციას;

ე) დირექტორთან შეთანხმებით შეიმუშავებს, ინსტიტუტის სტრუქტურის ცვლილებების პროექტს და განსახილველად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს, უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესით დამტკიცების უზრუნველსაყოფად;

ვ) თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს;

ზ) სამეცნიერო საბჭო უფლებამოსილია მიიღოს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტმა;

თ) უფლებამოსილია ინსტიტუტის საპატიო წევრებად აირჩიოს საქართველოში თუ საზღვარგარეთ მოღვაწე გამოჩენილი მეცნიერები;

ი) შეარჩევს ინსტიტუტის დირექტორს და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს;

კ) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში მონაწილეობს კვლევითი კომპონენტის შესრულების მონიტორინგის პროცესში;

ლ) ასრულებს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით, ასევე წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.

3. სამეცნიერო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.
4. სამეცნიერო საბჭოს სხდომა იმართება 2 თვეში ერთხელ მაინც დირექტორის, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ან სამეცნიერო საბჭოს წევრთა არანაკლებ ერთი მესამედის ინიციატივით. სამეცნიერო საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლებამოსილება გააჩნიათ ამავე სუბიექტებს, დადგენილი წესით.
5. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო მონაწილეობს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის, უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებით პირობებისა და სამეცნიერო პერსონალის ატესტაციის წესის შემუშავებაში.
6. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდებისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად, შეიმუშავებს ინსტიტუტის დირექტორის ღია კონკურსის საფუძველზე შერჩევის წესს.

მუხლი 5. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და მისი უფლებამოსილებები

1. სამეცნიერო საბჭოს საქმიანობას წარმართავს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.
2. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს ირჩევს სამეცნიერო საბჭო, კენჭისყრის საფუძველზე, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, 5 წლის ვადით. საკითხს, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ასარჩევად კენჭისყრა ჩატარდეს ღია თუ ფარული წესით წყვეტს სამეცნიერო საბჭო ღია კენჭისყრის საფუძველზე. იმ შემთხვევაში თუ სამეცნიერო საბჭომ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღო გადაწყვეტილება სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ფარული კენჭისყრით არჩევის შესახებ, სამეცნიერო საბჭო ადგენს ფარული კენჭისყრის ჩატარების პროცედურას.
3. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე:
ა) უძღვება სამეცნიერო საბჭოს სხდომებს;
ბ) ხელს აწერს სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმებს;
გ) ხელმძღვანელობს ინსტიტუტის წლიური სამეცნიერო ანგარიშის მომზადებას;
დ) წარმოადგენს საბჭოს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მესამე პირებთან ურთიერთობაში.

მუხლი 6. ინსტიტუტის დირექტორი

1. ინსტიტუტის სამეცნიერო-საორგანიზაციო და ადმინისტრაციულ საქმიანობას ხელმძღვანელობს ინსტიტუტის დირექტორი.

2. ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურას 5 წლის ვადით, ღია კონკურსის საფუძველზე შეარჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს. კანდიდატურის დამტკიცებაზე აკადემიური საბჭოს დასაბუთებული უარის შემთხვევაში ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო წარადგენს იმავე კანდიდატს ან შეარჩევს სხვა კანდიდატურას. კანდიდატურის დამტკიცებაზე აკადემიური საბჭოს განმეორებითი უარის შემთხვევაში ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ნიშნავს რექტორი. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო ვალდებულია არაუგვიანეს 6 თვისა შეარჩიოს ინსტიტუტის დირექტორის ახალი კანდიდატურა. ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ინიშნება აკადემიური საბჭოს მიერ ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის დამტკიცებამდე.

3. ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელიც აკმაყოფილებს ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს და რომლის ასაკი 65 წელს არ აღემატება. თუ პირს არ უკავია ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა, ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დაკავების შემთხვევაში იგი ითვლება აგრეთვე მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩეულად. 65 წლის ასაკის მიღწევა არ იწვევს დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტას.

4. დირექტორის თანამდებობაზე 65 წელს მიღწეული პირის არჩევის, ასევე გათავისუფლების საკითხს წყვეტს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო. დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე 65 წელს მიღწეული პირის დანიშვნის, ასევე გათავისუფლების საკითხს წყვეტს უნივერსიტეტის რექტორი.

5. დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე 65 წელს მიღწეული პირის დანიშვნის, ასევე გათავისუფლების საკითხს წყვეტს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

6. ერთმა და იმავე პირმა ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა ზედიზედ შეიძლება მხოლოდ ორჯერ დაიკავოს.

7. ინსტიტუტის დირექტორი, როგორც მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, არის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

8. ინსტიტუტის დირექტორი:

ა) უზრუნველყოფს ინსტიტუტში სამეცნიერო კვლევების ეფექტურად წარმართვას;

ბ) უნივერსიტეტის შესაბამის მართვის ორგანოებს შესათანხმებლად წარუდგენს ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამეცნიერო კვლევების მიმდინარე გეგმებს;

გ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში პასუხისმგებელია უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

დ) შეიმუშავებს და უნივერსიტეტის შესაბამის მართვის ორგანოებს განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს ინსტიტუტის ყოველწლიური ბიუჯეტისა და საშტატო ნუსხის პროექტს;

ე) პასუხისმგებელია ინსტიტუტის დაფინანსების მიზნობრივ გამოყენებაზე;

ვ) უზრუნველყოფს სამეცნიერო ანგარიშის მოსამზადებლად საორგანიზაციო ღონისძიებების გატარებას;
ზ) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, არაუგვიანეს ყოველი კალენდარული წლის ბოლოს, წარუდგენს ინფორმაციას მის მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ;
თ) უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნივერსიტეტის შესაბამისი მართვის ორგანოების წინაშე დასვას თანამშრომელთა წახალისების ან მათ მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების საკითხი;
ი) საკუთარი უფლებამოსილების ვადით, ინსტიტუტის პერსონალიდან დასანიშნად ან თანამდებობიდან გათავისუფლების მიზნით უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს/მოადგილეებს;
კ) უნივერსიტეტის რექტორის ან/და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში, წარმოადგენს ინსტიტუტს მესამე პირთან ურთიერთობაში, დებს ხელშეკრულებებს უნივერსიტეტისგან შესაბამისი რწმუნების არსებობის შემთხვევაში;
ლ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს - ბრძანებებს;
მ) ახორციელებს წინამდებარე დებულებითა და უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.
9. დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, დირექტორის მოვალეობას, მისივე დავალებით, ასრულებს დირექტორის მოადგილე, რაც უნდა ეცნობოს უნივერსიტეტის რექტორს.
10. დირექტორისა და დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის არყოფნის (მივლინება, შვებულება, საავადმყოფო ფურცელზე ყოფნა და სხვ.) შემთხვევაში, ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის დროებით შესრულება შესაძლებელია დაეკისროს ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს დირექტორის/დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინებით, რექტორის ბრძანებით.
11. დირექტორის/დირექტორის მოადგილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია:
ა) პირადი განცხადება;
ბ) სასამართლოს მიერ მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლა;
გ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
დ) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დასაბუთებული წარდგინება;
ე) გარდაცვალება;
ვ) უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 7. ინსტიტუტის სამეცნიერო და არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

1. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ღია კონკურსის საფუძველზე ირჩევს სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს დირექტორი.
2. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელად შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს თუ პირს არ უკავია დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში იგი ითვლება აგრეთვე სათანადო სამეცნიერო თანამდებობაზე არჩეულად.
3. ინსტიტუტის არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელს ინსტიტუტის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
4. ინსტიტუტის სამეცნიერო/არასამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულს მართავს ხელმძღვანელი, რომელიც:

ა) შეიმუშავებს სტრუქტურულ ერთეულში განსახორციელებელი საქმიანობის სამუშაო გეგმებს და წარუდგენს სამეცნიერო საბჭოს დასამტკიცებლად;

ბ) შეიმუშავებს სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების პროექტს და წარუდგენს დირექტორს დასამტკიცებლად;

გ) სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციის ფარგლებში, ორგანიზებას უწევს სამეცნიერო კვლევითი საგრანტო პროექტების შემუშავებას;

დ) განიხილავს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს სტრუქტურული ერთეულის სამეცნიერო თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესისა და დამატებითი საკვალიფიკაციო პირობების შესახებ;

ე) დირექტორის წინაშე აყენებს სტრუქტურულ ერთეულში თანამდებობის მქონე პირის დისციპლინური პასუხისმგებლობის, თანამდებობიდან გათავისუფლების ან წახალისების საკითხს;

ვ) შეიმუშავებს და დირექტორს წარუდგენს სტრუქტურული ერთეულის დაფინანსების პროექტს;

ზ) პასუხისმგებელია სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე.

მუხლი 8. ინსტიტუტის პერსონალი

1. ინსტიტუტის პერსონალი შედგება ადმინისტრაციული, სამეცნიერო და სხვა პერსონალისაგან.
2. ადმინისტრაციულ პერსონალს მიეკუთვნება დირექტორი და დირექტორის მოადგილე.
3. სამეცნიერო პერსონალს მიეკუთვნება მეცნიერი და პოსტდოქტორანტი.
4. მეცნიერები არიან შემდეგი სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირები:
ა) მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
ბ) უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;
გ) მეცნიერი თანამშრომელი.
5. ინსტიტუტის სხვა პერსონალს მიეკუთვნებიან სპეციალისტები, ლაბორანტები, ინჟინრები და სხვა საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობები.
6. პოსტდოქტორანტია პირი, რომელსაც კონკრეტული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განსახორციელებლად არაუმეტეს 2 წლის ვადით, კონკურსის საფუძველზე ირჩევს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭო აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით.
7. ინსტიტუტის დირექტორს/მოადგილეს არ შეიძლება ეკავოს ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სამეცნიერო თანამდებობა.
8. ინსტიტუტის პერსონალის უფლება-მოვალეობები, ასევე მათი შრომითი ურთიერთობის პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 9. ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის უფლება-მოვალეობები

1. სამეცნიერო პერსონალს უფლება აქვს:
ა) დამოუკიდებლად განახორციელოს სამეცნიერო კვლევა და შეუზღუდავად გამოაქვეყნოს კვლევის შედეგები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი შეზღუდვა ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული ან ისინი შეიცავენ სახელმწიფო საიდუმლოებას;
ბ) დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, კვლევის მეთოდები და საშუალებები;
გ) მონაწილეობა მიიღოს საგრანტო დაფინანსების მოპოვების მიზნით გამოცხადებულ კონკურ-სებში, მიიღოს დაფინანსება, ისარგებლოს ინდივიდუალური საგრანტო დაფინანსებით, აგრეთვე, მიიღოს ანაზღაურება კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შედეგად ინსტიტუტის მიერ მიღებული შემოსავლებიდან;
დ) ისარგებლოს უნივერსიტეტის/ინსტიტუტის ბიბლიოთეკითა და სხვა ქონებით;
ე) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.
2. სამეცნიერო პერსონალი ვალდებულია:

ა) დაიცვას ინსტიტუტის დებულებითა და უნივერსიტეტის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები;
ბ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
გ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის/ინსტიტუტის ქონებას;
დ) სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ყოველწლიურად წარუდგინოს შესრულებული სამუშაოს ანგარიში;
ე) შეასრულოს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებები;
ვ) წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისას გაითვალისწინოს ინსტიტუტის ინტერესები და რეგულარულად მიიღოს მონაწილეობა მიმდინარე ღონისძიებებში;
ზ) გაუფრთხილდეს ინსტიტუტის რეპუტაციას, ხელი შეუწყოს მისი მიზნების განხორციელებას.
3. სამეცნიერო პერსონალის შრომითი ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია მოქ-მედი კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული შემთხვევები.

მუხლი 10. სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესი

1. სამეცნიერო თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის საფუძველზე, რომელიც უნდა ჩატარდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების შესაბამისად.
2. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება, განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები, მნიშვნელოვანი პუბლიკაციები და სხვა აქტიურობები. პირი მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას უვადოდ იკავებს.
3. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პირი უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას იკავებს 7 წლის ვადით.
4. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პირი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას იკავებს 4 წლის ვადით.
5. პოსტდოქტორანტად აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი.
6. მთავარი მეცნიერი თანამშრომელი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება ატესტაციის გავლას უნივერსიტეტის წესდებითა და ატესტაციის ჩატარების ერთიანი წესისა და პირობებით განსაზღვრული წესით.

მუხლი 11. ინსტიტუტის ქონება და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა

1. ინსტიტუტი სარგებლობს უნივერსიტეტის მიერ ინსტიტუტისათვის გამოყოფილი სამეცნიერო და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობისთვის აუცილებელი უძრავ-მოძრავი ქონებით და პასუხისმგებელია ამ ქონების მოვლა-პატრონობასა და ეფექტურად (მიზნობრივად) გამოყენებაზე.
2. ინსტიტუტის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:
ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილი თანხები;
ბ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;
გ) გრანტებით მიღებული შემოსავალი;
დ) შემოწირულობები;
ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული დაფინანსების სხვა წყარო.
3. ინსტიტუტის საქმიანობით მოზიდული სახსრები გამოიყენება უნივერსიტეტისა და ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის შემდგომი განვითარებისათვის ან/და პერსონალის შრომის ანაზღაურებისათვის.

მუხლი 12. ინსტიტუტის ლიკვიდაცია

1. ინსტიტუტის ლიკვიდაციის საფუძველი შეიძლება გახდეს:
ა) ინსტიტუტის დებულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა;
ბ) უნივერსიტეტის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

მუხლი 13. დასკვნითი დებულებები, ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.
2. წინამდებარე დებულება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დადგენილება № 147/2016
19 დეკემბერი, 2016

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 61-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-6 და მე-7 ნაწილების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ^{2}“ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ^{2}“ ქვეპუნქტისა და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის 09.12.2016, №44242/02 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის დებულება (დანართი №1).
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 28 მარტის №29/2014 დადგენილება.
3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
5. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი შარვაშიძე
რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

დანართი №1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის დებულება

პ რ ე ა მ ბ უ ლ ა

ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი წარმოადგენს საქართველოში ბიოსამედიცინო სფეროს ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების, ასევე ამ დარგების სპეციალისტთა დახელოვნების აღიარებულ ლიდერ სუბიექტს. ის აკადემიკოს ალექსანდრე ნათიშვილის მიერ 1946 წელს დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ექსპერიმენტული მორფოლოგიის სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის სახით. საქართველოს მთავრობის 2006 წლის 16 მარტის №58 დადგენილებით ინსტიტუტი დაფუძნდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად, რომელიც საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 აგვისტოს №220 დადგენილების შესაბამისად რეორგანიზებულ იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო–კვლევით ერთეულად – „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტად“.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი (შემდგომში - ,,ინსტიტუტი“) არის უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული, რომელიც ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და რომელსაც ჰყავს მართვის ორგანოები.
2. ინსტიტუტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.
3. ინსტიტუტს აქვს ბლანკი და ბეჭედი, საბანკო ქვეანგარიში (ქვეანგარიშები).
4. ინსტიტუტს შეიძლება ჰქონდეს პერიოდული გამოცემა (ჟურნალი, გაზეთი და სხვ.).

მუხლი 2. ინსტიტუტის მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი

1. ინსტიტუტის მიზანია უნივერსიტეტის ფარგლებში ხელი შეუწყოს სამეცნიერო-კვლევით და

სასწავლო პროცესების ეფექტურად წარმართვას, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვასა და სამეცნიერო კადრების მომზადებას, სამედიცინო–ბიოლოგიური პროფილის კადრების უწყვეტი განათლებისა და პროფესიული განვითარების პროგრამების განხორციელებას. ინსტიტუტის დანიშნულებაა ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო-კვლევითი, საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობის განხორციელება, გამოყენებითი მიმართულების სამუშაოების წარმოება სახელმწიფო ან კერძო სექტორის დაკვეთით, მათ შორის:

ა) ჯანდაცვითი სადიაგნოსტიკო–საექსპერტო საქმიანობის განხორციელება;

ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესით სამეცნიერო-კვლევით, ჯანდაცვით, საგანმანათლებლო და სხვა საქმიანობასთან დაკავშირებული დამხმარე ეკონომიკური საქმიანობის, მათ შორის საპროექტო და ტექნოლოგიური საქმიანობის განხორციელება.

2. ინსტიტუტი უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვროს საინსტიტუტო პრიორიტეტები და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა, ჩაატაროს სამეცნიერო კონფერენციები და სამეცნიერო ხასიათის სხვა ტიპის ღონისძიებები, დაამყაროს სამეცნიერო კონტაქტები ადგილობრივ და უცხოეთის წამყვან სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო სამეცნიერო კვლევებში (ერთობლივი სამეცნიერო პროგრამები, საერთაშორისო ფორუმები, სამეცნიერო გრანტები, გაცვლითი სამეცნიერო პროგრამები და სხვა თემატური აქტივობები).

3. ინსტიტუტი კანონმდებლობით დადგენილი წესით, უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, ასევე:

ა) მონაწილეობს სტუდენტთა საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომების შესრულებაში;

ბ) უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული წესით მონაწილეობს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებასა და განხორციელებაში;

გ) უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართვას სამეცნიერო საგრანტო პროექტებში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში.

მუხლი 3. ინსტიტუტის სტრუქტურა

1. ინსტიტუტის სტრუქტურა შედგება ინსტიტუტის მართვის ორგანოების (დირექტორი და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო) და შემდეგი სამეცნიერო და არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებისაგან:

ა) სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებია:

ა.ა) კლინიკური და ექსპერიმენტული პათოლოგიის დეპარტამენტი;

ა.ბ) კლინიკური ანატომიისა და ექსპერიმენტული მოდელირების დეპარტამენტი;

ა.გ) გერონტოლოგიისა და პალიატიური მედიცინის დეპარტამენტი;

ბ) არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებია:

ბ.ა) ბიბლიოთეკა;

ბ.ბ) ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება.

მუხლი 4. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო

1. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ქმნიან ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლები.
2. სამეცნიერო საბჭო:

ა) განიხილავს და წყვეტს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო მართვისა და განვითარების საკითხებს. შეიმუშავებს ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამეცნიერო კვლევების მიმდინარე გეგმებს, რასაც ამტკიცებს ინსტიტუტის დირექტორი;

ბ) ისმენს და ამტკიცებს ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა წლიურ ანგარიშებს და მათ საფუძველზე უზრუნველყოფს ინსტიტუტის წლიური სამეცნიერო ანგარიშის მომზადებას;

გ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს წარუდგენს ინსტიტუტის წლიურ სამეცნიერო ანგარიშს;

დ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მოთხოვნის შესაბამისად, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე ახდენს წლიური სამეცნიერო ანგარიშის ამსახველ პრეზენტაციას;

ე) დირექტორთან შეთანხმებით შეიმუშავებს, ინსტიტუტის სტრუქტურის ცვლილებების პროექტს და განსახილველად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს, უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესით დამტკიცების უზრუნველსაყოფად;

ვ) თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს;

ზ) სამეცნიერო საბჭო უფლებამოსილია მიიღოს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.

თ) უფლებამოსილია ინსტიტუტის საპატიო წევრებად აირჩიოს საქართველოში თუ საზღვარგარეთ მოღვაწე გამოჩენილი მეცნიერები;

ი) შეარჩევს ინსტიტუტის დირექტორს და წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად;

კ) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში მონაწილეობს კვლევითი კომპონენტის შესრულების მონიტორინგის პროცესში;

ლ) ასრულებს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით, ასევე წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.

3. სამეცნიერო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.
4. სამეცნიერო საბჭოს სხდომა იმართება 2 თვეში ერთხელ მაინც დირექტორის, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ან სამეცნიერო საბჭოს წევრთა არანაკლებ ერთი მესამედის ინიციატივით. სამეცნიერო საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლებამოსილება გააჩნიათ ამავე სუბიექტებს, დადგენილი წესით.
5. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო მონაწილეობს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის, უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობებისა და სამეცნიერო პერსონალის ატესტაციის წესის შემუშავებაში.
6. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდებისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად, შეიმუშავებს ინსტიტუტის დირექტორის ღია კონკურსის საფუძველზე შერჩევის წესს.

მუხლი 5. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და მისი უფლებამოსილებები

1. სამეცნიერო საბჭოს საქმიანობას წარმართავს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.
2. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს ირჩევს სამეცნიერო საბჭო, კენჭისყრის საფუძველზე, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, 5 წლის ვადით. საკითხს, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ასარჩევად კენჭისყრა ჩატარდეს ღია თუ ფარული წესით წყვეტს სამეცნიერო საბჭო ღია კენჭისყრის საფუძველზე. იმ შემთხვევაში თუ სამეცნიერო საბჭომ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღო გადაწყვეტილება სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ფარული კენჭისყრით არჩევის შესახებ, სამეცნიერო საბჭო ადგენს ფარული კენჭისყრის ჩატარების პროცედურას.
3. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე:
ა) უძღვება სამეცნიერო საბჭოს სხდომებს;
ბ) ხელს აწერს სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმებს;
გ) ხელმძღვანელობს ინსტიტუტის წლიური სამეცნიერო ანგარიშის მომზადებას;
დ) წარმოადგენს საბჭოს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მესამე პირებთან ურთიერთობაში.

მუხლი 6. ინსტიტუტის დირექტორი

1. ინსტიტუტის სამეცნიერო-საორგანიზაციო და ადმინისტრაციულ საქმიანობას ხელმძღვანელობს ინსტიტუტის დირექტორი.

2. ინსტიტუტის დირექტორს შეარჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო 5 წლის ვადით და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს. კანდიდატურის დამტკიცებაზე აკადემიური საბჭოს დასაბუთებული უარის შემთხვევაში ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო წარადგენს იმავე კანდიდატს ან შეარჩევს სხვა კანდიდატურას. კანდიდატურის დამტკიცებაზე აკადემიური საბჭოს განმეორებითი უარის შემთხვევაში ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ნიშნავს რექტორი. ასეთ შემთხვევაში ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო ვალდებულია არაუგვიანეს 6 თვისა შეარჩიოს ინსტიტუტის დირექტორის ახალი კანდიდატურა. ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ინიშნება რექტორის მიერ იმ პერიოდამდე, სანამ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული არ იქნება ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურა.

3. ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელიც აკმაყოფილებს ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს და რომლის ასაკი 65 წელს არ აღემატება. თუ პირს არ უკავია ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა, ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დაკავების შემთხვევაში იგი ითვლება აგრეთვე მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩეულად. 65 წლის ასაკის მიღწევა არ იწვევს დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტას.

4. დირექტორისა და დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე 65 წელს მიღწეული პირის დანიშვნისა და არჩევის, ასევე გათავისუფლების საკითხს წყვეტს უშუალოდ ამ თანამდებობაზე არჩევის/დანიშვნის გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე სუბიექტი.

5. ერთმა და იმავე პირმა ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა ზედიზედ შეიძლება მხოლოდ ორჯერ დაიკავოს.

6. ინსტიტუტის დირექტორი, როგორც მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, არის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

7. ინსტიტუტის დირექტორი:

ა) უზრუნველყოფს ინსტიტუტში სამეცნიერო კვლევების ეფექტურად წარმართვას;

ბ) უნივერსიტეტის შესაბამის მართვის ორგანოებს შესათანხმებლად წარუდგენს ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამეცნიერო კვლევების მიმდინარე გეგმებს;

გ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში პასუხისმგებელია უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

დ) შეიმუშავებს და შესაბამის მართვის ორგანოებს განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს ინსტიტუტის ყოველწლიური ბიუჯეტისა და საშტატო ნუსხის პროექტს;

ე) პასუხისმგებელია ინსტიტუტის დაფინანსების მიზნობრივ გამოყენებაზე;

ვ) უზრუნველყოფს სამეცნიერო ანგარიშის მოსამზადებლად საორგანიზაციო ღონისძიებების გატარებას;

ზ) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, არაუგვიანეს ყოველი კალენდარული წლის ბოლოს, წარუდგენს ინფორმაციას მის მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ;

თ) უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნივერსიტეტის შესაბამისი მართვის ორგანოების წინაშე დასვას თანამშრომელთა წახალისების ან მათ მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების საკითხი;

ი) საკუთარი უფლებამოსილების ვადით უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ინსტიტუტის პერსონალიდან დასანიშნად ან თანამდებობიდან გათავისუფლების მიზნით წარუდგენს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის/მოადგილეების და სწავლული მდივნის კანდიდატურებს;

კ) უნივერსიტეტის რექტორის ან/და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში, წარმოადგენს ინსტიტუტს მესამე პირთან ურთიერთობაში, დებს ხელშეკრულებებს უნივერსიტეტისგან შესაბამისი რწმუნების არსებობის შემთხვევაში;

ლ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს - ბრძანებებს;

მ) ახორციელებს წინამდებარე დებულებითა და უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

8. დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, დირექტორის მოვალეობას, მისივე დავალებით ასრულებს დირექტორის მოადგილე, რაც უნდა ეცნობოს უნივერსიტეტის რექტორს.

9. დირექტორისა და დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის არყოფნის (მივლინება, შვებულება, საავადმყოფო ფურცელზე ყოფნა და სხვ.) შემთხვევაში, ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის დროებით შესრულება შესაძლებელია დაეკისროს ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს დირექტორის/დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინებით, რექტორის ბრძანებით.

10. დირექტორის/დირექტორის მოადგილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) სასამართლოს მიერ მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლა;

გ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

დ) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დასაბუთებული წარდგინება;

ე) გარდაცვალება;

ვ) უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 7. ინსტიტუტის სამეცნიერო და არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

1. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ღია კონკურსის საფუძველზე ირჩევს სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს დირექტორი.
2. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელად შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს. თუ პირს არ უკავია დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში იგი ითვლება აგრეთვე სათანადო სამეცნიერო თანამდებობაზე არჩეულად.
3. ინსტიტუტის არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელს ინსტიტუტის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
4. ინსტიტუტის სამეცნიერო/არასამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულს მართავს ხელმძღვანელი, რომელიც:
ა) შეიმუშავებს სტრუქტურულ ერთეულში განსახორციელებელი საქმიანობის სამუშაო გეგმებს და წარუდგენს სამეცნიერო საბჭოს დასამტკიცებლად;
ბ) შეიმუშავებს სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების პროექტს და წარუდგენს დირექტორს დასამტკიცებლად;
გ) სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციის ფარგლებში, ორგანიზებას უწევს სამეცნიერო კვლევითი საგრანტო პროექტების შემუშავებას;
დ) განიხილავს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს სტრუქტურული ერთეულის სამეცნიერო თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესისა და დამატებითი საკვალიფიკაციო პირობების შესახებ;
ე) დირექტორის წინაშე აყენებს სტრუქტურულ ერთეულში თანამდებობის მქონე პირის დისციპლინური პასუხისმგებლობის, თანამდებობიდან გათავისუფლების ან წახალისების საკითხს;
ვ) შეიმუშავებს და დირექტორს წარუდგენს სტრუქტურული ერთეულის დაფინანსების პროექტს;
ზ) პასუხისმგებელია სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე.

მუხლი 8. ინსტიტუტის პერსონალი

1. ინსტიტუტის პერსონალი შედგება ადმინისტრაციული, სამეცნიერო და სხვა პერსონალისაგან.

2. ადმინისტრაციულ პერსონალს მიეკუთვნება დირექტორი და დირექტორის მოადგილე.
3. სამეცნიერო პერსონალს მიეკუთვნება მეცნიერი და პოსტდოქტორანტი.
4. მეცნიერები არიან შემდეგი სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირები:
ა) მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
ბ) უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;
გ) მეცნიერი თანამშრომელი.
5. ინსტიტუტის სხვა პერსონალს მიეკუთვნებიან სპეციალისტები, ლაბორანტები, ინჟინრები და სხვა საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობები.
6. ინსტიტუტის დირექტორს/მოადგილეს არ შეიძლება ეკავოს ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა.
7. ინსტიტუტის პერსონალის უფლება-მოვალეობები, ასევე მათი შრომითი ურთიერთობის პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 9. ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის უფლება-მოვალეობები

1. სამეცნიერო პერსონალს უფლება აქვს:
ა) დამოუკიდებლად განახორციელოს სამეცნიერო კვლევა და შეუზღუდავად გამოაქვეყნოს კვლევის შედეგები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი შეზღუდვა ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული ან ისინი შეიცავენ სახელმწიფო საიდუმლოებას;
ბ) დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, კვლევის მეთოდები და საშუალებები;
გ) მონაწილეობა მიიღოს საგრანტო დაფინანსების მოპოვების მიზნით გამოცხადებულ კონკურსებში, მიიღოს დაფინანსება, ისარგებლოს ინდივიდუალური საგრანტო დაფინანსებით, აგრეთვე, მიიღოს ანაზღაურება კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შედეგად ინსტიტუტის მიერ მიღებული შემოსავლებიდან;
დ) ისარგებლოს უნივერსიტეტის/ინსტიტუტის ბიბლიოთეკითა და სხვა ქონებით;
ე) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.
2. სამეცნიერო პერსონალი ვალდებულია:
ა) დაიცვას ინსტიტუტის დებულებითა და უნივერსიტეტის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები;
ბ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
გ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის/ინსტიტუტის ქონებას;
დ) სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ყოველწლიურად წარუდგინოს შესრულებული სამუშაოს ანგარიში;

ე) შეასრულოს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებები;
ვ) წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისას გაითვალისწინოს ინსტიტუტის ინტერესები და რეგულარულად მიიღოს მონაწილეობა მიმდინარე ღონისძიებებში;
ზ) გაუფრთხილდეს ინსტიტუტის რეპუტაციას, ხელი შეუწყოს მისი მიზნების განხორციელებას.
3. სამეცნიერო პერსონალის შრომითი ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია მოქმედი კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული შემთხვევები.

მუხლი 10. სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესი

1. სამეცნიერო თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის საფუძველზე, რომელიც უნდა ჩატარდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების შესაბამისად.
2. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება, განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები და მნიშვნელოვანი პუბლიკაციები. პირი მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას უვადოდ იკავებს.
3. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პირი უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას იკავებს 7 წლის ვადით.
4. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პირი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას იკავებს 4 წლის ვადით.
5. პოსტდოქტორანტად აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი.
6. მთავარი მეცნიერი თანამშრომელი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება ატესტაციის გავლას უნივერსიტეტის წესდებითა და ატესტაციის ჩატარების ერთიანი წესისა და პირობებით განსაზღვრული წესით.

მუხლი 11. ინსტიტუტის ქონება და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა

1. ინსტიტუტი სარგებლობს უნივერსიტეტის მიერ ინსტიტუტისათვის გამოყოფილი სამეცნიერო და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობისთვის

აუცილებელი უძრავ-მოძრავი ქონებით და პასუხისმგებელია ამ ქონების მოვლა-პატრონობასა და ეფექტურად (მიზნობრივად) გამოყენებაზე.

2. ინსტიტუტის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილი თანხები;

ბ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;

გ) გრანტებით მიღებული შემოსავალი;

დ) შემოწირულობები;

ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული დაფინანსების სხვა წყარო.

3. ინსტიტუტის საქმიანობით მოზიდული სახსრები გამოიყენება უნივერსიტეტისა და ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის შემდგომი განვითარებისათვის ან/და პერსონალის შრომის ანაზღაურებისათვის.

მუხლი 12. ინსტიტუტის ლიკვიდაცია

1. ინსტიტუტის ლიკვიდაციის საფუძველი შეიძლება გახდეს:

ა) ინსტიტუტის დებულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა;

ბ) უნივერსიტეტის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

მუხლი 13. გარდამავალი დებულებები

1. წინამდებარე დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტი ძალაში შევიდეს ინსტიტუტის პერსონალის სამსახურში მისაღებად კანონმდებლობით დადგენილი წესით კონკურსის გამოცხადების მიზნებისათვის უნივერსიტეტის საშტატო განრიგში ინსტიტუტის საშტატო ნუსხის ცვლილების ძალაში შესვლას დროისათვის.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესით წინამდებარე დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის ძალაში შესვლამდე ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულები განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) კლინიკური და ექსპერიმენტული პათოლოგიის დეპარტამენტი:

ა.ა) ციტოლოგიის ლაბორატორია;

ა.ბ) პათოლოგიის ლაბორატორია;

ბ) ტრანსლაციური ბიო-მედიცინის დეპარტამენტი:

ბ.ა) მოლეკულური ბიოლოგიის და გენეტიკის ლაბორატორია;

ბ.ბ) ანდროლოგიის ლაბორატორია;

გ) კლინიკური ანატომიის დეპარტამენტი;

დ) გერონტოლოგიისა და პალიატიური მედიცინის დეპარტამენტი.

მუხლი 14. დასკვნითი დებულებები, ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.
2. წინამდებარე დებულება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დადგენილება № 148/2016
19 დეკემბერი, 2016

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ[2]“ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ[2]“ ქვეპუნქტისა და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის 09.12.2016, №44279/02 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დებულება (დანართი №1).
2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი შარვაშიძე
რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

დანართი №1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დებულება

პ რ ე ა მ ბ უ ლ ა

1933 წლის 8 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ნ. მუსხელიშვილის დირექტორობით დაარსდა მათემატიკის, ფიზიკის და მექანიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. 1935 წლის 1 ოქტომბერს ნ. მუსხელიშვილის და მისი კოლეგების ვ. კუპრაძისა და ი. ვეკუას ინიციატივით ზემოხსენებული ინსტიტუტის მათემატიკისა და მექანიკის განყოფილება გარდაიქმნა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის დაქვემდებარებაში მყოფ მათემატიკის ინსტიტუტად. 1941 წლის თებერვალში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსების შემდეგ ინსტიტუტი მის შემადგენლობაში შევიდა. 1944 წელს ინსტიტუტს ანდრია რაზმაძის სახელი მიენიჭა.

საქართველოს მთავრობის 2006 წლის 16 მარტის №58 დადგენილებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 10 სექტემბრის №278 დადგენილებით სსიპ - ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი (შემდგომში - ,,ინსტიტუტი“) არის უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეული, რომელიც ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, მონაწილეობს სასწავლო პროცესში და რომელსაც ჰყავს მართვის ორგანოები.
2. ინსტიტუტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.
3. ინსტიტუტს აქვს ბლანკი და ბეჭედი, საბანკო ქვეანგარიში (ქვეანგარიშები).
4. ინსტიტუტს შეიძლება ჰქონდეს პერიოდული გამოცემები (ჟურნალი, გაზეთი და სხვ.).

მუხლი 2. ინსტიტუტის მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი

1. ინსტიტუტის მიზანია უნივერსიტეტის ფარგლებში ხელი შეუწყოს სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო პროცესების ეფექტურად წარმართვას, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვასა და სამეცნიერო კადრების მომზადებას. ინსტიტუტის დანიშნულებაა მათემატიკაში, მექანიკასა და თეორიულ ფიზიკაში ფუნდამენტური კვლევებისა და საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობის განხორციელება და ამ სფეროში საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარება.
2. ინსტიტუტი უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვროს საინსტიტუტო პრიორიტეტები და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა, ჩაატაროს სამეცნიერო კონფერენციები და სამეცნიერო ხასიათის სხვა ტიპის ღონისძიებები, დაამყაროს სამეცნიერო კონტაქტები ადგილობრივ და უცხოეთის წამყვან სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო სამეცნიერო კვლევებში (ერთობლივი სამეცნიერო პროგრამები, საერთაშორისო ფორუმები, სამეცნიერო გრანტები, გაცვლითი სამეცნიერო პროგრამები და სხვა სამეცნიერო სახის საქმიანობა).
3. ინსტიტუტი კანონმდებლობით დადგენილი წესით, უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, ასევე:
ა) მონაწილეობს სტუდენტთა საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომების შესრულებაში;
ბ) უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული წესით მონაწილეობს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებასა და განხორციელებაში;
გ) უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართვას სამეცნიერო საგრანტო პროექტებში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში.

მუხლი 3. ინსტიტუტის სტრუქტურა

1. ინსტიტუტის სტრუქტურა შედგება ინსტიტუტის მართვის ორგანოების (დირექტორი და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო) და შემდეგი სამეცნიერო და არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებისაგან:
ა) სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულები:
ა.ა) ალგებრის განყოფილება;
ა.ბ) მათემატიკური ლოგიკის განყოფილება;
ა.გ) გეომეტრიისა და ტოპოლოგიის განყოფილება;
ა.დ) მათემატიკური ანალიზის განყოფილება;
ა.ე) დიფერენციალური განტოლებების განყოფილება;
ა.ვ) მათემატიკური ფიზიკის განყოფილება;

ა.ზ) დრეკადობის მათემატიკური თეორიის განყოფილება;

ა.თ) თეორიული ფიზიკის განყოფილება;

ა.ი) ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის განყოფილება.

ბ) არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეული:

ბ.ა) სამეცნიერო ინფორმაციის სექტორი.

მუხლი 4. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო

1. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო შედგება ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლებისაგან.

2. სამეცნიერო საბჭო:

ა) განიხილავს და წყვეტს ინსტიტუტის სამეცნიერო მართვისა და განვითარების საკითხებს. შეიმუშავებს ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამეცნიერო კვლევების მიმდინარე გეგმებს, რასაც ამტკიცებს ინსტიტუტის დირექტორი;

ბ) ისმენს და ამტკიცებს ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა წლიურ ანგარიშებს და მათ საფუძველზე უზრუნველყოფს ინსტიტუტის წლიური სამეცნიერო ანგარიშის მომზადებას;

გ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს წარუდგენს ინსტიტუტის წლიურ სამეცნიერო ანგარიშს;

დ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მოთხოვნის შესაბამისად, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების წინაშე ახდენს წლიური სამეცნიერო ანგარიშის ამსახველ პრეზენტაციას;

ე) დირექტორთან შეთანხმებით შეიმუშავებს ინსტიტუტის სტრუქტურის ცვლილებების პროექტს და განსახილველად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს, უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესით დამტკიცების უზრუნველსაყოფად;

ვ) თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს;

ზ) უფლებამოსილია მიიღოს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტმა;

თ) შეარჩევს ინსტიტუტის დირექტორს და წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად;

ი) ინსტიტუტის დირექტორის წარდგინებით ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალიდან 5 წლის ვადით ირჩევს ინსტიტუტის სწავლულ მდივანს;

კ) უფლებამოსილია ინსტიტუტის საპატიო წევრებად აირჩიოს საქართველოში თუ საზღვარგარეთ მოღვაწე გამოჩენილი მეცნიერები;

ლ) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში მონაწილეობს კვლევითი და სასწავლო კომპონენტის შესრულების მონიტორინგის პროცესში;
მ) ასრულებს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით, ასევე წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.
3. სამეცნიერო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.
4. სამეცნიერო საბჭოს სხდომა იმართება 2 თვეში ერთხელ მაინც დირექტორის, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ან სამეცნიერო საბჭოს წევრთა არანაკლებ ერთი მესამედის ინიციატივით. სამეცნიერო საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლებამოსილება გააჩნიათ ამავე სუბიექტებს, დადგენილი წესით. სამეცნიერო საბჭოს სხდომებში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობს ინსტიტუტის სწავლული მდივანი.
5. სამეცნიერო საბჭო მონაწილეობს ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის, ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობებისა და სამეცნიერო პერსონალის ატესტაციის წესის შემუშავებაში.
6. სამეცნიერო საბჭო მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდებისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად, შეიმუშავებს ინსტიტუტის დირექტორის ღია კონკურსის საფუძველზე შერჩევის წესს.

მუხლი 5. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და მისი უფლებამოსილებები

1. სამეცნიერო საბჭოს საქმიანობას წარმართავს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.
2. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს ირჩევს სამეცნიერო საბჭო, კენჭისყრის საფუძველზე, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, 5 წლის ვადით. საკითხს, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ასარჩევად კენჭისყრა ჩატარდეს ღია თუ ფარული წესით, წყვეტს სამეცნიერო საბჭო ღია კენჭისყრის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ სამეცნიერო საბჭომ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღო გადაწყვეტილება სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ფარული კენჭისყრით არჩევის შესახებ, სამეცნიერო საბჭო ადგენს ფარული კენჭისყრის ჩატარების პროცედურას.
3. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე:
ა) უძღვება სამეცნიერო საბჭოს სხდომებს;
ბ) ხელს აწერს სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმებს;
გ) ხელმძღვანელობს ინსტიტუტის წლიური სამეცნიერო ანგარიშის მომზადებას;
დ) წარმოადგენს საბჭოს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მესამე პირებთან ურთიერთობაში.

მუხლი 6. ინსტიტუტის დირექტორი

1. ინსტიტუტის სამეცნიერო-საორგანიზაციო და ადმინისტრაციულ საქმიანობას ხელმძღვანელობს ინსტიტუტის დირექტორი.
2. ინსტიტუტის დირექტორს შეარჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო 5 წლის ვადით და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს. კანდიდატურის დამტკიცებაზე აკადემიური საბჭოს დასაბუთებული უარის შემთხვევაში ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო წარადგენს იმავე კანდიდატს ან შეარჩევს სხვა კანდიდატურას. კანდიდატურის დამტკიცებაზე აკადემიური საბჭოს განმეორებითი უარის შემთხვევაში ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ნიშნავს რექტორი. ასეთ შემთხვევაში ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო ვალდებულია არაუგვიანეს 6 თვისა შეარჩიოს ინსტიტუტის დირექტორის ახალი კანდიდატურა. ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ინიშნება რექტორის მიერ იმ პერიოდამდე, სანამ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული არ იქნება ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურა.
3. ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელიც აკმაყოფილებს ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს და რომლის ასაკი 65 წელს არ აღემატება. თუ პირს არ უკავია ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა, ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დაკავების შემთხვევაში იგი ითვლება აგრეთვე მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩეულად. 65 წლის ასაკის მიღწევა არ იწვევს დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტას.
4. დირექტორისა და დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე 65 წელს მიღწეული პირის დანიშვნისა და არჩევის, ასევე გათავისუფლების საკითხს წყვეტს უშუალოდ ამ თანამდებობაზე არჩევის/დანიშვნის გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე სუბიექტი.
5. ერთმა და იმავე პირმა ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა ზედიზედ შეიძლება მხოლოდ ორჯერ დაიკავოს.
6. ინსტიტუტის დირექტორი, როგორც მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, არის სამეცნიერო საბჭოს წევრი.
7. ინსტიტუტის დირექტორი:

ა) უზრუნველყოფს ინსტიტუტში სამეცნიერო კვლევების ეფექტურად წარმართვას;

ბ) უნივერსიტეტის შესაბამის მართვის ორგანოებს შესათანხმებლად წარუდგენს ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამეცნიერო კვლევების მიმდინარე გეგმებს;

გ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში პასუხისმგებელია უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

დ) შეიმუშავებს და შესაბამის მართვის ორგანოებს განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს ინსტიტუტის წლიური ბიუჯეტისა და საშტატო ნუსხის პროექტს;

ე) პასუხისმგებელია ინსტიტუტის დაფინანსების მიზნობრივ გამოყენებაზე;

ვ) უზრუნველყოფს სამეცნიერო ანგარიშის მოსამზადებლად საორგანიზაციო ღონისძიებების გატარებას;
ზ) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს არაუგვიანეს ყოველი კალენდარული წლის ბოლოს წარუდგენს ინფორმაციას მის მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ;
თ) უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნივერსიტეტის შესაბამისი მართვის ორგანოების წინაშე დასვას თანამშრომელთა წახალისების ან მათ მიმართ დისციპლინული პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების საკითხი;
ი) საკუთარი უფლებამოსილების ვადით უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს დასანიშნად წარუდგენს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილისა და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ არჩეული სწავლული მდივნის კანდიდატურებს;
კ) უნივერსიტეტის რექტორის ან/და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში, წარმოადგენს ინსტიტუტს მესამე პირთან ურთიერთობაში, დებს ხელშეკრულებებს უნივერსიტეტისგან შესაბამისი რწმუნების არსებობის შემთხვევაში;
ლ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს - ბრძანებებს;
მ) ახორციელებს წინამდებარე დებულებითა და უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.
8. დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, დირექტორის მოვალეობას, მისივე დავალებით, ასრულებს დირექტორის მოადგილე, რაც უნდა ეცნობოს უნივერსიტეტის რექტორს.
9. დირექტორისა და დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის არყოფნის (მივლინება, შვებულება, საავადმყოფო ფურცელზე ყოფნა და სხვ.) შემთხვევაში, ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის დროებით შესრულება შესაძლებელია დაეკისროს ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს დირექტორის/დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინებით, რექტორის ბრძანებით.
10. დირექტორის/დირექტორის მოადგილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია:
ა) პირადი განცხადება;
ბ) სასამართლოს მიერ მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლა;
გ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
დ) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დასაბუთებული წარდგინება;
ე) გარდაცვალება;
ვ) უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 7. ინსტიტუტის სამეცნიერო და არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

1. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ღია კონკურსის საფუძველზე ირჩევს სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს დირექტორი.
2. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელად შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ინსტიტუტის მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს. თუ პირს არ უკავია ინსტიტუტის მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა, ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში იგი ითვლება აგრეთვე სათანადო სამეცნიერო თანამდებობაზე არჩეულად.
3. ინსტიტუტის არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ინსტიტუტის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
4. ინსტიტუტის სამეცნიერო/არასამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულს მართავს ხელმძღვანელი, რომელიც:

ა) შეიმუშავებს სტრუქტურულ ერთეულში განსახორციელებელი საქმიანობის სამუშაო გეგმებს და წარუდგენს სამეცნიერო საბჭოს დასამტკიცებლად;

ბ) შეიმუშავებს სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების პროექტს და წარუდგენს დირექტორს დასამტკიცებლად;

გ) სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციის ფარგლებში ორგანიზებას უწევს სამეცნიერო-კვლევითი საგრანტო პროექტების შემუშავებას;

დ) შეიმუშავებს და განსახილველად წარუდგენს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაციებს სტრუქტურული ერთეულის სამეცნიერო თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესისა და დამატებითი საკვალიფიკაციო პირობების შესახებ;

ე) დირექტორის წინაშე აყენებს სტრუქტურულ ერთეულში თანამდებობის მქონე პირის დისციპლინური პასუხისმგებლობის, თანამდებობიდან გათავისუფლების ან წახალისების საკითხს;

ვ) შეიმუშავებს და დირექტორს წარუდგენს სტრუქტურული ერთეულის დაფინანსების პროექტს;

ზ) პასუხისმგებელია სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე.

მუხლი 8. ინსტიტუტის პერსონალი

1. ინსტიტუტის პერსონალი შედგება ადმინისტრაციული, სამეცნიერო და სხვა პერსონალისაგან.

2. ადმინისტრაციულ პერსონალს მიეკუთვნება დირექტორი და დირექტორის მოადგილე.
3. სამეცნიერო პერსონალს მიეკუთვნება მეცნიერი და პოსტდოქტორანტი.
4. მეცნიერები არიან შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების მქონე პირები:
ა) მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
ბ) უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;
გ) მეცნიერი თანამშრომელი.
5. ინსტიტუტის სხვა პერსონალს მიეკუთვნებიან სპეციალისტები, ლაბორანტები, ინჟინრები და სხვა, საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობები.
6. ინსტიტუტის დირექტორს/მოადგილეს არ შეიძლება ეკავოს ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა.
7. ინსტიტუტის პერსონალის უფლება-მოვალეობები, ასევე მათი შრომითი ურთიერთობის პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 9. ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის უფლება-მოვალეობები

1. სამეცნიერო პერსონალს უფლება აქვს:
ა) დამოუკიდებლად განახორციელოს სამეცნიერო კვლევა და შეუზღუდავად გამოაქვეყნოს კვლევის შედეგები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი შეზღუდვა ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული ან ისინი შეიცავენ სახელმწიფო საიდუმლოებას;
ბ) დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, კვლევის მეთოდები და საშუალებები;
გ) მონაწილეობა მიიღოს საგრანტო დაფინანსების მოპოვების მიზნით გამოცხადებულ კონკურსებში, მიიღოს დაფინანსება, ისარგებლოს ინდივიდუალური საგრანტო დაფინანსებით, აგრეთვე, მიიღოს ანაზღაურება კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შედეგად ინსტიტუტის მიერ მიღებული შემოსავლებიდან;
დ) ისარგებლოს უნივერსიტეტის/ინსტიტუტის ბიბლიოთეკითა და სხვა ქონებით;
ე) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.
2. სამეცნიერო პერსონალი ვალდებულია:
ა) დაიცვას ინსტიტუტის დებულებითა და უნივერსიტეტის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები;
ბ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
გ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის/ინსტიტუტის ქონებას;

დ) სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ყოველწლიურად წარუდგინოს შესრულებული სამუშაოს ანგარიში;

ე) შეასრულოს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებები;

ვ) წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისას გაითვალისწინოს ინსტიტუტის ინტერესები და რეგულარულად მიიღოს მონაწილეობა მიმდინარე ღონისძიებებში;

ზ) გაუფრთხილდეს ინსტიტუტის რეპუტაციას, ხელი შეუწყოს მისი მიზნების განხორციელებას.

3. სამეცნიერო პერსონალის შრომითი ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია მოქმედი კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული შემთხვევები.

მუხლი 10. სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესი

1. სამეცნიერო თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის საფუძველზე, რომელიც უნდა ჩატარდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების შესაბამისად.

2. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება, განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები და მნიშვნელოვანი პუბლიკაციები. პირი მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას უვადოდ იკავებს.

3. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პირი უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას იკავებს 7 წლის ვადით.

4. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პირი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას იკავებს 4 წლის ვადით.

5. პოსტდოქტორანტად აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი.

6. მთავარი მეცნიერი თანამშრომელი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება ატესტაციის გავლას უნივერსიტეტის წესდებითა და ატესტაციის ჩატარების ერთიანი წესითა და პირობებით განსაზღვრული წესით.

მუხლი 11. ინსტიტუტის ქონება და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა

1. ინსტიტუტი სარგებლობს უნივერსიტეტის მიერ ინსტიტუტისათვის გამოყოფილი სამეცნიერო და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობისთვის აუცილებელი უძრავ-მოძრავი ქონებით და პასუხისმგებელია ამ ქონების მოვლა-პატრონობასა და ეფექტურად (მიზნობრივად) გამოყენებაზე.
2. ინსტიტუტის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:
ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილი თანხები;
ბ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;
გ) გრანტებით მიღებული შემოსავალი;
დ) შემოწირულობები;
ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული დაფინანსების სხვა წყარო.
3. ინსტიტუტის საქმიანობით მოზიდული სახსრები გამოიყენება უნივერსიტეტისა და ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის შემდგომი განვითარებისთვის ან/და პერსონალის შრომის ანაზღაურებისათვის.

მუხლი 12. ინსტიტუტის ლიკვიდაცია

1. ინსტიტუტის ლიკვიდაციის საფუძველი შეიძლება გახდეს:
ა) ინსტიტუტის დებულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა;
ბ) უნივერსიტეტის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

მუხლი 13. დასკვნითი დებულებები, ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.
2. წინამდებარე დებულება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დადგენილება № 149/2016
19 დეკემბერი, 2016

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ^2“ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ^2“ ქვეპუნქტისა და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის 08.12.2016, №44208/02 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დებულება (დანართი №1).
2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში

(მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი შარვაშიძე
რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

დანართი №1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დებულება

პ რ ე ა მ ბ უ ლ ა

პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი არის ქიმიის დარგში საქართველოს უძველესი სამეცნიერო–კვლევითი ცენტრი, დაფუძნებული 1929 წლის 1 ოქტომბერს. ინსტიტუტის პირველი დირექტორის, აკადემიკოს ლევ პისარჟევსკის წინადადებით ინსტიტუტს ეწოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორის, გამოჩენილი მეცნიერის, ქიმიკოსის პეტრე მელიქიშვილის სახელი.

საქართველოში მეცნიერებათა აკადემიის დაარსებამდე ინსტიტუტი იყო დამოუკიდებელი სამეცნიერო–კვლევითი დაწესებულება, შემდგომი 65 წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში. პეტრე მელიქიშვილის ქიმიის ინსტიტუტის განვითარების პროცესში მის ბაზაზე ჩამოყალიბდა რამოდენიმე წამყვანი ინსტიტუტი.

2006 წელს საქართველოს მთავრობის №58 დადგენილების საფუძველზე ინსტიტუტი დაფუძნდა როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №185-ის საფუძველზე 2010 წელს ინსტიტუტი რეორგანიზებულ იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულად.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი (შემდგომში -,,ინსტიტუტი“) არის უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეული, რომელიც ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და რომელსაც ჰყავს მართვის ორგანოები.
2. ინსტიტუტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.
3. ინსტიტუტს აქვს ბლანკი და ბეჭედი, საბანკო ქვეანგარიში (ქვეანგარიშები).

4. ინსტიტუტს შეიძლება ჰქონდეს პერიოდული გამოცემა (ჟურნალი, გაზეთი და სხვ.).

მუხლი 2. ინსტიტუტის მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი

1. ინსტიტუტის მიზანია უნივერსიტეტის ფარგლებში ხელი შეუწყოს სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო პროცესების ეფექტურად წარმართვას, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვასა და სამეცნიერო კადრების მომზადებას. ინსტიტუტის დანიშნულებაა ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო-კვლევითი, საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობის განხორციელება ქიმიისა და ქიმიურ ტექნოლოგიებში.
2. ინსტიტუტი უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვროს საინსტიტუტო პრიორიტეტები და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა, ჩაატაროს სამეცნიერო კონფერენციები და სამეცნიერო ხასიათის სხვა ტიპის ღონისძიებები, დაამყაროს სამეცნიერო კონტაქტები ადგილობრივ და უცხოეთის წამყვან სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო სამეცნიერო კვლევებში (ერთობლივი სამეცნიერო პროგრამები, საერთაშორისო ფორუმები, სამეცნიერო გრანტები, გაცვლითი სამეცნიერო პროგრამები და სხვა თემატური აქტივობები).
3. ინსტიტუტი კანონმდებლობით დადგენილი წესით, უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, ასევე:
ა) მონაწილეობს სტუდენტთა საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომების შესრულებაში;
ბ) უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული წესით მონაწილეობს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებასა და განხორციელებაში;
გ) უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართვას სამეცნიერო საგრანტო პროექტებში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში.

მუხლი 3. ინსტიტუტის სტრუქტურა

1. ინსტიტუტის სტრუქტურა შედგება ინსტიტუტის მართვის ორგანოების (დირექტორი და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო) და შემდეგი სამეცნიერო და არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებისაგან:
ა) სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებია:
ა.ა) ფიზიკურ-ქიმიური პროცესების კვლევის ლაბორატორია;
ა.ბ) ორგანულ ნაერთთა ქიმიის ლაბორატორია;
ა.გ) მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმიის ლაბორატორია;
ა.დ) ქიმიური ეკოლოგიის ლაბორატორია;
ა.ე) ნავთობის ქიმიის ლაბორატორია;

ა.ვ) აგრარული ქიმიის ლაბორატორია.
ბ) არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეული:
ბ.ა) საორგანიზაციო და საინჟინრო-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება.

მუხლი 4. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო

1. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს, ქმნიან ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლები.
2. სამეცნიერო საბჭო:
ა) განიხილავს და წყვეტს ინსტიტუტის სამეცნიერო მართვისა და განვითარების საკითხებს. შეიმუშავებს ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამეცნიერო კვლევების მიმდინარე გეგმებს, რასაც ამტკიცებს ინსტიტუტის დირექტორი;
ბ) ისმენს და ამტკიცებს ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა წლიურ ანგარიშებს და მათ საფუძველზე უზრუნველყოფს ინსტიტუტის წლიური სამეცნიერო ანგარიშის მომზადებას;
გ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს წარუდგენს ინსტიტუტის წლიურ სამეცნიერო ანგარიშს;
დ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მოთხოვნის შესაბამისად, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე ახდენს წლიური სამეცნიერო ანგარიშის ამსახველ პრეზენტაციას;
ე) დირექტორთან შეთანხმებით შეიმუშავებს, ინსტიტუტის სტრუქტურის ცვლილებების პროექტს და განსახილველად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს, უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესით დამტკიცების უზრუნველსაყოფად;
ვ) თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს;
ზ) სამეცნიერო საბჭო უფლებამოსილია მიიღოს სამეცნიერო საბჭოს თვმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტმა;
თ) უფლებამოსილია ინსტიტუტის საპატიო წევრებად აირჩიოს საქართველოში თუ საზღვარგარეთ მოღვაწე გამოჩენილი მეცნიერები;
ი) შეარჩევს ინსტიტუტის დირექტორს და წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად;
კ) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში მონაწილეობს კვლევითი კომპონენტის შესრულების მონიტორინგის პროცესში;
ლ) ასრულებს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით, ასევე წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.

3. სამეცნიერო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.
4. სამეცნიერო საბჭოს სხდომა იმართება 2 თვეში ერთხელ მაინც დირექტორის, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ან სამეცნიერო საბჭოს წევრთა არანაკლებ ერთი მესამედის ინიციატივით. სამეცნიერო საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლებამოსილება გააჩნიათ ამავე სუბიექტებს, დადგენილი წესით.
5. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო მონაწილეობს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის, უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობებისა და სამეცნიერო პერსონალის ატესტაციის წესის შემუშავებაში.
6. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდებისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად, შეიმუშავებს ინსტიტუტის დირექტორის ღია კონკურსის საფუძველზე შერჩევის წესს.

მუხლი 5. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და მისი უფლებამოსილებები

1. სამეცნიერო საბჭოს საქმიანობას წარმართავს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.
2. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს ირჩევს სამეცნიერო საბჭო, კენჭისყრის საფუძველზე, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, 5 წლის ვადით. საკითხს, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ასარჩევად კენჭისყრა ჩატარდეს ღია თუ ფარული წესით წყვეტს სამეცნიერო საბჭო ღია კენჭისყრის საფუძველზე. იმ შემთხვევაში თუ სამეცნიერო საბჭომ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღო გადაწყვეტილება სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ფარული კენჭისყრით არჩევის შესახებ, სამეცნიერო საბჭო ადგენს ფარული კენჭისყრის ჩატარების პროცედურას.
3. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე:
ა) უძღვება სამეცნიერო საბჭოს სხდომებს;
ბ) ხელს აწერს სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმებს;
გ) ხელმძღვანელობს ინსტიტუტის წლიური სამეცნიერო გეგმისა და ანგარიშის მომზადებას;
დ) წარმოადგენს საბჭოს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მესამე პირებთან ურთიერთობაში.

მუხლი 6. ინსტიტუტის დირექტორი

1. ინსტიტუტის სამეცნიერო-საორგანიზაციო და ადმინისტრაციულ საქმიანობას ხელმძღვანელობს ინსტიტუტის დირექტორი.

2. ინსტიტუტის დირექტორს შეარჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო 5 წლის ვადით და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს. კანდიდატურის დამტკიცებაზე აკადემიური საბჭოს დასაბუთებული უარის შემთხვევაში ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო წარადგენს იმავე კანდიდატს ან შეარჩევს სხვა კანდიდატურას. კანდიდატურის დამტკიცებაზე აკადემიური საბჭოს განმეორებითი უარის შემთხვევაში ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ნიშნავს რექტორი. ასეთ შემთხვევაში ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო ვალდებულია არაუგვიანეს 6 თვისა შეარჩიოს ინსტიტუტის დირექტორის ახალი კანდიდატურა. ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ინიშნება რექტორის მიერ იმ პერიოდამდე, სანამ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული არ იქნება ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურა.

3. ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელიც აკმაყოფილებს ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს და რომლის ასაკი 65 წელს არ აღემატება. თუ პირს არ უკავია ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა, ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დაკავების შემთხვევაში იგი ითვლება აგრეთვე მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩეულად. 65 წლის ასაკის მიღწევა არ იწვევს დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტას.

4. დირექტორისა და დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე 65 წელს მიღწეული პირის დანიშვნისა და არჩევის, ასევე გათავისუფლების საკითხს წყვეტს უშუალოდ ამ თანამდებობაზე არჩევის/დანიშვნის გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე სუბიექტი.

5. ერთმა და იმავე პირმა ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა ზედიზედ შეიძლება მხოლოდ ორჯერ დაიკავოს.

6. ინსტიტუტის დირექტორი, როგორც მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, არის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

7. ინსტიტუტის დირექტორი:

ა) უზრუნველყოფს ინსტიტუტში სამეცნიერო კვლევების ეფექტურად წარმართვას;

ბ) უნივერსიტეტის შესაბამის მართვის ორგანოებს შესათანხმებლად წარუდგენს ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამეცნიერო კვლევების მიმდინარე გეგმებს;

გ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში პასუხისმგებელია უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

დ) შეიმუშავებს და შესაბამის მართვის ორგანოებს განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს ინსტიტუტის ყოველწლიური ბიუჯეტისა და საშტატო ნუსხის პროექტს;

ე) პასუხისმგებელია ინსტიტუტის დაფინანსების მიზნობრივ გამოყენებაზე;

ვ) უზრუნველყოფს სამეცნიერო ანგარიშის მოსამზადებლად საორგანიზაციო ღონისძიებების გატარებას;

ზ) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, არაუგვიანეს ყოველი კალენდარული წლის ბოლოს, წარუდგენს ინფორმაციას მის მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ;

თ) უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნივერსიტეტის შესაბამისი მართვის ორგანოების წინაშე დასვას თანამშრომელთა წახალისების ან მათ მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების საკითხი;

ი) საკუთარი უფლებამოსილების ვადით უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ინსტიტუტის პერსონალიდან დასანიშნად ან თანამდებობიდან გათავისუფლების მიზნით წარუდგენს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის/მოადგილეების და სწავლული მდივნის კანდიდატურებს;

კ) უნივერსიტეტის რექტორის ან/და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში, წარმოადგენს ინსტიტუტს მესამე პირთან ურთიერთობაში, დებს ხელშეკრულებებს უნივერსიტეტისგან შესაბამისი რწმუნების არსებობის შემთხვევაში;

ლ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს - ბრძანებებს;

მ) ახორციელებს წინამდებარე დებულებითა და უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

8. დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, დირექტორის მოვალეობას, მისივე დავალებით, ასრულებს დირექტორის მოადგილე, რაც უნდა ეცნობოს უნივერსიტეტის რექტორს.

9. დირექტორისა და დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის არყოფნის (მივლინება, შვებულება, საავადმყოფო ფურცელზე ყოფნა და სხვ.) შემთხვევაში, ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის დროებით შესრულება შესაძლებელია დაეკისროს ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს დირექტორის/დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინებით, რექტორის ბრძანებით.

10. დირექტორის/დირექტორის მოადგილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) სასამართლოს მიერ მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლა;

გ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

დ) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დასაბუთებული წარდგინება;

ე) გარდაცვალება;

ვ) უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 7. ინსტიტუტის სამეცნიერო და არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

1. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ღია კონკურსის საფუძველზე ირჩევს სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს დირექტორი.
2. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელად შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ ინსტიტუტის მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს. თუ პირს არ უკავია ინსტიტუტის მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა, ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში იგი ითვლება აგრეთვე სათანადო სამეცნიერო თანამდებობაზე არჩეულად.
3. ინსტიტუტის არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელს ინსტიტუტის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
4. ინსტიტუტის სამეცნიერო/არასამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულს მართავს ხელმძღვანელი, რომელიც:
ა) შეიმუშავებს სტრუქტურულ ერთეულში განსახორციელებელი საქმიანობის სამუშაო გეგმებს და წარუდგენს სამეცნიერო საბჭოს დასამტკიცებლად;
ბ) შეიმუშავებს სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების პროექტს და წარუდგენს დირექტორს დასამტკიცებლად;
გ) სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციის ფარგლებში, ორგანიზებას უწევს სამეცნიერო კვლევითი საგრანტო პროექტების შემუშავებას;
დ) განიხილავს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს სტრუქტურული ერთეულის სამეცნიერო თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესისა და დამატებითი საკვალიფიკაციო პირობების შესახებ;
ე) დირექტორის წინაშე აყენებს სტრუქტურულ ერთეულში თანამდებობის მქონე პირის დისციპლინური პასუხისმგებლობის, თანამდებობიდან გათავისუფლების ან წახალისების საკითხს;
ვ) შეიმუშავებს და დირექტორს წარუდგენს სტრუქტურული ერთეულის დაფინანსების პროექტს;
ზ) პასუხისმგებელია სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე.

მუხლი 8. ინსტიტუტის პერსონალი

1. ინსტიტუტის პერსონალი შედგება ადმინისტრაციული, სამეცნიერო და სხვა პერსონალისაგან.
2. ადმინისტრაციულ პერსონალს მიეკუთვნება დირექტორი და დირექტორის მოადგილე.

3. სამეცნიერო პერსონალს მიეკუთვნება მეცნიერი და პოსტდოქტორანტი.
4. მეცნიერები არიან შემდეგი სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირები:
ა) მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
ბ) უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;
გ) მეცნიერი თანამშრომელი.
5. ინსტიტუტის სხვა პერსონალს მიეკუთვნებიან სპეციალისტები, ლაბორანტები, ინჟინრები და სხვა საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობები.
6. ინსტიტუტის დირექტორს/მოადგილეს არ შეიძლება ეკავოს ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა.
7. ინსტიტუტის პერსონალის უფლება-მოვალეობები, ასევე მათი შრომითი ურთიერთობის პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 9. ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის უფლება-მოვალეობები

1. სამეცნიერო პერსონალს უფლება აქვს:
ა) დამოუკიდებლად განახორციელოს სამეცნიერო კვლევა და შეუზღუდავად გამოაქვეყნოს კვლევის შედეგები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი შეზღუდვა ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული ან ისინი შეიცავენ სახელმწიფო საიდუმლოებას;
ბ) ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარებისა და სამეცნიერო კვლევების მიმდინარე გეგმის ფარგლებში განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, კვლევის მეთოდები და საშუალებები;
გ) მონაწილეობა მიიღოს საგრანტო დაფინანსების მოპოვების მიზნით გამოცხადებულ კონკურსებში, მიიღოს დაფინანსება, ისარგებლოს ინდივიდუალური საგრანტო დაფინანსებით, აგრეთვე, მიიღოს ანაზღაურება კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შედეგად ინსტიტუტის მიერ მიღებული შემოსავლებიდან;
დ) ისარგებლოს უნივერსიტეტის/ინსტიტუტის ბიბლიოთეკითა და სხვა ქონებით;
ე) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.
2. სამეცნიერო პერსონალი ვალდებულია:
ა) დაიცვას ინსტიტუტის დებულებითა და უნივერსიტეტის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები;
ბ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
გ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის/ინსტიტუტის ქონებას;
დ) სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ყოველწლიურად წარუდგინოს შესრულებული სამუშაოს ანგარიში;

ე) შეასრულოს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებები;
ვ) წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისას გაითვალისწინოს ინსტიტუტის ინტერესები და რეგულარულად მიიღოს მონაწილეობა მიმდინარე ღონისძიებებში;
ზ) გაუფრთხილდეს ინსტიტუტის რეპუტაციას, ხელი შეუწყოს მისი მიზნების განხორციელებას.
3. სამეცნიერო პერსონალის შრომითი ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია მოქმედი კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული შემთხვევები.

მუხლი 10. სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესი

1. სამეცნიერო თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის საფუძველზე, რომელიც უნდა ჩატარდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების შესაბამისად.
2. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება, განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები და მნიშვნელოვანი პუბლიკაციები. პირი მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას უვადოდ იკავებს.
3. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პირი უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას იკავებს 7 წლის ვადით.
4. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პირი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას იკავებს 4 წლის ვადით.
5. პოსტდოქტორანტად აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი.
6. მთავარი მეცნიერი თანამშრომელი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება ატესტაციის გავლას უნივერსიტეტის წესდებითა და ატესტაციის ჩატარების ერთიანი წესისა და პირობებით განსაზღვრული წესით.

მუხლი 11. ინსტიტუტის ქონება და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა

1. ინსტიტუტი სარგებლობს უნივერსიტეტის მიერ ინსტიტუტისათვის გამოყოფილი სამეცნიერო და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობისთვის

აუცილებელი უძრავ-მოძრავი ქონებით და პასუხისმგებელია ამ ქონების მოვლა-პატრონობასა და ეფექტურად (მიზნობრივად) გამოყენებაზე.

2. ინსტიტუტის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილი თანხები;

ბ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;

გ) გრანტებით მიღებული შემოსავალი;

დ) შემოწირულობები;

ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული დაფინანსების სხვა წყარო.

3. ინსტიტუტის საქმიანობით მოზიდული სახსრები გამოიყენება უნივერსიტეტისა და ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის შემდგომი განვითარებისათვის ან/და პერსონალის შრომის ანაზღაურებისათვის.

მუხლი 12. ინსტიტუტის ლიკვიდაცია

1. ინსტიტუტის ლიკვიდაციის საფუძველი შეიძლება გახდეს:

ა) ინსტიტუტის დებულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა;

ბ) უნივერსიტეტის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

მუხლი 13. დასკვნითი დებულებები, ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.

2. წინამდებარე დებულება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

131.2016 14.11.2016

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 61-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ²“ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ²“ ქვეპუნქტისა და თსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის 10.11.2016, №41237/02 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის დებულება (დანართი №1).
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 19 ივნისის №56/2015 დადგენილება.
3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
5. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი შარვაშიძე
რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

დანართი №1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის დებულება

პ რ ე ა მ ბ უ ლ ა

1933 წლის 1 ნოემბერს, ყოფილი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალისა და საქართველოს განყოფილების პრეზიდიუმის 1933 წლის 26 ოქტომბრის დადგენილებით, შეიქმნა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის თბილისის გეოფიზიკური ინსტიტუტი, რაც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართული მეცნიერებისა და კულტურის განვითარების ისტორიაში. ინსტიტუტის დაარსებას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ 1844 წელს, როცა თბილისში დაარსდა კავკასიაში პირველი და რუსეთში ერთ-ერთი პირველთაგანი, მაგნეტო-მეტეოროლოგიური ობსერვატორია (1956 წელს გატანილ იქნა დუშეთში), რომელმაც ფუნდამენტური როლი შეასრულა გეოფიზიკური მეცნიერების განვითარებაში.

1941 წელს, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ბრძანების საფუძველზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, გეოფიზიკური ინსტიტუტის ბაზაზე დაარსდა ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტი, ხოლო 1950 წლის 1 დეკემბრიდან ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტი გაიყო ორ - ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტებად.

1992 წელს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტს მიეკუთვნა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, საქართველოში გეოფიზიკური მეცნიერების ფუძემდებლის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მიხეილ ნოდიას სახელი.

საქართველოს მთავრობის 2006 წლის 16 მარტის №58 დადგენილებით მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტს ეწოდა სსიპ მიხეილ ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი, რომელიც შევიდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 27 ივლისის №210 დადგენილების შესაბამისად მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი რეორგანიზებულ იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით სტრუქტურულ ერთეულად.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი“) მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი (შემდგომში - ,,ინსტიტუტი“) არის უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული, რომელიც ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და რომელსაც ჰყავს მართვის ორგანოები.
2. ინსტიტუტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.
3. ინსტიტუტს აქვს ბლანკი და ბეჭედი, საბანკო ქვეანგარიში (ქვეანგარიშები).
4. ინსტიტუტს შეიძლება ჰქონდეს პერიოდული გამოცემა (ჟურნალი, გაზეთი და სხვ.)

მუხლი 2. ინსტიტუტის მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი

1. ინსტიტუტის მიზანია უნივერსიტეტის ფარგლებში ხელი შეუწყოს სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო პროცესების ეფექტურად წარმართვას, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვასა და სამეცნიერო კადრების მომზადებას. ინსტიტუტის დანიშნულებაა ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო-კვლევითი, საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობის განხორციელება, საქართველოს ტერიტორიაზე გეოფიზიკური ველების (სეისმური, გრავიტაციული, გეომაგნიტური, გეოდინამიკური, გეოთერმული) კარტირება, მონიტორინგი და მოდელირება, დედამიწის გარსებში, ზღვასა და ატმოსფეროში მიმდინარე რთული პროცესების სივრცულ-დროითი დინამიკისა და ურთიერთკავშირების დადგენა და პროგნოზირება მინერალური რესურსების გამოსავლენად და უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად; გეომაგნიტური და კოსმოფიზიკური ობსერვატიული დაკვირვებები და მიღებული უწყვეტი მასალების მონაცემთა საერთაშორისო ბაზებში განთავსება; საინჟინრო, საძიებო და ეკოლოგიური გეოფიზიკა, ბუნებრივი საშიშროებები და რისკი, არქეოგეოფიზიკა, ჰიდროგეოფიზიკა, დიდი საინჟინრო ობიექტების მონიტორინგი; გამოყენებითი მიმართულების სამუშაოების წარმოება სახელმწიფო ან კერძო სექტორის დაკვეთით.
2. ინსტიტუტი უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვროს საინსტიტუტო პრიორიტეტები და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა, ჩაატაროს სამეცნიერო კონფერენციები და სამეცნიერო ხასიათის სხვა ტიპის ღონისძიებები, დაამყაროს სამეცნიერო კონტაქტები ადგილობრივ და უცხოეთის წამყვან სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო სამეცნიერო კვლევებში (ერთობლივი სამეცნიერო პროგრამები, საერთაშორისო ფორუმები, სამეცნიერო გრანტები, გაცვლითი სამეცნიერო პროგრამები და სხვა თემატური აქტივობები).
3. ინსტიტუტი კანონმდებლობით დადგენილი წესით, უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, ასევე:
ა) მონაწილეობს სტუდენტთა საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომების შესრულებაში;
ბ) უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული წესით მონაწილეობს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებასა და განხორციელებაში;

გ) უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართვას სამეცნიერო საგრანტო პროექტებში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში.

მუხლი 3. ინსტიტუტის სტრუქტურა

1. ინსტიტუტის სტრუქტურა შედგება ინსტიტუტის მართვის ორგანოების (დირექტორი და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო) და შემდეგი სამეცნიერო და არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებისაგან:

ა) სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულები:

ა.ა) გამოყენებითი და ექსპერიმენტალური გეოფიზიკის სექტორი, რომლის კვლევის საგანია - გეოფიზიკური ველების კარტირების და მონიტორინგის საფუძველზე საქართველოს ტერიტორიის გეოლოგიური აგებულების და ევოლუციის, დედამიწის გარსებში მიმდინარე რთული პროცესების სივრცულ-დროითი დინამიკის დადგენა და პროგნოზირება მინერალური რესურსების და ბუნებრივი რისკების შეფასებისათვის; ეკო და საინჟინრო გეოფიზიკური კვლევა, არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენა, დიდი საინჟინრო ობიექტების მონიტორინგი, გეოფიზიკური პროცესების მოდელირება.

ა.ბ) გეოფიზიკური ველების დინამიკისა და გამოთვლითი გეოფიზიკის სექტორი, რომლის კვლევის საგანია – სეისმური და გეოფიზიკური ველების დინამიკის სტრუქტურის კვლევა; გარე ელექტრომაგნიტური ზემოქმედებით გამოწვეული დინამიკური ცვლილებები ლოკალურ სეისმურ პროცესში; არათანაბარი ხახუნის დინამიკური თავისებურებების კვლევა ლაბორატორიულ პირობებში.

ა.გ) დედამიწის ფიზიკისა და გეომაგნეტიზმის სექტორი, რომლის კვლევის საგანია - მიმოქცევითი დეფორმაციები დედამიწის მყარ ტანში; მიწისქვეშა ობსერვატორიის უნიკალური ვერტიკალური ექსტენზომეტრით დარეგისტრირებული დედამიწის მიმოქცევითი დეფორმაციები; ვერტიკალურ ექსტენზო-მეტრზე მეტეოროლოგიური ფაქტორების კვლევა; საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ძლიერი ლოკალური მაგნიტური ანომალიების კვლევების შედეგების გამოყენება ბუნებრივი მაგნიტო-თერაპიული კურორტის მოდელის შემოთავაზების მიზნით.

ა.დ) სეისმოლოგიის, სეისმური საშიშროებისა და კატასტროფების რისკის სექტორი, რომლის კვლევის საგანია - მიწისძვრის გენერაციის ფიზიკური მექანიზმების გამოკვლევა; სეისმური წყაროების მოდელების დადგენა; სათანადო მონაცემთა ბაზების შექმნა და ანალიზი; ბაზების შესაქმნელად აქსელერომეტრების ქსელის გამართვა; ზედაბალი სიხშირის ელექტრომაგნიტური მონაცემების დამუშავება და სპექტრალური ანალიზი; გრუნტის მოძრაობის პროგნოზული განტოლებების აგება; გრუნტის მოძრაობის მოდელირების ჰიბრიდულ-ემპირიული თანაფარდობების კვლევა; გრუნტის თვისებების შესწავლა; სეისმოპროფილირების შედეგების ანალიზი; დომინანტური სიხშირის შესწავლა; სეისმური საშიშროების შეფასება; ნაგებობათა და სასიცოცხლო ინფრასტრუქტურის დაზიანებისა და მოწყვლადობის განსაზღვრა; კატასტროფების რისკებისა და ეკონომიკური ზარალების შეფასება.

ა.ე) ატმოსფეროს ფიზიკის სექტორი, რომლის კვლევის საგანია - ქვედა და ზემო ატმოსფეროს ფიზიკა (ღრუბლები, ნალექები, რადიოლოკაციური მეტეოროლოგია, ნისლები, ატმოსფეროს ელექტრობა, ელჭექები, აეროზოლები, ოზონი, რადონი და სხვა რადიაციის წყაროები; ატმოსფერული პროცესების ექსპერიმენტული მოდელირება; ატმოსფეროს პროცესებზე აქტიური ზემოქმედება (სეტყვა, ელჭექები და სხვ.); გეომაგნეტიზმი; პალეომაგნეტიზმი; კლიმატის ცვლილება; ბუნებრივი კატასტროფები; ეკოლოგია; გარემოს მონიტორინგი და რისკების შეფასება; კომპლექსური გეოფიზიკური კვლევა; კურორტების და ტურიზმის განვითარება; მწვანე ტექნოლოგიები.

ა.ვ) ზღვისა და ატმოსფეროს გეოფიზიკური პროცესების მათემატიკური მოდელირების სექტორი, რომლის კვლევის საგანია - შავი ზღვა-ატმოსფეროს სისტემაში მიმდინარე ჰიდროთერმო დინამიკური და ეკოლოგიური პროცესების მათემატიკური მოდელირება, მონიტორინგი და პროგნოზირება; ზღვის ზედაპირზე ავარიულად დაღვრილი ნავთობის გავრცელების 2-განზომილებიანი მათემატიკური მოდელის შემუშავება; შავ ზღვაში არაკონსერვატიული მინარევების გავრცელების სივრცითი მოდელის შემუშავება; მინარევების გავრცელების მოდელების ჩართვა რეგიონულ პროგნოზულ სისტემაში და მათი რეალიზაცია; „მცირე წყლის“ თეორიის განტოლებათა სისტემაზე დაფუძნებული მაღალი გარჩევისუნარიანი მათემატიკური მოდელის შემუშავება; ლოკალური მასშტაბის ატმოსფერული პროცესის რიცხვითი მოდელის სრულყოფა.

ა.ზ) კოსმოსური კვლევის ცენტრი, რომლის კვლევის საგანია - თანამგზავრული დისტანციური ზონდირების მონაცემების დამუშავება და გამოყენება საქართველოს ტერიტორიის და გეოკოსმოსური გარემოს მონიტორინგისთვის.

ა.თ) ჰიდროგეოფიზიკისა და გეოთერმიის კვლევითი ცენტრი, რომლის კვლევის საგანია - საქართველოს ჰიდროგეოლოგიური და გეოთერმული პოტენციალის შეფასება თანამედროვე ჰიდროგეოფიზიკური მეთოდების გამოყენებით; მიწისქვეშა წყლების გენეზისის დადგენა, რესურსების გადაფასება და საკონტროლო მონიტორინგის ორგანიზება; მიწისქვეშა წყლების სრულფასოვანი ეკოლოგიური შესწავლა, მათი კვების და განტვირთვის არეალების ჰიდროლოგიური დახასიათებით; სასმელი, მინერალური და თერმული წყლების, ბუნებრივი გაზების კადასტრის შექმნა; მიწისქვეშა წყლებისა და სრულად გარემოს ტოკსიკური და რადიაციული ფონის შესწავლა, დაბინძურების რუკის შექმნა და რისკების განსაზღვრა; ქანების სითბური პარამეტრების და სითბური ნაკადის განსაზღვრა; მიწისქვეშა წყლების საბადოების საკვანძო მახასიათებელ უბნებში უწყვეტი მულტიპარამეტრული მონიტორინგის ორგანიზება, ეკოლოგიური, კლიმატური, ჰიდროგეოდინამიკური, სეისმური პროცესებისა და ეკოლოგიური მდგომარეობის კონტროლის მიზნით.

ა.ი) კოსმოფიზიკური ობსერვატორია, რომლის კვლევის საგანია - კოსმოსური სხივების მეორადი ნეიტრონული კომპონენტის ინტენსივობის და ატმოსფერული წნევის უწყვეტი რეგისტრაცია, პირველადი დამუშავება და ანალიზი; მიღებული მონაცემების საერთაშორისო გაცვლის ცენტრში განთავსება; მზე-დედამიწის კავშირების მონაცემების გამოყენებით,

მოძრაობის რაოდენობის მომენტის შენახვის კანონის საფუძვლებზე, ძლიერი, დამანგრეველი მიწისძვრების შესწავლა.

ა.კ) დუშეთის გეოფიზიკური ობსერვატორია, რომლის კვლევის საგანია - დედამიწის მაგნიტური ველის ვარიაციების უწყვეტი (დღე-ღამური) რეგისტრაცია და მისი მდგენელების აბსოლუტური მნიშვნელობების განსაზღვრა.

ბ) არასამეცნიერო (დამხმარე) საქმიანობა ინსტიტუტში სტრუქტურულად ორგანიზებული არ არის და წარმოდგენილია ცალკეული თანამდებობებისათვის განსაზღვრულ კომპეტენციებში. შესაბამისად, არასამეცნიერო (დამხმარე) საქმიანობა ხორციელდება დამხმარე პერსონალის - დირექტორის თანაშემწის, კადრების ინსპექტორის, კანცელარიის სპეციალისტის, საფინანსო და საბუღალტრო საქმეთა სპეციალისტის, ეკონომისტის, სახელმწიფო შესყიდვების კოორდინატორის, კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორის, სამეცნიერო საგამომცემლო ჯგუფის ხელმძღვანელის, გამომცემლობის ტექნიკური რედაქტორის, სამეურნეო ნაწილის კოორდინატორის, მთარგმნელის, დაცვის ინსპექტორის, დამლაგებლის, სანტექნიკოსის, მძღოლის, ელექტრიკოსის, ბიბლიოთეკარის, სატელეფონო ქსელის ადმინისტრატორისა და სხვა დარგის სპეციალისტების მიერ, რომელთა ჩამონათვალი დგინდება უნივერსიტეტის საშტატო განრიგით.

მუხლი 4. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო

1. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ქმნიან ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლები.
2. სამეცნიერო საბჭო:

ა) განიხილავს და წყვეტს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო მართვისა და განვითარების საკითხებს. შეიმუშავებს ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამეცნიერო კვლევების მიმდინარე გეგმებს, რასაც ამტკიცებს ინსტიტუტის დირექტორი;

ბ) ისმენს და ამტკიცებს ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა წლიურ ანგარიშებს და მათ საფუძველზე უზრუნველყოფს ინსტიტუტის წლიური სამეცნიერო ანგარიშის მომზადებას;

გ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს წარუდგენს ინსტიტუტის წლიურ სამეცნიერო ანგარიშს;

დ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მოთხოვნის შესაბამისად, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე ახდენს წლიური სამეცნიერო ანგარიშის ამსახველ პრეზენტაციას;

ე) დირექტორთან შეთანხმებით შეიმუშავებს, ინსტიტუტის სტრუქტურის ცვლილებების პროექტს და განსახილველად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს, უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესით დამტკიცების უზრუნველსაყოფად;

ვ) თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს;

ზ) სამეცნიერო საბჭო უფლებამოსილია მიიღოს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტმა;
თ) უფლებამოსილია ინსტიტუტის საპატიო წევრებად აირჩიოს საქართველოში თუ საზღვარგარეთ მოღვაწე გამოჩენილი მეცნიერები;
ი) შეარჩევს ინსტიტუტის დირექტორს და წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად;
კ) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში მონაწილეობს კვლევითი კომპონენტის შესრულების მონიტორინგის პროცესში;
ლ) ასრულებს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით, ასევე წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.
3. სამეცნიერო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.
4. სამეცნიერო საბჭოს სხდომა იმართება 2 თვეში ერთხელ მაინც დირექტორის, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ან სამეცნიერო საბჭოს წევრთა არანაკლებ ერთი მესამედის ინიციატივით. სამეცნიერო საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლებამოსილება გააჩნიათ ამავე სუბიექტებს, დადგენილი წესით.
5. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო მონაწილეობს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის, უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობებისა და სამეცნიერო პერსონალის ატესტაციის წესის შემუშავებაში.
6. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდებისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად, შეიმუშავებს ინსტიტუტის დირექტორის ღია კონკურსის საფუძველზე შერჩევის წესს.

მუხლი 5. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და მისი უფლებამოსილებები

1. სამეცნიერო საბჭოს საქმიანობას წარმართავს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.
2. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს ირჩევს სამეცნიერო საბჭო, კენჭისყრის საფუძველზე, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, 5 წლის ვადით. საკითხს, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ასარჩევად კენჭისყრა ჩატარდეს ღია თუ ფარული წესით წყვეტს სამეცნიერო საბჭო ღია კენჭისყრის საფუძველზე. იმ შემთხვევაში თუ სამეცნიერო საბჭომ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღო გადაწყვეტილება სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ფარული ჯენჭისყრით არჩევის შესახებ, სამეცნიერო საბჭო ადგენს ფარული კენჭისყრის ჩატარების პროცედურას.
3. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე:
ა) უძღვება სამეცნიერო საბჭოს სხდომებს;
ბ) ხელს აწერს სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმებს;

გ) ხელმძღვანელობს ინსტიტუტის წლიური სამეცნიერო ანგარიშის მომზადებას;
დ) წარმოადგენს საბჭოს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მესამე პირებთან ურთიერთობაში.

მუხლი 6. ინსტიტუტის დირექტორი

1. ინსტიტუტის სამეცნიერო-საორგანიზაციო და ადმინისტრაციულ საქმიანობას ხელმძღვანელობს ინსტიტუტის დირექტორი.
2. ინსტიტუტის დირექტორს შეარჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო 5 წლის ვადით და დასა-მტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს. კანდიდატურის დამტკიცებაზე აკადემიური საბჭოს დასაბუთებული უარის შემთხვევაში ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო წარად-გენს იმავე კანდიდატს ან შეარჩევს სხვა კანდიდატურას. კანდიდატურის დამტკიცებაზე აკადე-მიური საბჭოს განმეორებითი უარის შემთხვევაში ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ნიშნავს რექტორი. ასეთ შემთხვევაში ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო ვალდებულია არაუგვიანეს 6 თვისა შეარჩიოს ინსტიტუტის დირექტორის ახალი კანდიდატურა. ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ინიშნება რექტორის მიერ იმ პერიოდამდე, სანამ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული არ იქნება ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურა.
3. ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს პირმა, რომელიც აკმაყოფილებს ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს და რომლის ასაკი 65 წელს არ აღემატება. თუ პირს არ უკავია ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა, ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დაკავების შემთხვევაში იგი ითვლება აგრეთვე მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩეულად. 65 წლის ასაკის მიღწევა არ იწვევს დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტას.
4. დირექტორისა და დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე 65 წელს მიღწეული პირის დანიშვნისა და არჩევის, ასევე გათავისუფლების საკითხს წყვეტს უშუალოდ ამ თანამდებობაზე არჩევის/დანიშვნის გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე სუბიექტი.
5. ერთმა და იმავე პირმა ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა ზედიზედ შეიძლება მხოლოდ ორჯერ დაიკავოს.
6. ინსტიტუტის დირექტორი, როგორც მთავარი მეცნიერ - თანამშრომელი, არის სამეცნიერო საბჭოს წევრი.
7. ინსტიტუტის დირექტორი:
ა) უზრუნველყოფს ინსტიტუტში სამეცნიერო კვლევების ეფექტურად წარმართვას;
ბ) უნივერსიტეტის შესაბამის მართვის ორგანოებს შესათანხმებლად წარუდგენს ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამეცნიერო კვლევების მიმდინარე გეგმებს;
გ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში პასუხისმგებელია უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებების შესრულებაზე;
დ) შეიმუშავებს და შესაბამის მართვის ორგანოებს განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს ინსტიტუტის ყოველწლიური ბიუჯეტისა და საშტატო ნუსხის პროექტს;

ე) პასუხისმგებელია ინსტიტუტის დაფინანსების მიზნობრივ გამოყენებაზე;

ვ) უზრუნველყოფს სამეცნიერო ანგარიშის მოსამზადებლად საორგანიზაციო ღონისძიებების გატარებას;

ზ) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, არა უგვიანეს ყოველი კალენდარული წლის ბოლოს, წარუდგენს ინფორმაციას მის მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ;

თ) უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნივერსიტეტის შესაბამისი მართვის ორგანოების წინაშე დასვას თანამშრომელთა წახალისების ან მათ მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების საკითხი;

ი) საკუთარი უფლებამოსილების ვადით უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ინსტიტუტის პერსონალიდან დასანიშნად ან თანამდებობიდან გათავისუფლების მიზნით წარუდგენს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის/მოადგილეების და სწავლული მდივნის კანდიდატურებს;

კ) უნივერსიტეტის რექტორის ან/და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში, წარმოადგენს ინსტიტუტს მესამე პირთან ურთიერთობაში, დებს ხელშეკრულებებს უნივერსიტეტისგან შესაბამისი რწმუნების არსებობის შემთხვევაში;

ლ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს - ბრძანებებს;

მ) ახორციელებს წინამდებარე დებულებითა და უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

8. დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, დირექტორის მოვალეობას, მისივე დავალებით, ასრულებს დირექტორის მოადგილე, რაც უნდა ეცნობოს უნივერსიტეტის რექტორს.

9. დირექტორისა და დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის არყოფნის (მივლინება, შვებულება, საავადმყოფო ფურცელზე ყოფნა და სხვ.) შემთხვევაში, ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის დროებით შესრულება შესაძლებელია დაეკისროს ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს დირექტორის/დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინებით, რექტორის ბრძანებით.

10. დირექტორის/დირექტორის მოადგილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) სასამართლოს მიერ მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლა;

გ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

დ) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დასაბუთებული წარდგინება;

ე) გარდაცვალება;

ვ) უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 7. ინსტიტუტის სამეცნიერო და არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

1. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ღია კონკურსის საფუძველზე ირჩევს სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს დირექტორი.
2. ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელად შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს. თუ პირს არ უკავია დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში იგი ითვლება აგრეთვე სათანადო სამეცნიერო თანამდებობაზე არჩეულად.
3. ინსტიტუტის არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელს ინსტიტუტის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
4. ინსტიტუტის სამეცნიერო/არასამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულს მართავს ხელმძღვანელი, რომელიც:

ა) შეიმუშავებს სტრუქტურულ ერთეულში განსახორციელებელი საქმიანობის სამუშაო გეგმებს და წარუდგენს სამეცნიერო საბჭოს დასამტკიცებლად;

ბ) შეიმუშავებს სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების პროექტს და წარუდგენს დირექტორს დასამტკიცებლად;

გ) სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციის ფარგლებში, ორგანიზებას უწევს სამეცნიერო-კვლევითი საგრანტო პროექტების შემუშავებას;

დ) განიხილავს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს სტრუქტურული ერთეულის სამეცნიერო თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესისა და დამატებითი საკვალიფიკაციო პირობების შესახებ;

ე) დირექტორის წინაშე აყენებს სტრუქტურულ ერთეულში თანამდებობის მქონე პირის დისციპლინური პასუხისმგებლობის, თანამდებობიდან გათავისუფლების ან წახალისების საკითხს;

ვ) შეიმუშავებს და დირექტორს წარუდგენს სტრუქტურული ერთეულის დაფინანსების პროექტს;

ზ) პასუხისმგებელია სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე.

მუხლი 8. ინსტიტუტის პერსონალი

1. ინსტიტუტის პერსონალი შედგება ადმინისტრაციული, სამეცნიერო და სხვა პერსონალისაგან.
2. ადმინისტრაციულ პერსონალს მიეკუთვნება დირექტორი და დირექტორის მოადგილე.
3. სამეცნიერო პერსონალს მიეკუთვნება მეცნიერი და პოსტდოქტორანტი.
4. მეცნიერები არიან შემდეგი სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირები:

ა) მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

ბ) უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;

გ) მეცნიერი თანამშრომელი.

5. ინსტიტუტის სხვა პერსონალს მიეკუთვნებიან სპეციალისტები, ლაბორანტები, ინჟინრები და სხვა საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობები.

6. ინსტიტუტის დირექტორს/დირექტორის მოადგილეს არ შეიძლება ეკავოს ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა.

7. ინსტიტუტის პერსონალის უფლება-მოვალეობები, ასევე მათი შრომითი ურთიერთობის პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 9. ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალის უფლება-მოვალეობები

1. სამეცნიერო პერსონალს უფლება აქვს:

ა) დამოუკიდებლად განახორციელოს სამეცნიერო კვლევა და შეუზღუდავად გამოაქვეყნოს კვლევის შედეგები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი შეზღუდვა ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული ან ისინი შეიცავენ სახელმწიფო საიდუმლოებას;

ბ) დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, კვლევის მეთოდები და საშუალებები;

გ) მონაწილეობა მიიღოს საგრანტო დაფინანსების მოპოვების მიზნით გამოცხადებულ კონკურსებში, მიიღოს დაფინანსება, ისარგებლოს ინდივიდუალური საგრანტო დაფინანსებით, აგრეთვე, მიიღოს ანაზღაურება კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შედეგად ინსტიტუტის მიერ მიღებული შემოსავლებიდან;

დ) ისარგებლოს უნივერსიტეტის/ინსტიტუტის ბიბლიოთეკითა და სხვა ქონებით;

ე) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

2. სამეცნიერო პერსონალი ვალდებულია:

ა) დაიცვას ინსტიტუტის დებულებითა და უნივერსიტეტის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები;

ბ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

გ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის/ინსტიტუტის ქონებას;

დ) სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ყოველწლიურად წარუდგინოს შესრულებული სამუშაოს ანგარიში;

ე) შეასრულოს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებები;

ვ) წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისას გაითვალისწინოს ინსტიტუტის ინტერესები და რეგულარულად მიიღოს მონაწილეობა მიმდინარე ღონისძიებებში;

ზ) გაუფრთხილდეს ინსტიტუტის რეპუტაციას, ხელი შეუწყოს მისი მიზნების განხორციელებას.

3. სამეცნიერო პერსონალის შრომითი ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია მოქმედი კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული შემთხვევები.

მუხლი 10. სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესი

1. სამეცნიერო თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის საფუძველზე, რომელიც უნდა ჩატარდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების შესაბამისად.
2. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება, განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები და მნიშვნელოვანი პუბლიკაციები. პირი მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას უვადოდ იკავებს.
3. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პირი უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას იკავებს 7 წლის ვადით.
4. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პირი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას იკავებს 4 წლის ვადით.
5. პოსტდოქტორანტად აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი.
6. მთავარი მეცნიერი თანამშრომელი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება ატესტაციის გავლას უნივერსიტეტის წესდებითა და ატესტაციის ჩატარების ერთიანი წესისა და პირობებით განსაზღვრული წესით.

მუხლი 11. ინსტიტუტის ქონება და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა

1. ინსტიტუტი სარგებლობს უნივერსიტეტის მიერ ინსტიტუტისათვის გამოყოფილი სამეცნიერო და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობისთვის აუცილებელი უძრავ-მოძრავი ქონებით და პასუხისმგებელია ამ ქონების მოვლა-პატრონობასა და ეფექტურად (მიზნობრივად) გამოყენებაზე.
2. ინსტიტუტის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილი თანხები;

ბ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;

გ) გრანტებით მიღებული შემოსავალი;

დ) შემოწირულობები;

ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული დაფინანსების სხვა წყარო.

3. ინსტიტუტის საქმიანობით მოზიდული სახსრები გამოიყენება უნივერსიტეტისა და ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის შემდგომი განვითარებისათვის ან/და პერსონალის შრომის ანაზღაურებისათვის.

მუხლი 12. ინსტიტუტის ლიკვიდაცია

1. ინსტიტუტის ლიკვიდაციის საფუძველი შეიძლება გახდეს:

ა) ინსტიტუტის დებულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა;

ბ) უნივერსიტეტის წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

მუხლი 13. დასკვნითი დებულებები, ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.
2. წინამდებარე დებულება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.